

3

СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО • SOVIET ART • SOWIETKUNST

СОВЕТСКОЕ
ИСКУССТВО

СОВЕТСКОЕ
ИСКУССТВО

1964



საბჭოთავო საბჭოთავო

თავისუფალი
გეორგიას
საბჭოთავო
ქონი
კავშირებში
ქონი

საბჭოთავო კომუნისტური პარტია

3-1964



თამარ აბაკელია

შემოდგომა

თამარ აბაკელია
მოსივლილი →

მთავარი რედაქტორი — თარ ევაძე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი, გელა ბანძელაძე, კარლო გოგობე, ალექსი მაჭავარიანი, ნათელა ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე, ვანო წულუკიძე.





ამიერკავკასიის ჟურნალისტთა სემინარ-თათბირის პრეზიდენტი

ს ე მ ი მ რ კ ა ვ კ ა ს ი ი ს ჟურნალისტთა ფორუმი



აქო კოველთის გულგამილი მასპინძელია. აქ ხშირად იკრიბებიან ჩვენი დიდი ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის მუშაკები. იკრიბებიან ჟურნალისტებიც. სწორედ ერთი ასეთი საქმიანი, მეგობრული თავშეყრა შედგა მარტის დღეებშიც. აზერბაიჯანის პარტიული სკოლის დიდ დარბაზში გაიხსნა სკკპ ცენტრალური

კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თაოსნობით მოწვეული სემინარ-თათბირი, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის ჟურნალ-გაზეთების რედაქციების წარმომადგენლები, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები, სტუმრები მოსკოვიდან და მოძმე რესპუბლიკებიდან. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამიერკავკასიის

ბიუროს თავმჯდომარემ გ. ნ. ზოკარიოვმა თავმჯდომარის მოადგილემ ო. დ. გოცირიძემ, აზერბაიჯანის კპ ცკ-ს პირველმა მდივანმა ვ. ი. ახუნდოვმა, საქართველოს კპ ცკ-ს მდივანმა დ. გ. სტურუამ. სემინარი სამღვსეს გაგრძელდა და მნიშვნელოვანი, სასარგებლო კვალი დააჩნია სამრესპუბლიკაში იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი აღმავლობის საქმეს.

პრესას, რადიოს და ტელევიზიის უდიდესი როლი ენიჭება კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების ხორცშესხმაში, ივნისის პლენუმის გადაწვეტილებათა განხორციელებისათვის შემართულ შემოქმედებით ბრძოლაში, ხალხის კომუნისტური აღზრდის საქმეში. საბჭოთა ჟურნალისტები მოწოდებულნი არიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ კომუნიზმის მშენებელი ადამიანების მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისა და კომუნისტური მორალის ჩამოყალიბებისათვის. პრესამ და გამომცემლობებმა, რადიომ და ტელევიზიამ თავის პირველ მოვალეობად მიიჩნია მტკიცედ იდგეს პარტიის ერთგულად, დიდი ლენინის მოძღვრების სადარაჯოზე. ხელი შეუწყოს კომუნისტური პარტიის ბრძოლას ხალხის კეთილდღეობისათვის, კომუნიზმის გასამარჯვებლად, ხალხთა შორის ძმობისა და მშვიდობის დასანერგად.

ამ მიზანსწრაფვით გამოდიოდნენ სემინარ-თათბირზე პარტიის შორის-მსაროლელი არტილერიის ჟურნალისტი-სინაიპერები, კომუნისტური მშენებლობის დამკვერელურ გეგმებზე ილაპარაკა სომხეთის გაზეთი (რუსულ ენაზე) „კომუნისტის“ რედაქტორმა გ. ა. სირაქვმა, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავჯდომარე ტ. ს. ალიევა, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის ბრძოლის პრაქტიკულ ნაბიჯებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა გაზეთ „აფშერონის“ რედაქტორმა გ. ი. მებრალიევმა, ბაქოს, ერევნისა და თბილისის სტუდენტების მიერ ზომიერად კარგ პროგრამებზე ილაპარაკა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარმა რედაქტორმა ბ. პ. სტეპანოვმა.

აზერბაიჯანის კპ ცკ-ს ორგანოს, სომხურ ენაზე ნაბეჭდი გაზეთის „კომუნისტის“ რედაქტორმა გ. შ. ბაბაიანმა ილაპარაკა ნოვატორულ, მასობრივ-ორგანიზატორულ მუშაობაზე.

საინტერესო მოხსენებით გამოვიდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი დავით მჭედლიშვილი, რომელმაც ილაპარაკა ადამიანების იდეური წრთობის ამოცანებსა და პრაქტიკულ მოღვაწეობაზე. ივნისის პლენუმის მუშაობის დამთავრებისთანავე. — თქვა დ. გ. მჭედლიშვილმა. — გაზეთში გაზრდა რუბრიკა: „განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილება-

ნი“. ამ რუბრიკით იბეჭდებოდა პლენუმის მონაწილეთა გამოსვლები, თეორიული სტატიები, მასალები, რომლებიც ასახავენ პარტიული ორგანიზაციების ბრძოლას ცხოვრებისა-გან იდეოლოგიური მუშაობის მოწყვეტის აღმოფხვრისათვის. საბჭოთა ადამიანების შრომით აღზრდის გა-უშჯოხებესისათვის. „კომუნისტში“ გაზრდა მუდმივი განყოფილებანი: „შეიდწლევის გმირები“, „შრომის ძალა და სიხარული“, „შრომა საუკეთესო აღზრდელია“ და სხვ.

დ. მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ გაზეთი „კომუნისტი“ დიდ ყურადღებას უთმობს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს. გაზეთი ხშირად აცნობს მკითხველებს არა მარტო ქართული, არამედ აზერბაიჯანული და სომეხი მწერლების ახალ ნაწარმოებებსაც. გაზეთის საშუალებით მკითხველებს ესაუბრებიან გამოჩენილი რუსი საბჭოთა მწერლები: მიხეილ შოლოხოვი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ლეონიდ ლეონოვი. თავისი ფართოდ ცნობილი მოთხრობა „ეკგენია ივანოვნა“ ლ. ლეონოვმა „კომუნისტის“ რედაქციას გამოუგზავნა პირველი პუბლიკაციისათვის. გაზეთი იბრძვის მხატვრული შემოქმედების იდეური სიწმინდისათვის, მწვავედ პარტიული პოზიციებიდან აკრიტიკებს ცალკეულ შემთხვევებში ზოგიერთი მხატვრის გატაცებას უცხო გავლენით, გადახვევას სოციალისტური რეალიზმის პოზიციებიდან.

სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავ-



ა. სირადე



ს. ლუციანიანი



ა. ათევიანი



ამირკავკასიის ჟურნალისტიკის სემინარ-თათბირის მონაწილენი



დ. მელიშვილი



ა. ჩხიკაშვილი



დ. დავითაშვილი

მეჯდომარემ ა. რ. აივაზიანმა თავის მოხსენებაში ჩამოაყალიბა ძირითადი მიმართულებანი, რომელთა მიხედვითაც სომხეთის რადიო და ტელეფერნალისტივი ეწყვიან ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაპაგანდას.

კომუნისმის მშენებელთა თაობების მეგვიდრობითობისა და იდეური ნათესაობის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა „ბაკინსკი რაზორის“ რედაქტორმა მ. ა. ოკულოვმა. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთის „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქტორმა მ. ა. ვოლოგასტიკოვმა ხაზი გაუსვა მეტროლოთა პარტიულ სულს, მათ მეტოცე კავშირს ადამიანებთან, შრომის ოსტატებთან.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორმა, საქართველოს ჟურნალისტიკა ეფიორის თავმჯდომარემ ირაკლი ჩხიკაშვილმა თავის მოხსენებაში მკაფიოდ ილაპარაკა მშრომელთა აღზრდაზე პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. მან აღნიშნა, რომ ეს მოთხოვნა ხაზგასმულად არის მოცემული ივნისის პლენუმის დადგენილებაში. გაზეთის რედაქცია დიდ, მრავალმხრივ მუშაობას ეწევა ამ უმნიშვნელოვანესი თემის ათვისებაში, უზრეტ ინიციატივასა და შეშმარტ შეშოქმედებით შთაგონებას იჩენს. ი. ი. ჩხიკაშვილმა ფაქტებით აჩვენა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობა მასების ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღსაზრდელად, ძმობისა და კომუნისტური შეგნების დასანერგად. „ზარია ვოსტოკა“ სისტემატურად წერს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მშრომელების ტრადიციულ შეჯიბრებებზე, ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკებთან საქართველოს ეყო-

ნომიურ და კულტურულ ურთიერთობებზე.

ჩვენი რესპუბლიკის ჯეფეფმეტრე ეროვნული პოლიტიკის გამოვლენის დადასტურება — თქვა აზერბაიჯანულ ენაზე გამოსული გაზეთის „კომუნისტის“ რედაქტორმა ა. ს. რზაევმა. მან ბეერი საინტერესო ფაქტივ მოიყვანა. ხალხთა მეგობრობის იდეების პროპაგანდას მიუძღვნა თავისი შინაარსიანი მოხსენება „სოვეტკან აისტანის“ რედაქტორმა ს. ო. ოვაკიმიანმა.

სემინარ-თათბირის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაულეფელობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის კარლო ვარდაფხაძის მოხსენება, რომელშიც აისახა ქართველ ჟურნალისტთა მისწრაფება — სისხლსავსედ აჩვენონ ჩვენი ქვეყნის ადამიანების გმირული ცხოვრება და შრომა. საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები — თქვა კ. კ. ვარდაფხაძემ — შემდეგშიც არ დაზოგვენ უნარსა და ნიჭს ისეთი რადიო და ტელევადაცემების პროგრამების შესადგენად, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანების ესთეტიკური გემოვნების ზრდასა და იდეურ წრთობას, მეგობრობის გრძობის გამტკიცებას, კომუნისტური სულისკვეთების ადამიანის ფორმირებას.

არ უნდა ვიყოთ პასიური ამსახვე-

ბ. ასლანიდი



საქართველოს კმ ცკ-ს მდიანი დ. გ. სტურუა, სკკ ცკ-ს ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ო. დ. გოციტიძე, სკკ ცკ-ს ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარე გ. ნ. ბოჩკაიოვი, აზერბაიჯანის კმ ცკ-ს პირველი მდიანი გ. ი. ახუნდოვი



ა. რჯავეი



გ. ბაბაიანი



ტ. ალიევი



მ. ოკულოვი

ლები, მოვლენათა რეგისტრატორები, არამედ უნდა ვიცქეთ მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა ურთიერთობის ორგანიზატორებად, — თქვა აფხაზეთის გაერთიანებული საოლქო გაზეთების რედაქტორმა ვიორგი სემიონოვმა. გაზეთ „ვერენი ტბილისის“ რედაქტორმა პავლე ასლანიძემ წამოაყენა მოთხოვნა, რომ ჩვენი რესპუბლიკური გაზეთები ბეჭდავდნენ გაცვლით გვერდებს ყველა საკითხზე. აგრეთვე ხელონების და ლიტერატურის დარგშიც. გაზეთს ინტელექტუალური, შეეცნებითი სარგებლობა უნდა მოქონდეს მკითხველებისათვის, — თქვა თავის მოხსენებაში „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორმა მიხეილ დავითაშვილმა. მან ბევრი დამაჯერებელი მასალა მოიტანა, თუ როგორ ეხმარება გაზეთი მკითხველებს, ზრდის და ამაღლებს მას.

სიტყვებით გამოვიდნენ ერშიაძინის საწარმოო სამმართველოს გაზეთის „კომინტიზმი უკიოვის“ რედაქტორი ვ. ა. ზაქარიანი, ლენინაკანის საქალაქო გაზეთის „ბანგორის“ რედაქტორი გ. ო. ასრიანი, სიტყვებით და მისალმებით გამოვიდნენ აგრეთვე „სელსკაია ჟიზნის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ნ. ა. ზაკოლუპინი, ჟურნალ „პარტიინაია ჟიზნის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ა. გ. კლიმოვი, საედესის კოლეგიის წევრი ბ. ვ. აფანასიევი, სააგენტო „ახალი ამბების“ პასუხისმგებელი მდივანი ბ. ა. პიშჩიკი, გაზეთ „იზვესტიას“ დამატების — „ნედელიას“ რედაქტორი ა. ლ. პლიუშჩი, ჟურნალ „სოვეტსკაია პერატის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ა. ი. ლანგვანგი, გაზეთ „პრადის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი დ. ვ. ბუკა-სოვი.



მ. გოლევსკი



კ. გარდახაძე

სემინარ-თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს სიტყვა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ი. ახუნდოვისა, რომელიც გულთბილად მიესალმა თათბირის მონაწილეებს რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის სახელით.

გ. სემიონოვი



თათბირ-სემინარის მონაწილეთა ერთი ჯგუფი: (მარცხნიდან) შერალი მ. შრევილიშვილი, ჟურნალისტი გ. გოგიაშვილი, შერალი კ. ლორთქიფანიძე, პოეტი რ. მარგარიანი, შერალი ვ. ნატროშვილი, ჟურნალისტი გ. ლებანიძე





საკვ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარემ გ. ნ. ბოჩკაროვმა შეჯამა სემინარ-თათბირის შედეგები და აღნიშნა, რომ მონაწილეთა მოხსენებებითა და სიტყვებით შეიქმნა იმ დიდი ორგანიზატორული, შემოქმედებითი საქმიანობის მკაფიო სურათი, რომელსაც ეწვევიან საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის პრესა, რადიო და ტელევიზია. შეეხო რა ამიერკავკასიის ხალხთა ძმურ მეგობრობას, გ. ნ. ბოჩკაროვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად ეს მეგობრობა კიდევ უფრო მტკიცდება და დღელა-

დება ყველა რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების ინტერესთა ერთიანობით, ურომლისდაც წარმოუდგენელია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანის წარმატებით შესრულება, რომელიც პარტიის X XII ყრილობით და პროგრამით არის დასახული. სასიხარულოა, — თქვა ამხ. გ. ბოჩკაროვმა, — რომ ამიერკავკასიის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები თავისი პრაქტიკული საქმიანობით იდეოლოგიურად უზრუნველყოფენ ამ გრანდიოზული ამოცანის წარმატებით გადა-

წყვეტას. საქმიანი კილო, შემოქმედებითი მეგობრული ვითარება, ერთმანეთს სემინარი მიმდინარეობდა, მოწონებენ არა მარტო ამიერკავკასიის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა შესაძლებლობებს, არამედ მათ მხურვალე მისწრაფებას — თავისი საქმეებით ხელი შეუწყონ ახალი ადამიანის აღზრდას, ჩვენს ქვეყანაში სიუხვის, ხალხისათვის ყველა სიკეთის შექმნას.

ამიერკავკასიის ჟურნალისტთა სემინარ-თათბირი მეგობრობისა და დიდ შემეცნებით ფორმად იქცა.

თეატრების მუშაობა

ახალ

სიმაღლეზე

დობასა და კეთილდღეობაში, ხალხთა მშობისა და ნდობის ატმოსფეროში, ადგილი აღარ ჰქონდეს წარსულის მავნე გადმონაშთებს, მხარს ეუსწორებდეთ პროფესულს, ნოვატორულს, კეთილშობილურს, კომუნისტურს.

ამ დიადი მიზნისათვის ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს იდეოლოგიური მუშაობა, სწორად დაყენებული მხატვრული მოღვაწეობა, რომლის ნაყოფიერებაზეც ბევრად არის დამოკიდებული ადამიანების აღზრდა კომუნისტური მორალით.

ცხადია, ამ ამოცანის განხორციელება დაქარაღდება იდეოლოგიური მუშაობის ისეთი წარმართვით, როცა ამ დარგის ყოველი წარმომადგენელი ერთნაირი სიმძლავრითა და სიძლიერით იმოქმედებს. ხელოვნება სწორედ იმ საჭირო და ქმედით დარგს წარმოადგენს, რომლის ხატოვან და აზროვან მეტყველებაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ხალხის წინაშე მდგარი ამოცანების დროულად გადაჭრა.

კომუნისტური პარტია ჩვენი ქვეყნის მშენებლობის პრაქტიკული მოღვაწეობის მანძილზე ყველაფერს აკეთებს ხალხის ესთეტიკური დონის ასამაღლებლად, არ ზოგავს ძალღონეს მაღალი მორალური ნორმების დასანერგად, ძლიერი ნებისყოფისა და ღრმა მიზანდასახულობის ადამიანების აღსაზრდელად, მოქმედებს, მებრძოლი და მგზნებარე სულის ადამიანების ეთიკური ნორმების დასაცავად და განსამტკიცებლად. პარტიას ამ კეთილშობილურ ამოცანაში მუდამ მხარში უდგა ხელოვნება, განსაკუთრებით მხატვრული აზროვნება, — იდეური დამატარებელი, თეატრი, მუსიკა, მხატვრობა, კინემატოგრაფია. მაგრამ ახლა, როცა კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება იდეოლოგიის ერთ-ერთი ძლიერი წყაროს — ხელოვნების იდეურობისა და ქმედითობის ამაღლებას, თეატრების, მხატვართა, კომპოზიტორთა და კინომოღვაწეთა მუშაობის

საბჭოთა ხალხი შემოქმედებითი შემართებით იბრძვის გასული მშენებლობის თანამედროვე პერიოდში. იგი განუხრავლად ატარებს მოთხოვნას, რომ უფრო სისხლავსელად წარმართვით მუშაობა დიდი მიზნის, — კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების მოსახლოვებლად, ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობის დასამყვიდრებლად, როცა კიდევ უფრო მეტად გამოვლინდება ადამიანების სულიერი და ფიზიკური ძლიერება, უფრო მეტი ძალით აკიაფდება შემოქმედი ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობანი, ყველაფერი მოხმარდება მას, რომ ვცხოვრობდეთ საყოველთაო მშვი-



შემდგომ გამოსას, მასებთან კიდევ უფრო ახლოს მისვლას, ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირის გამაგრებას, ხელოვნების ხალხურობის საწყისებისა და პარტიულობის პრინციპის განმტკიცებას.

ამ მხრივ უკვე ბევრი რამ გაკეთდა, ბევრი ისეთი სასიკეთო და მისაზამი განეთარდა, რომლის გადაღება — გაგრძელება კიდევ უფრო მასობრივს და მათგანინფუნელს გახდის ქართულ საბჭოურ ხელოვნებას.

წარმატებათა საერთო დინებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ქართულ საბჭოურ თეატრს. იგიც ისე, როგორც ხელოვნების სხვა დარგები, განვითარების სიმაღლეებს აღწევს. ახლა ამოცანა იმაშია, რომ ზრდის სიძნელეები მიუხედავად არ იქცეს, რომელზე დაყრდნობითაც ზოგჯერ ცდილობენ არასწორი დაღვემისა და არასწორი გამოიხვენი გამოწვეული ნაყოფების დაფარვას, მათზე თვალის დახუჭვას, მათთან შეკრებას.

ამ მხრივ ცოტა როდის სათქმელი დღევანდელ ქართულ თეატრზე. ორიგინალური რეპერტუარის პრობლემა კვლავ გადაწყვეტილი არაა. ეს იყო მიზეზი, რომ საკანთვლით კულტურის სამინისტრომ და მწერალთა კავშირის ერთობლივი ღონისძიებები დასახეს თანამედროვე ქართული დრამატურგიის წამოსაწყვად, მისი იდეური და პროფესიული ღონისძიებას დაეხმობოდა. უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები მწერალთა ახალი გუნდის მოსაზიდად თეატრში.

მარჯანიშვილის თეატრში მოვიდა ნიჭიერი პროსაიკოსი რეჟისორი იმე. შუადღამ მისი „ქარისკაცის ქერივი“. მუშაობა მიმდინარეობს ცნობილი მწერლის კორევი შატერაშვილის „თენგოს სიმღერაზე“, წარმატებით დაიდგა არჩილ სულაკურის, ოტია იოსელიანის და თათარ გობრონიძის ნოველები. თეატრმა შემოქმედებითი კონტაქტი დაამყარა მწერალ მერაბ დიმიტოვიშვილთან. მისასაღებელია რუსთაველის თეატრის სცენაზე თათარ მამფორიას პიესის „მეტეხის ჩრდილის“ დადგმა, არჩილ სულაკურის „წყალებადობის“ ჩაშვება.

მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ არის. ჩვენი ორი თეატრის ხელმძღვანელობა ხალხისანად არ უღებთ კარს დრამატურგებს. რით უნდა აიხსნას ისეთი გაურკვეველი დამოკიდებულება, რომელსაც იჩენენ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელები პოლიკარგე კაკაბაძის შემოქმედებისადმი. დიდი ხანია სცენაზე აღარ გამოჩენილან იონა ვაკელი, მიხეილ შველიშვილი, მიხეილ ჯაფარიძე. რუსთაველის თეატრმა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობის სანაკარზე არ გააკეთა ცნობილი მწერლის გრიგოლ აბაშიძის ახალი პიესის დასადგმელად, ეს მშინ, როცა სოსუმის და ქუთაისის თეატრებმა წარმატებით გააკრვეს თავი ამ საინტერესო ნაწარმოებებს. ხომ არ მეტყველებს ეს ფაქტი იმაზე, რომ თბილისის დიდი თეატრები ღრმად არ კითხულობენ ქართველ ავტორთა ნაწარმოებებს, ზედაპირულად უდგებიან პიესების არჩევანს, გაუბიან სირთულეს, კმაყოფილებიან გაიყვანულად მოღური პიესების დადგმით, რომლის ნაყოფი ძალზე მცირეა.


ამისი ნათელი დადასტურებაა თუნდაც მიმდინარე წლის სეზონი დღეკვლავის ორ წამყვან თეატრში. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა წარმატებით დადგა ნოველების საღამო და ამით კარგი რატი გააკეთა, მაგრამ ხომ არ შეიძლება მთ-

ლი კოლექტივი ნოველების მასშტაბით იგარგებოდეს, სულაქანი იწურება და ჯერ კიდევ გამოშვებული არ აქვთ გამოსვლის სიმღერა“ და არც „ქარისკაცის ქერივი“. თეატრს აქტიურობა ბრწყინვალე დამა გააჩნია. არჩილ ჩხარტიშვილის სახელით ნიჭიერი და გამოყვლილი რეჟისორი ჰაგას, მაგრამ ყოველივე ეს გამოყენებული არ არის მარჯანიშვილის თეატრის სახელის სადარი შემოქმედებით ატმოსფეროს დასამკვიდრებლად, შემოქმედებითი დისციპლინის გასამტკიცებლად. თეატრის უნდა დაუმზადოთ, მაგრამ მოითხოვთ კიდევ წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრი აღმოჩნდება შემოქმედებითი და ფინანსური სიძნელის წინაშე.

ყურადღებას მოითხოვს რუსთაველის თეატრის დღევანდელი მდგომარეობა. ერთის შეხედვით თითქმის ყველაფერი რიგზეა, მაგრამ სინამდვილეში ქართული თანამედროვე რეპერტუარის სცენაზე გატანა ძალზე ჭირს. თეატრის დირექტორი და რეჟისორი საკმაოდ იოლად უყურებს ამ სერიოზულ საკითხს. სეზონის პირველსავე სპექტაკლს, თათარ მამფორიას პიესას თანამედროვე თემაზე „მეტეხის ჩრდილის“ თეატრის მტკბირე მოშუშე თხინი რეჟისორიდან არცერთმა არ მოკიდა ხელი. სეზონი გახსნა მოწვეულმა რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ. ახლა სეზონი იწურება, მაგრამ მაყურებელს რუსთაველის თეატრის თანამედროვე ქართული დრამატურგიის ვერცერთ სპექტაკლს ვერ უჩვენებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თეატრი შიშითა და ცქვით უყურებს ქართული საბჭოური დრამატურგიის ზრდის სიძნელეებს, კუნთს იღებს მხოლოდ შუამოსაბეჭდულ ნათარგმნ პიესებზე. ესა, რომელსაც ეგუება თეატრის ხელმძღვანელობა, გამოსწორებას მოითხოვს. შემოქმედებითი გეზი, რომელსაც იცავს რეჟისორი მიხეილ თუშანიშვილი, დაფიქრებას საჭიროებს, რადგან ასეთი ხაზი დღეს დღეობით მხოლოდ განცხადების გარძნობას შობს და საშიშროების წინაშე აყენებს თეატრის მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებულ შემოქმედებით რეპერტუარს.

სახარბიელო მდგომარეობა არ გააჩნია არც მკურისა და ბალეტის თეატრს. მიმდინარე სეზონი იწურება, მაგრამ თეატრმა ვერცერთი ქართული ოპერა ვერ აღადგინა, არცერთი ახალი ქართული ოპერა არ დადგა. თეატრის ახალ ხელმძღვანელობას უნდა ახსოვდეს, რომ მისი მოღვაწეობა, პირველ ყოვლისა, იმით შეფასდება, თუ როგორ გააკეთებს ვხას თანამედროვეობის ამასხველ ქართულ საბჭოურ და საბალეტო სპექტაკლებს.

თბილისის წამყვანი თეატრების რეპერტუარის საკითხი სერიოზული საკითხია და ამაზე პირველ ყოვლისა, უნდა იზრუნონ თვით თეატრებმა. მეტი მონდობებით უნდა მოიზიდონ ავტორები. — მწერლები და კომპოზიტორები მეტი მომთხოვნელობა უნდა წაუყვანონ რეჟისორებსა და ბალეტმასიტრებებს, მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინონ საბჭოური თემატიკისადმი, რათა მიეცეთ ხალხს მისი გაზრდილი გემოვნებისა და იდეური მოთხოვნების ტოლი მასტერული ნაწარმოებები, ფორმითა და შინაარსით მდღესინავე სპექტაკლები, გაგამართლოთ იენისის პლენუმის მოთხოვნა ჩვენი ეპოქის ამასხველი თანამედროვე სულისა და ელფარდობის ტილოების გასამრავლებლად, ხალხის გასახარებლად, ხელოვნების შემეცნებითი და ესთეტიკური შხარის კიდევ უფრო გასაზრდელად.



საქართველოში ტარს შევჩენოს სახელი პოპულარული ხდება უკვე მე-11 საუკუნის 60-იან წლებიდან. ქართველ ინტელიგენციას მოწინავე წარმომადგენლები, რომლებმაც რუსეთში დაქვეყნეს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს განათლება, გატაცებით კითხულობდნენ დიდი კოზაჩარის ლექსებსა და პოემებს. 60-იანი წლებიდან კი ჩვენში იწყება შევჩენკოს ცალკეულ ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმნა. 1881 წელს ილია პეტევაძემ თავის „ივერიაში“ პირველად გამოაქვეყნა პოემა „მეუხე ქალი“ („ნაიბიკა“), რომელიც ჯერ კიდევ 1877 წელს უთარგმნა ნიკო ლომოურს. 1886 წელს კი ეფრემი „თეატრში“ დაიბეჭდა მწერალ და მუსიკოსტ მამია გურიელის მიერ თარგმნილი შევჩენკოს შერევი პოემა „შეგნენას ფიქები“. უკრინელი სახლში პოეტის ლექსები და პოემები რევოლუციამდე უკრინოში ჩვენს ხალხს მშობლიურ ენაზე წაიკითხეს — ისამამია, ს. შანშიაშვილი, განდგებულა, შ. ურნაძე, დ. ნახუციშვილი, ს. ფხულიშვილი, გ. ქუნიშვილი და სხვებმა. ტარს შევჩენკოს პირდაპი იცნობდა ზოგიერთი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე. ცნობილია რამდენ წარუშლელი შობაქ-დიღუბა მოუხდენია მასთან შეხვედრას აკაკი წერეთელსა და დიმიტრი ვიფიანს.

დიდი კოზაჩარის იუბილე



სახლს ზეიმაღ იქცა დიდი უკრაინელი პოეტისა და მხატვრის, თავისუფლებისა და ხალხთა ძმობის მომადგლის ტარს შევჩენკოს იუბილე. მთელი მსოფლიოს პარაგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა უცდავი კოზაჩარის დაბადების 150 წლისთავი. პოეტის მგზნებარე ხმამ გააღივინა დრო და მანძილი, გზა გაიკაფა უველა ერის ადამიანთა გონებისა და გულსიკანც.

უსაზღვროა ტარს შევჩენკოს ტიტანური შემოქმედების პოპულარობა. მის სიცოცხლეში ცენტრის მსახრად ხელს გადაგრინელი მხროლოდ 17 ლექსი გამოქვეყნდა. მაგრამ უკრაინაში მამონაც ზეპირად იტოვდნენ მუშაობისათა და რევოლუციური პათოსით გაღვინითი, ღირსებითა და მელოდიურობით აღსაცე მთელი მისი შემოქმედება მისი ამბოხებული პოეზია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად აღაფრთოვანებდა ადამიანებს, მის გულანთებულ სტრიქონებს რევოლუციის ბარაკებზე აჟავდა მებრძოლები. უკვეღვარ უფლებას მოკლებული ყმა-ჯიბის შვილი მსოფლიო პოეზიის მწვერვალზე ავიდა და თავიებს გადააწვინა თავისი მძლავრი ხმა. ტარს შევჩენკოს დიდივე დიდებანია გაცსდა სამშობლოს ფარგლებს და უველა ხალხის ფაქრისა და მისწრაფების გამოხატველად იქცა. როდესაც 1928 წლის 6 მარტს დიდი კოზაჩარის მგვლის გახსნაზე ნ. ს. ბრუშჩოვი შევჩენკოს შემოქმედების ინტერნაციონალურ მნიშვნელობაზე ლაპარაკობდა, საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ტარს გრიგოლის-ძე შევჩენკო ჩვენი სამშობლოს უველა ხალხისათვის ახლობილი და ძვირფასია იმტიმ, რომ იგი თავის ნაწარმოებებში არა მარტო უკრაინელი დარბიების, არამედ უველა ერისთვის მშრომელთა ფიქრებს გამოხატავდა.

დიდი კოზაჩარის მგზნებარე სტრიქონები იმთავითვე სიმღერებად გაიქცა ხალხში. ამბობენ მის „კოზაჩარს“ კი არ კითხულობდნენ, არამედ მღეროდნენო. პოეტის ამგებებელი სტრიქონები არა მარტო ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში, არამედ პროფესიულ მუსიკაში დაქვეყნდა და საპატრო ადგილი დაიკავა ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მომშენდლის ტარს შევჩენკოს შემოქმედება შობაქნებდა და შობაქრებს არა მარტო უკრაინელ და რუს კომპოზიტორებს, არამედ ქართველ მუსიკოს-ხელოვანთაც. გ. გულიაშვილმა შექმნა — „ვეება დნერის მდინაეს“, გრ. კოკოლაძემ — „სიყვარული“, ახლავარდა კომპოზიტორმა რუსუდან თობაქმ სიმფონიური პოემა „კავკასია“. გრ. ჩხიკვაძემ ქალ-ვითა გუნდისათვის დაამუშავა „ვეპარავ, ვერავ“, ხოლო ვოკალური კვარტეტისათვის — „წაალი შედის ცისფერ ზღვაში“ და „ანდერში“.

დიდი უკრაინელი პოეტისადმი ქართველი ხალხის სიყვარული ნამდვილ დემონსტრაციადა იქცა ტარს შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვლილი საწვიმ საღამო, რომელიც თბილისის ზაქარია ფელაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა.

პოეზიელში იყვნენ გ. ნ. ბოჩკაროვი, გ. ა. გეგეშიძე, მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მჭავანაძე, პ. ა. როდიონოვი, გ. ს. ძორენიძე, გ. დ. ჯვავიშვილი, რ. ნ. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრთიფე, ი. ე. ივრქეია, ა. ნ. იანარი, შ. ა. დოლიძე.

საწვიმ საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა დღევანა პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა თინკარ ზუაზიძემ დაწერილობით ილანარკა გენიალური პოეტისა და მხატვრის ცხოვ-

ტარს შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სიღ ბილგი საღამოს პრეზიდიუმი





ფოტოები 2. შეფერვების

რებასა და შემოქმედებაზე, იმ უდიდეს როლზე, რომელიც შეასრულა პოეტმა უკრაინული ლიტერატურის განვითარებაში, უკრაინელი ხალხის რევოლუციურ წარსულსა და თანამედროვე ცხოვრებაში. ირატორი ვრცელად შენიღბა აგრეთვე კართველ მწერლებთან კომპარის ურთიერთობაზე.

უკრაინელი ხალხისადმი, მისი გენიალური შეილისადმი სიყვარულია და პატივისცემით აღსავსე სიტყვები წარმოუტყვეს საქართველოს სამხატვრო აკადემიის პროფესორმა კ. სანაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ, მასწავლებელმა ე. გამოწვამ, სტუდენტმა დ. დუდუკოვმ, პოეტმა ა. წინეშვილმა. თბილისში მცხოვრებმა უკრაინელმა პოეტმა ი. კარსკიმ წაუკეთა კომპარისადმი მიძღვნილი ლექსი.

უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის იუბილზე აღინიშნა მხოლოდის ბევრ ქვეყანაში. ტარას შევჩენკოზე დაწერილი წიგნები და მისი ნაწარმოებების თარგმანები გამოვიდა ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, რუმინიაში, საფრანგეთში. საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის უკრაინის საზოგადოებამ და „იუნესკოს“ ერთვნილმა კომისიამ მოამზადეს პოეტის

ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტოგამოფენა რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, პოლონურ, ბულგარულ, რუმინულ ენებზე. აღსანიშნავია, რომ შეფერვოს საიუბილური წიგნის მასობრივი ნაწილი გადატანილია მისის ბოლო და იცნობს პირველი რიცხვებისათვის. ამ დროსათვის განსაკუთრებით ღვაწილი მწვაწე სამსილში გახვეულ დენკარისპირა უწევდესი ქალუკი — ეტილი მანინ აქ „იუნესკოს“ მონაწილეობით გამოართვა მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა საერთაშორისო კონგრესი. შეფერვოსადმი მიძღვნილ ამ ფორუმში მონაწილეობას მიიღებენ „იუნესკოს“ წარმომადგენლები — მსოფლიოს გამორჩენილი პოეტი-მთარგმნელები, უკრაინული ლიტერატურის მკვლევარები და მეცნიერ-სლავისტები.

დიდი კომპარის სოვნის უკვდავყოფად უკრაინის მთავრობამ მრავალი გადაწყვეტილება მიიღო. ამთგან ყველაზე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება — დაწესდეს შეფერვოს სხულობის კოველ-წლიური პრემია, რომელიც შენიჭდება საუკეთესო ნაწარმოებებს ლიტერატურის, თეატრალური ხელოვნების, ფერწერის, მუსიკისა და კინოხელოვნების დარგებში.

წ. ფალაშვილის საბ. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში





აკობრიობა ამაჟებს იმ დავწლით, რაც ადამიანის სოციალისტური მანიფესტო გაუწევიათ წარსულს ეპოქების კალენდრს. მაგრამ არ უფიქროსა დრო უფრო ნაყოფიერი, უფრო მდიდარი, ვიდრე ახლა, რაცა ჩემს სამშობლოს, სოციალისტური ქვეყნის ქალბი ადამიანების საკეთილდღეოდ იღვივებ, შრომობენ, აწინებენ, კმნიან და ზადიან.

ეს ბუნებრივიც არის. წარმოების სოციალისტურმა ურთიერთობამ, რომელიც დღემ სოციალურმა რევოლუციამ განაპირობა, ადამიანის შრომის განვითარებას და მანამდე მიმავალი კალის დიდი ძალის გამოყენებამ არსაფად აღადგალა საბჭოთა ქალის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის სახის გარდაქმნაში, საზოგადოების შენებაში, ახალი ეპოქის დადგენასა და გამარჯვებაში. დღეს საბჭოთა ქალი ისტორიული მნიშვნელობის შემოქმედებით შემარტავს ეწევა და ერთნაირი აღტაცებითა და საზოგადოებრივი სარგებლობით ეწევა და ერთვება და ერთვება კოსმოსსა და დედამიწის საიდუმლოებს, მიწდერისა და წარმოების აწყვეტის, კულტურისა და ჯანმრთელობის ფრონტის გაშლას. ტერმეოვასა და ვაგანოვას სახელები ერთნაირი სიამაჟითა და სიხარულით იხსენიება საბჭოთა ქვეყნის ახალა ხალხის მიერ და ამისეც არის სოციალისტური საზოგადოების პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ძალის ცხოველყოფილება, რომლის სულსმადგმელი უკველებიც იყო და არის კომუნისტური პარტია.

საბჭოთა საქართველოს ქალბი დღისდღეოდ მოღვაწეობენ სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. განა მღელვარების გარეშე ვახსენებ ჩაის ოსტატთა მრავალათასიან ქალთა ჯუნებს, რომელთა თითბებით ირთიფება და იხადება მდიდარი მწვანე ქორი. განა გმირული შრომის ფასად არა ჩნდება ქართული ოამაქო და ქართული ურტყნი. ფსადუდებდები გარჯის შედეგად ზეჯდებმა ქართული ბაღებისა და მონასტრების, კარხლის მინდვრებისა და მესაქონლეობის ფორმების დღელათი, კარხნებისა და ფმბრიკების პროდუქტთა. უფრადგან ქალის ხელის მადლი ჩანს და უფლფერს ქალის აზრის ნაყოფად დაქრავს. ეს კიდევ უფრო ძლიერის ხდის ჩვენს ქვეყანას, უფრო აახლოვებს კომუნისმის საბოლოო გამარჯვების მიჯნებს.

ამ საბჭოთა წარმატებათა ფერბულში მტკიცედ დგას საბჭოთა საქართველოს კულტურისა და ხელოვნების ფრონტზე მოღვაწე ქალთა ძლიერი ჯუნდი, რომელიც თავის ინტელექტითა და მგზვნებრებით მთელი საბჭოთა ქვეყნის ქალთა უფროდით დგანს და ერთობლივ გარჯას კომუნისმის გამარჯვების მადიდებელ მიწს უძღვრება. ბევრია მათ შორის ისეთი, რომელიც პროგრესისა და წინსვლისათვის მისამაჟ მებრძოლად წარმოგივლება მათ შორისაა ძველი და ახალი თაობის მრავალი წარმომადგენელი, ისეთები, როგორიც არიან გამოჩინილი პიანისტი, პროფესორი ანასტასია ვირსალაძე და მისი აღზრდილი, უკვე საკვეთრედ დონობილი დილოი ვირსალაძე. განა მწონწებისა და სიამაჟის გრამების გარეშე იხსენიება სახელგანთქმული მხატვარი ქალის ქეთევან მაღალაშვილის სახელი, რომელსაც 70 წელი შეუსრულდა და კვლავ ახალაზრადული მგზვნებრებითა და სკეითით, სიღამაზითა და სიბრწინით წერს მადლი ოსტატობით აღბეჭდილ, საბჭოთა ადამიანების პორტრეტებს. ან ვინ წარმოსთქვამს კმეყოფილებსა და აღტაცების გარეშე მუდამ შემოქმედებითი წყით სისეც დღევანდელ ახლდებიანს სახელს, ვის თაონისმასთანაც არის დაეკურთხებული ქართველ მხატვარ ქალთა შე-

მოქმედებითი მოღვაწეობის არსაფად გაშლა. მკაფიო შემოქმედებითი კვლი დაინახეს ქართული თეატრის განვითარებას სახელმწიფოებში ვერაიო ანჯფარტიმ და სესლითა თაყიშულმა, რომელთა სცენური სახეები ქართული თეატრის ისტორიაში განუმარტებელ ტილოებად ჩრება. თეატრული საზოგადოების სააჟაოდ მოღვაწეობენ თეატრსა და კინოხელოვნებაში გამოჩინილი მსახიობები შედეგად ჯადარტედ და შედეგად ჩახავა. დღლი კეიწანედ და დლი დლია... ძლიერ ცხოველად ძაღლებად იქცენ მსახიობები: ქეთევან კიანად და სოფიო ჰიურტელი, ზანა კვერცხნიანიც და ბელა შირიანაშვილი, რომელთა შემოქმედება უკვედღელირად იზრდება და სრულყოფილი ხდება. საოპერო ხელოვნების ბრწინაფად გნას იღებს მომდერალი მღვდა ამირანაშვილი, კვლავინდებურად ქართული სახელტო სცენის შემწეებად ჩრება ვერა წენაძე, რომლის ვერტობი იზრდება მოცეკვაეთა ძლიერი თაობა. ფსადუდებდელ მოღვაწეობას


დ ი ა დ ი მ ი ზ ნ ი ს დ ი დ ი ძ ა ლ ა

ეწევა ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ერთობლივ ფუნქციონირებას ნინო ჩამიშვილი, რომლის დავწლიც შეფასება აწეობს გარდა მომავალსაც ვეისრება. მნიშვნელოვან აღზრდელობით და შემოქმედებით მუშაობს ეწევათ ხელოვნებასოციალურ ეთერ გუგუშვილი და პიანისტი ვინდა შიუჯაშვილი, ფორპიანისტი თეო აბაშვიდი, დრამატურგი მარია მარიაშვილი, ქორეოგრაფი დიდი ვეიწანედ და ბეკრი სვანი.

დღლი ქართველ ქალთა შემოქმედებითი წვლილი საბჭოთა ხელოვნებაში, დიდი იმტობ, რომ სახისხ პირობები შეიქმნა სოციალისტური ურთიერთობის საფუძვლებს განმტკიცებით, ადამიანის შრომისა და ინტელექტის განვითარებაში, ადამიანის მიმდღეოდ პოტენციური ძალების განვითარებაში, დღეს საშლდაწეო ასპარეზზე გამარტება და აჟეჯობება.

ქართველ საბჭოთა ქალბი უკველებიც მუღელგახსნილი ზედბოღენ და ახლც ზედბიან ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს, რადგან მათ აჟეთ რით იმეოვნ. მაგრამ ვასაყეთებულ კიდევ ბევრია: ქალთა თავით და ნიჭი ახლა უფრო მეტად სპირდება ჩვენი ხელოვნების განვითარებას, ჩვენს თეატრს, კინოს, მხატვრობას, მუსიკას, საშაატრო-მუსიკალურ სასწავლებლებს — უკველივ იმს, რაც ენსაბრებო, ადამიანების კომუნისტრად აღზრდას, მასების ესთეტიკური გემოვნების ამაღლებას, ფიქრება და გონებრივ შრომას შორის განმსახავებელი მიჯნების მოშლას.

საქართველოს შრომებლები, მთელი ქართული საბჭოთა ხელოვნება მხატვრებით აღნიშნავს საქართველოს ქალთა დამსახურებას მრავალფეროვან და რთულ დარგებში, დარწმუნებულად არიან, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქალბი შემოქმედებით სოციალისტური ხელოვნებისათვის ბრძოლის აუნჯადღში იღებებიან, იბრძობებენ ცხოვრების ღრმად ახსაველი მხატვრული ტილოების შესაქმნელად, ხელოვნებას და ცხოვრების დასახლოებლად, დასაქვემრტებლად, და ამით ადამიანებისათვის სიყვით, სიმშველიდა და სიღამაზის ახალი ძალით მოსახიფებლად. ეველფერს ვაჟიკებუნენ იმისათვის, რომ გამართლონ მართლის უკვედღელირად ურტადებება და მშუწენდობა საბოლოო მიზნის — კომუნისმის გამარჯვების დასაქარებლად.



დღემნიშვნელოვანმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ მოყლის რა-
ლით გვიჩვენეს, რომ თვატრების რეპერტუარის გაუმჯობესე-
ბისათვის ბრძოლა, ხალხის ცხოვრებასთან სასცენო ნიჭილოვნე-
ბის კიდევ უფრო დაახლოვება საბჭოთა თვატრის უმნიშვნე-
ლოვანესი იდეურ-შემოქმედებითი ხასიათის ამოცანაა.

უდავოა, რომ ჩვენი მყურებლის იდეურ-მხატვრული დო-
წე შეუდარებლად გაიზარდა, იგი ვეღარ ურიგდება ისეთი ნა-
წარმოებების სცენურ ხორცშესხმას, რომელიც არაფერს უბ-
ნებიან მის სულსა და გულს, არ ამდიდრებენ მის გონებრივ
პოროზონტს. ვერ გამოხატავენ მის ინტერესებს, მის სურვი-
ლებსა და მისწრაფებებს. ეს ფაქტი ძალიან დიდ მოთხოვნი-
ლებებს აყენებს ჩვენი სათვატრო მუშაკების წინაშე. მაგრამ
თვატრი ამ მხრივ ბევრს ვერაფერს გააკეთებს, თუ ხელთ არ
ქნება ჭეშმარიტად მალამხატვრული, იდეურად გამართული,
სრულფასოვანი ლიტერატურული ქმნილებანი დრამატურგიის
სახით. ამიტომ უპირველეს ამოცანად ჩვენს წინაშე დგას დრა-
მატურგიული ხელოვნების მკვეთრი ამაღლება.

ის გარემოება, რომ დღევანდელი ჩვენი მყურებელი გა-
ცილებით მეტ ინტერესს იჩენს თანამედროვე ცხოვრების ამ-
სახველი სექტაკლებისადმი, ვიდრე ისტორიული და, თუნდაც
კლასიკური რეპერტუარისადმი, გვაძილებს სულ სხვა პრინ-
ციპებითა და თვალსაზრისით მივლდეთ რეპერტუარის შედ-
გენის საკითხს, ვიდრე ამას ვაკეთებდით წარსულ წლებში.
წამყვანი ადგილი ჩვენს თვატრალურ აფიშებზე თანამედრო-
ვეობის თემატიკამ დაიკვიდრა და ამაში, თუ გნებავთ, ჩვენი
ეპოქის ნიშანდობლივი თვისებაც ჩანს.

ქართულ დრამატურგია მოწინავე რაზმმა უკანასკნელი
ორი ათეული წლის მანძილზე გარკვეული წარმატებები მოი-
პოვა თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებების შექმნის
სფეროში; ქართულ საბჭოთა სცენაზე არაერთხელ აღდგინებულა
ჩვენი ცხოვრების საინტერესოდ ამსახველი, კომუნიტური
იდეებით გამსჭვალული პიესა ქართველი დრამატურგისა,
მაგრამ რაც ამ მხრივ დღემდე შექმნილა, ძალზე მცირეა იმ
მოთხოვნილებებთან შედარებით, რომელთაც პარტია და ხალ-
ხი, ჩვენი მყურებელი საზოგადოებრიობა უყენებს თვატრსა
და დრამატურგისა.

საქართველოს თვატრების გასული, 1962/63 წლის სეზო-
ნის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ჩვენმა თვატრალურმა კო-
ლექტივებმა გარკვეული შრომა გასწიეს თანამედროვე ცხოვრე-
ბის ამსახველი პიესებით რეპერტუარის გამდიდრებისათვის.
ასოცდაათი ახალი სექტაკლიდან, რაც გასულ სეზონში გან-
ხორცილდა რესპუბლიკის სახელმწიფო თვატრების სცენაზე,
სამოცდაათხუთმეტი სექტაკლი მიეძღვნა თანამედროვე თემს.

ესადა, რიცხოვრივი მაჩვენებლების გაზრდა ჯერ კიდევ
არ ნიშნავს საკუთრე ნაწარმოებთა ხარისხის ამაღლებასაც,
მაგრამ თანამედროვე თემატიკისაგან სწრაფვის ეს ტენდენცია
დამახასიათებელია დღევანდელი ჩვენი თვატრისათვის.

ახალი, 1963/64 წლის თვატრალური სეზონიც ამ მხრივ
აგრძელებს იმ გეზს, რაც წინა სეზონში დაისახა. ამგვამადც
ჩვენი ყოველდღიური ზრუნვის საგანი კვლავ ახალი სრულ-
ყოფილი ნაწარმოებებით რეპერტუარის გამდიდრება-განა-
ხლებია. ამ მიზნით იენისის პლენუმის შემდეგ საქართველოს
სსრ კულტურის სამინისტრომ განაორცილა მთელი რიგი

ქართული საბჭოთა

თეატრი

ახალი ამოცანების

წინაშე

თენგიზ ჯანელიძე



იტრატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან პარ-
ტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ცნობილმა
შეხვედრებმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ-
ტიის ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმმა უაღრესად
ფართო და ნათელი პერსპექტივები გადაშალა ლიტერატურისა
და ხელოვნების მოღვაწეთა წინაშე. პარტია ამ იდეოლოგიური
მუშობა კონკრეტულად დაუკავშირა ჩვენს ქვეყანაში კომუ-
ნიზმის მშენებლობის ამოცანებს და ამით თვისობრივად ახალ
საფეხურზე აიყვანა იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა საქ-
მიანობა. ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მომხდარმა ამ



ღონისძიებანი, რომელიც, იმედია, გარკვეულ დამხმარებას გაუწევინებს თეატრებს მათ წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტაში.

საკვ ცენტრალური კომიტეტის იენისის პლენუმმა მოელის სიმწვაფით დაყვანა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველაფერს გამომწვევადანში შურირგებელი პიძოლის საფუძვლი. ამასთან დაკავშირებით გულდასმით იქნა განხილული ჩვენი თეატრების მოქმედი რეპერტუარი და იგი გაიწმინდა ისეთი ნაწარმოებებისაგან, რომლებიც იდეური მიმართულებით, ფილოსოფიით უცხო და მიუღებელი იყვნენ საბჭოთა მყურდლისათვის. პირველ რიგში რეპერტუარი გაიწმინდა უცხოეთის დრამატურგიის ისეთი ნიმუშებისაგან, რომელთა დადგმას ადრე ნაუღლბად კრიტიკულად ვუდგებოდით. რეპერტუარიდან ამოღებულ პიესათა რიცხვში მოხვდა ზოგიერთი ჩვენი ავტორის პიესაც, რადგან ისინი იდეური და მხატვრული სისუსტის გამო არ იმსახურებდნენ სცენური განხორციელების ესოდენ დიდ პატივს.

საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეციამ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ შეიმუშავეს ღონისძიებანი საუკეთესო თანამედროვე პიესაზე რესპუბლიკური კონკურსის ჩასატარებლად. იმედო ვეაქვს, კონკურსი მრავალ ახალ საინტერესო ნაწარმოებს გამოაღწესს და მომავალი სეზონისათვის ჩვენი თეატრების სარეპერტუარო პორტფელი კიდევ უფრო გაიზიარდებდა სრულფასოვანი დრამატურგიული ქმნილებებით.

დრამატული თეატრების მუშაობის ხელმძღვანელობის კოორდინაციისა და თეატრების სარეპერტუარო საქმიანობის კონტროლის მიზნით შეიქმნა საქ. სსრ კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო საბჭო, რომელიც განიხილავს სარეპერტუარო გეგმებს, აღმოფხვრის პარალელურად ახალ დადგმებზე მუშაობის დროს, შეიმუშავებს დრამატული ნაწარმოების სარეკომენდაციო სიებს და სხვა.

ცნობილია, აგრეთი ქვეყნის სასცენო ხელოვნებას არ მიუღწევია ჭეშმარიტი განვითარებისათვის ეპოქის სულისკვეთების გაიშინაბატელი მაღალმხატვრული ეროვნული დრამატურგიის გარეშე. ამის ნათელი დადასტურება ისტორია დიდი ტრადიციების მქონე რუსული სასცენო ხელოვნებისა, რომლის სულისჩანდემელი და მასაზრდოებელი იყო გრიბოედოვისა და ოსტროვსკის, გოგოლისა და პუშკინის, ჩეხოვისა და გორკის ნაწარმოებები. საბჭოთა თეატრალ კაჟის თავისი თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომელთა საუკეთესო ნაწარმოებები საბჭოთა დრამატურგიის კლასიკას განეკუთვნება. მაგრამ ჩვენმა ეპოქამ სრულად ახალი, განსაკორბეული შემოქმედებითი ამოცანები დაყენა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების, კერძოდ, დრამატურგების წინაშე. ცხოვრების სიღრმეში ჩაწვდომი, ჩვენი ადამიანების მიზნებისა და მისწრაფებების, მათი სულისკვთების ნათლად გამოხატვის უნარი — შუაგებელი მხატვრულ ტლანტთან, — აი ის ძირითადი თვისება, რაც ახასიათებს საუკეთესო საბჭოთა პიესებს და რის გარეშე წარმოადგენელია ჭეშმარიტად მაღალბარისსოვანი, მავრებელთა ფართო მასებისათვის მისაგები, საინტერესო და ამაღლებელი სცენური ნაწარმოებების შექმნა. როდესაც ჩვენი პიესებისათვის დამახასიათებელ ნიშანდობ-

ლივ ნაკლებ ვლამარაკობთ, პირველ რიგში ვგულისხმობთ იმ თემატიკურ შესუდულებას, ფილოსოფიური ქმნილებებისა და პირობმატიკის უნიშვნელობას, ტრეჟაჟურისაგან მრავალი ჩვენი დრამატურგიული ნაწარმოებისა. დღევანდელ მყურდლებს ვერ აადრებულ და ვერც ესთეტიკურ სიამოფებას მოჰკვრი ისეთი პიესებით, სადაჟ ჭეშმარიტ შემოქმედებით აღმოფხვრის ცივი გონებით გაზომილი ხელისნობა ცვლის, აზრის და პრობლემის სიღრმესა და მნიშვნელობას — მოჩვენებითი კონფლიქტი, ხოლო სისხლსავეს, საინტერესო ადამიანებს — მხატვრული სიციხესებს მოყვებულ სტემატიკურ პერსონაჟთა მშრალი დიდატეკია.

ჩვენი უკანასკნელ ხანს მეტისმეტად მომრავლდნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „კრიტიკული პათოსის“ დრამატურგები, რომელთა ნაწარმოებში მხოლოდ კომინანტორებისა და რეციდივისტების, მაქინატორების, მექთამაჟებისა და პარაზიტების, ჩვენი სინამდვილის ხორცმცემების ცხოვრება ასახული. ასეთი პიესების განხილვის შემდეგ ისეთი შობადილება გრჩება, თითქოს ჩვენი ცხოვრებაში მხოლოდ ამ მანკიერ მოვლენებს დაუსადგურებიათ. მეტი გულისხმობება და ზომიერების გრძობა, მეტი ალო და თუ გნებავთ, მეტი სიყვარულიც გვმართებს ჩვენი ადამიანების მიმართ, როცა მათი ცხოვრება სცენაზე გადმოვაცქავს.

ცხადია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენ არ ვითვალისწინებდით და ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებდით სატიკური მიხილების ძალას, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას გვერდი აუღოვით ჩვენი თანამედროვეობის საუკეთესო მხარეების ნათელ მხატვრულ ფორმებში ასახავს, არ გავითვალისწინოთ, რომ მომავალი თაობის აღზრდის ინტერესებში, პირველ რიგში, დადებითი, მისაბამი მაგალითების ჩვენებას ითვალისწინებს. ჩვენ უნდა აღვსარდდეთ სამშობლოს ერთგული მოქალაქეები, რომლებიც წმინდად დაიცავენ თავიანთი მამების რველუციურ მონაპოვარს და არ დაიშურებენ ძალას ნათელი მომავლისათვის ბრძოლის გზაზე. აი, სწორედ ეს მოქალაქეობრივი პათოსი, რომანტიკული გზუნვა და გმირული შემართება აკლიათ სიზრდა ჩვენი დრამატურგების ნაწარმოებებს და სწორედ ეს არის უთავრესი მიზეზი თანამედროვეობის თემაზე შექმნილი ზოგიერთი სპექტაკლის უფერულობისა და საზოგადოებრივი უნიშვნელობისა.

ქართული სასცენო ხელოვნების წინაშე კვლავ მწვავედ დგას დღის წესრიგში თანამედროვე გმირის პრობლემა. დღემდე ვერ ძილბა რამისი შუქი ჩვენი გმირული სინამდვილის შესაფერისმა, მხატვრულად და იდეურად სრულყოფილმა სცენურმა სახემ, ისეთმა გმირმა, რომელიც სამაგალითო, მისაბამი იქნებოდა ჩვენი ხალხისათვის და რომელიც შემოქმედებითი თვალსაზრისით კლასიკური მხატვრული ქმნილების დონემდე ამაღლდებოდა. ეს მრავალმხრიობა, იდეური სიღრმე და ფილოსოფიური განზოგადება ის საუფრებელი მხატვრული შემოქმედებისა, რის გარეშე შეუძლებელია შექმნა ჭეშმარიტად ფასვლელი ლიტერატურისა და ხელოვნებაში.

ძალიან ხშირად გვეხმის საყვედურები იმის თაობაზე, რომ ქართულ სცენაზე მეტ წარმატებას პოულობენ პიესები კლასიკური ანდა თარგმნილი რეპერტუარიდან, ხოლო სცენაზე



ასახელი ჩვენი ცხოვრება ხშირად ძალზე უმნიშვნელოდ, ნაკლებ საინტერესოდ გამოიყურება.

სამართლიანობა მოითხოვს ვალირათ, რომ ამგვარი საყვედური უსაფუძვლო არ არის და უნდა ითქვას ისიც, რომ ამაში ჩვენი თეატრებთან ერთად ქართველი მწერლებიც არიან დამნაშავენი. ჩვენი მწერლები და დრამატურგები თეატრთან ერთად დიდ ვალში არიან ხალხის წინაშე, ხალხისა, რომელიც საოცარ, განადირობულ საქმეებს ასწავლის სინამდვილეში, რაღაც ცხოვრებაზე და რომელიც ასე უღელმალაოდ, ასე უინტერესოდ გამოიყურება თეატრების სცენიდან.

ჩვენი რესპუბლიკის დრამატული თეატრების მუშაობა მიმდინარე თეატრალურ სფეროში გაკვეთილი აღმავლობის ნიშნით წარინათავსება. გასულ წლებთან შედარებით ახალი თეატრალური სფერო ინტენსიურად წარმართა რუსთაველის სახელობის თეატრმა. მიმდინარე სეზონში იგი უკვე ოთხი პრემიერით წარსდგა მაყურებლის წინაშე. თეატრის კოლექტივმა მათეატრებს უწევს ახალგაზრდა დრამატურგის ო. შამიგორას კომედია „მეტეხის ჩრდილოში“. შემდეგ ჩვენ ვიხილეთ ვ. როსოვის პიესა „ვახშობის წინ“.

მიხელ თუშანიშვილმა განახორციელა „პოეზიის საღამო“. იგი მიზნად ისახავს ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს თეატრის სცენა ტრიბუნა და მისცეს და თვითონ მსახიობებში და მაყურებელშიაც გაამანახილოს პოეტურ ნაწარმოებთა კითხვის კულტურა. ჩვენ მივყავალვებით თეატრალურ პრაქტიკაში შემოსულ ამ სახალსს, თუმცა ბევრი რამ აქ პრინციპულად საკამათო და დასახუტებელია. მიგვანია, რომ ეს გაუპრობინტერესო ფართო საზოგადოების მსჯელობის საგნად უნდა იქცეს.

თეატრის მხატვრულმა ხელმძღვანელმა დ. ალექსიძემ დადგა ბერტოლდ ბრეჰტის „სამეორომანი ოპერა“. ამ ნაწარმოების დრმა ფილოსოფიური და სოციალური იდეა ოპერების მსუბუქი ჯარჯავა მორგებული, და ეს ავტორის ერთგვარი ხერხია ბურჟუაზიული წყობილების საშინაობლად. ფორმის შირიც ეს წარმოადგენა უთუოდ ორიგინალური და საინტერესოა.

მიმდინარე თეატრალურ სეზონში კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრმა პირველ პრემიერად მაყურებელს უჩვენა კ. ტრენიოვის „ლოთოვ იაროვია“. ამ პიესის წარმოდგენა მისასალმებელი ფაქტია, ვინაიდან, სამწუხაროდ, საბჭოთა კლასიკა ჩვენი სცენის არც ისე ხშირი ტექსტარია. შექსპირის ცნობილი კომედიის „აურზაური არაბრის გამო“ შემდეგ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დაიდგა საქმეტკალი „ნოველების საღამო“. ეს არის ერთ მთლიან სცენურ კომპოზიციად შეგროვილი ოთხი ნოველა ახალგაზრდა ქართველი მწერლებისა. იგრძნობა, რომ მარჯანიშვილის თეატრი თანამედროვე თემის ორიგინალური გადაწყვეტის გზას ეძებს და არ შეიძლება მზარდ არ დავუტოვოთ ამ მისწრაფებას, მით უმეტეს, ეს ძიება ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლების თეატრში მოყვანასთანადაცააჭირებული.

მწეოდლობისათვის ბრძოლის ღმგამს მიუძღვნა თეატრმა გიორგი მდიუნის კომედია „კონსული მოიპარეს“. ამ ხალხიანი, გონებაშავილური პიესის პრემიერა სულ ახლახანს შედგა. ამჟამად თეატრი გ. შატერაშვილის „თუნგოს სიმღერასა“

და რ. ჯაფარიძის „ქარისკაცის ჭერზეზე“ მუშაობს. ჩვენ გვჯერა, რომ მარჯანიშვილელთა ნიჭიერი კოლექტივი შესძლებს ამ დრამატურგულ მასალაზე საინტერესო წარმოდგენების შექმნას.

გრიობოდოვის სახელობის თეატრმა მიმდინარე სეზონში ხუთი პრემიერა უჩვენა: როსოვის „ვახშობის წინ“, შტინინის „ოკანე“, ბერძენი დრამატურგის ფსათასის „საჭიროა მატყურა“, „ანა ფრანკის დღიური“ და თანამედროვე გერმანელი დრამატურგის კ. ვილნიგერის ტრაგიკომედია „პარსკვლავიდან ჩამოსული კაცი“. მაყურებლით საყვე დარბაზი ნათლად მეტყველობს იმაზე, რომ თეატრის ხელმძღვანელობა გონიერად წარმართავს თეატრის სარეპერტუარი გეზს.

თანამედროვე რეპერტუარის დამკვიდრებისა ინტენსიურ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის სხვა თეატრებიც.

ქუთაისის თეატრმა განახორციელა ი. ვაკელის „ხელაშვილების ოჯახი“ და გ. აბაშიძის „მოგზაურობა სამ დროში“. ბათუმის თეატრმა შ. როყვას „მინდვრის დედოფალი“ და ა. სამხონიას „ჩემი შვილი სიმონი“. სოხუმის თეატრმა მაყურებელს უჩვენა გ. აბაშიძის „მოგზაურობა სამ დროში“ და არჩილ სულაკაურის პიესა „წყალიდობა“. ცხინვალის თეატრის ქართულმა დასმა დადგა ვ. გოგოლაშვილის „წეროები“. ასევე გუდღამით მუშაობენ თანამედროვეობის ამსახველ პიესებზე რესპუბლიკის სხვა თეატრებიც.

თანამედროვე ქართული დრამატურგიის აქტიური მხარდაჭერა ჩვენი თეატრის პერსპექტიული წინსვლის საფუძველია. თეატრის ვალია იზრუნოს დრამატურგისათან, მწერლობასთან, კომპოზიტორებთან მჭიდრო კავშირის დასაინტერგავად, ვინაიდან არც თეატრს და არც დრამატურგიას უერთმანეთოდ ნაწევილი არსებობა არ ძალდება. საჭიროა ვაერთანეხლები ძალით ვიზრუნოთ თანამედროვე რეპერტუარის შექმნადად.

საკვ ცენტრალური კომიტეტის იუნისის პლენუმზე სახგასამით აღინიშნა, რომ ჩვენი ხალხი ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებისაგან მოელის „ნაწარმოებებს, რომლებიც ასახავენ ცხოვრების მთელ მრავალფეროვნებას, საზოგადოებრივი და ზნეობრივი შეგნების სხვადასხვა დონის ადამიანებს, მაგრამ ასახვენ სწორად, ხაზს უსვამენ ჩვენი სინამდვილის იმ მხარეს, რაც ძირითადი და წამყვანია...“

რეველუციური რომანტიკა, გმირული შემართება, ბრძოლისა და შრომის დაუოკებელი წყურვილი — აი ის ძირითადი თვისებები, რომლებითაც გამოირჩევიან საუკეთესონი საბჭოთა ადამიანებს შორის და რომლებიც საინიშუმოდ უნდა ვაქციოთ ჩვენი ხალხისათვის. ყოველ საწარმოში, ყოველ ფაბრიკასა და ქარხანაში გვეყავს შრომის გმირი, სიტყვით კი არა, საქმით მშენებელი კომუნისტისა, რომელიც უნაგაროდ, მზარის ვარშე, მაგრამ მტკიცედ და მუშოვრად ჭედს ზვალადდეულ დღეს. ასეთი გმირები გვეყვანან, ისინი ძალიან ბევრნი არიან, საჭიროა მხოლოდ მათი დანახვა და დანახულის ფართო მხატვრული განვითარება.

პარტის მიერ ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკთა წინაშე დასახული დიდი ამოცანების განხორციელება ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის, კერძოდ თეატრალური მოღვაწეების, საპატიო ვალია.



რევოლუციური ტრადიციების მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება



თბილისის 26 კომისიის რაიონის დიდი რევოლუციური ტრადიციები გაანია. შალი წინადად და ვაგრძელება მშრომელთა ერთ-ერთი საზრუნავია. ამას წინათ აქ გაიხსნა რევოლუციური ტრადიციების მუზეუმი, რომელიც ასაბავს რაიონის მშრომელთა სახელოვან საბრძოლო წარსულს, თავდადებულ შრომას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის, მათ დეაწლს კომუნიზმის მშენებლობაში.

მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე გამოვიდნენ ძველი რევოლუციონერები, რაიონის საწარმოთა, დაწესებულებათა წარმომადგენლები, კულტურის მუშაკები, რომლებიც შეესალმნენ ამ მისაბამ თაოსნობას.

თბილისის 26 კომისიის პარტიის რაიონის მდივნები ე. მონაშვილი და ს. გამბეკელი ახსუტებენ რევოლუციური ტრადიციების მუზეუმის ექსპოზიციას



ნომ რაიმე კონკრეტულ საგნობრივობას. აბსტრაქტულ ნაწარმოებში კონკრეტულ საგნობრივობას მოკლებული ნაწარმოებია.

აბსტრაქციონისტი მხატვრები სხვადასხვა მოსაზრებებს განაშთაყაენ ზოლმე ამ მეოთდის განსართლებლად. მათი მოსაზრებების გათვალისწინება აუცილებელია აბსტრაქციონისტული ესთეტიკის დამაჯერებელი კრიტიკისათვის.

ცნობილია, რომ ზელოვნებას ორი ძირითადი მხარე გააჩნია: ზელოვნების ნაწარმოები ერთი მხრივ გრძნობადლ თვალსაჩინო კონსტრუქციას წარმოადგენს, ხოლო მეორეს მხრივ იგი სწრაფდ ამ მხარის საშუალები ავლენს, გამოხატავს რაღაც ისეთ ვითარებას, რაც არ დანახება გრძნობადი „თვალით“ და რაც სხვაგვარი ზედვის, სახელდობრ, გონითი (ДУХОВНОЕ) ზედვის საგანია. პირველ მხარეს პირითად შეიძლება ფორმა ეწოდოს, მეორეს — შინაარსი. ეს უკანასკნელი საბოლოო ანგარიში მხატვრის მიერ ადამიანური სამყაროს, ადამიანის არსებობის შესაძლებლობების, შინი ზედვის აბეთ თუ ისეთ განცდასა და გაგებას, ინტერპრეტაციას წარმოადგენს. ზელოვნების ნაწარმოების ფორმას ორგვარი ფუნქცია აქისრია: მას ერთის მხრივ იოლი, მოხერხებულნი, სისამოვნო აღქმადობა ევალება, ხოლო მეორეს მხრივ — გარკვეული შინაარსის ადებუქტური, ინტენსიური გამოხატველობა. ზელოვნების ნაწარმოების აღქმით ვაირობებული სიამოვნება ერთის მხრივ გრძნობადი „თვალის“ ტბობა, სიამოვნება, ხოლო მეორეს მხრივ — გონითი სიამოვნება, გონითი სიხარული, გრძნობადლ თვალსაჩინო ფორმაში არათვალსაჩინო შინაარსის გამოხატველობის განცდა. აჩბებოს თვალსაჩინი, რომლის მიხედვითაც ზელოვნების ფორმა თავისუფლდება მეორე ფუნქციისაგან — გარკვეული შინაარსის გამოხატველობის ფუნქციისაგან. ეს თვალსაჩინი ფორმალისმის სახელთაა ცნობილი.

გასაგებია, რომ ფორმალისტური თვალსაჩინი შეიძლება გახდეს აბსტრაქციონისტული ესთეტიკის თავისებური „სახუთი“. მას ფაქტურად იველიებენ ზოლმე აბსტრაქციონისტები. ცნობილი აბსტრაქციონისტი მხატვარი პაულ კლეე წერდა: „მამინ როდესაც მხატვარი ცდილობს ისე წმინდად და ლოკურად დაალაგოს ფორმალური ელემენტები, რომ უყოველი მათგანი თავის აუცილებელ დავლას მოთავსდეს და ერთმანეთს ზელს არ უშლიდენ, მის ზურგს უკან მდგომი ვინმე პაროფანი მისჩერება უყოველიე ამას და გამამდგურებელ შენიშვნას გამოსთქვამს: «ეს სრულადაც არა მუგან ძიაკაცის! ხოლო მხატვარი, თუკი მას კარგად დისციპლინირებულნი ნერვები აქვს, ფაქრობს თავისთვის: „ძიაკაცი ძიაკაცია, მე კი უნდა განვავარტო შენება“. ეს აბალი საშენი მასალა რამდენადმე მძიმეა და ზედმეტად ვადანწონის მარცხნივ; მე შეიძლება ვარ რაიმე დავუბატო მარჯვნივ, რათა წონანწრობა აღადგინო“. და იგი მონაცველობით უმატებს მასალას ზან ერო, ზან მეორე მხარეზე, სანამ შერყევოს სასწორი და ვერ გაწონანწრობულა“.

მართლაც, თუკი ზელოვნებას მხოლოდ გრძნობადი თვალის ტბობა ევალება, მაშინ მიწაწმენილი ადარაა კონკრეტული, ბუნებრივი საგნების გარგნობისადაც მიღვენება. მხატვრის ფანტაზიას უყოველივის შერულია მოცემული ამოცანისათვის უფრო შესაბავისი კონსტრუქციის შექმნა, ვინმე საგანთა ბუნებრივი კონსტრუქციითა. როცა აბსტრაქციონიზმი ფორმალისმის სიბუბს ეტრდნობა, მაშინ მისი კრიტიკა ფორმალისტური თვალსაჩინის კრიტიკაზე დაეყვანება; ხოლო ფორმალისტური თვალსაჩინის კრიტიკის საზოთ აქ შეიძლება იმ შენიშვნას დავჯერდეთ, რომ ფორმალისტური ინტერპრეტაციის მიხედვით ესთეტიკური განცდა, საბოლოო ანგარიშიში, ფიზიოლოგიურ სიამოვნებათა რიგში დგება, ზელოვნების ულუი ზემოქმედება თვისებრივად ფიზიკურ-ფიზიოლოგიკურ ზემოქმედებას უთანაბრდება, ესთეტიკური სიამოვნება უზარალოდ თვალის მოთხოვნილება დასაყოფილებლავ დაიყვანება. თუკი ავეჯრა ზელოვნების მალლი, სპეციფიკურად ადამიანური ღირებულება, მაშინ შეიძლებელია ვაეზიაროთ ფორმალისტური თვალსაჩინი, რომლის მიხედვითაც ესთეტიკური განცდა თავისუფალია გონითი რეაქციისაგან.

მაგრამ აბსტრაქციონიზმის კრიტიკა არ შეიძლება დასჯერდეს

აბსტრაქციონისტული

ესთეტიკის

კრიტიკისათვის

ჭურბა კაკაბაძე

ფილოსოფიურ შევნიტებათა კანდიდატი



აბსტრაქციონიზმს ზოგჯერ განიხილადენ როგორც თავისებურ სნობიზმს. სნობი ეტანება უყოველიე იმას, რაც უჩვეული და უცნაური ჩანს. აბსტრაქტული ზელოვნება დიდი ცდუნებაა სნობისათვის. აბსტრაქტული ვისაგებია, რომ აბსტრაქციონიზმი არსებობს სნობისტური მოვლის საბოთაც. მეგრად ცხელია ისიც, რომ აბსტრაქციონისტული შინაარსი ზელოვნებაში ამით არ ამოწურება. იგი უპირველეს უყოველისა რაღაც სერიოზული მოვლენაა. სერიოზულობა ან შემოხვევაში სრულადაც არ ნიშნავს გამართლებას; არსებობენ სერიოზული შედეგები და სწორედ ისინი იმხატვრებენ საგანებლდ მკაცრ კრიტიკას. აბსტრაქციონიზმი ზელოვნებაში მდგარი, მაგრამ სერიოზული ტენდენციაა. ამ მხრივ იმხატვრებს იგი ფილოსოფიურ და ესთეტიკურ განვჯას.

აბსტრაქციონიზმი, ვიწრო აზრით, სახვით ზელოვნებას ეტება. ამ ცნებით ახასიათებენ ზოლმე სახვით ზელოვნების ისეთ ნაწარმოებს, რომლის გამოხატულებაც არ შეიცავს ერთმნიშვნელოვნად ამოსაც-



ფორმალისტური თვალსაზრისი კრიტიკას; საქმე იმაზე, რომ ახს-
ტრაციონისტული მეთოდი უკუვლავის არ არის ფორმალისტური
თვალსაზრისით მოტივირებული, არამედ, პირაქით, მის განსაზღვ-
რულად უფრო ხშირად შინაარსის გაზრდებისა და ამ დროს შინა-
არსის ადეკვატური, ინტენსიური გამოხატვის მოყვანის ასახვებზე,
ახსტრაციონისტული მხატვრები (და შესატყვისი თეორეტიკოსები) აღ-
ნიშნავენ, რომ ნამდვილი ხელოვნება საქმარის შეტვიფრების ხი-
ლარმეს უნდა გამოხატავდეს; ნამდვილი მხატვარი უნდა იყოს „ში-
დალული ან არ უნდა იყოს, არამედ ნაოღმობილი“ (დელენე).
მათი აზრით, აიგვარა აზოკანის განხილვებზე მხოლოდ ახსტრაც-
იონისტური თვალსაზრისით მიიღწევა. განვიხილოთ უკუვლავე ეს
ცნობა უფრო დაწვრილებით.

აქამაინური სამყაროს სიღრმეში მოქმედებენ გარკვეული ძალები,
ტენდენციები, რომელთაგანაც საბოლოო ანგარიში და მოკიდებუ-
ლება აღამაინის ბედს, მისი არსებობის შესაძლებლობები და საზ-
რისი. ეს ძალები, ტენდენციები, მოქმედებენ ან გარდასრულებული
დასრულებული საგნების, მოვლენებისა და სიტუაციების, თვითონ არ და-
ინახებიან გარდასრულებული თვალის, ის, რაც დანახება უნდა იყოს,
გარდასრულებული თვალის, და რაც აიგვარა დასრულებული აღწერის მიიღ-
წევა, სამყაროს გარდგობა და შედარება; მაგრამ სამყაროს ამ გარ-
დგობისა და შედარების საშუალებები მათ მიღმა აღამაინი გრძი-
ლი „ოვალი“ ბედსა, „იჭვრის“ სიღრმეს, ამ სიღრმეში მოქმედ
ძალებსა და ტენდენციებს, მხატვარი ბედსა და განიცდის მათ, შე-
სატყვისად ბედსა და განიცდის აღამაინის ბედს, მისი არსებობის
შესაძლებლობებს. იგი ცდილობს გამოხატოს უკუვლავე ეს თავის
წინააღმდეგობა. ამ ფარულ, შინაგან ძალთა და ეპოქაგებობა ადეკვა-
ტური და ინტენსიური გამოხატვის მოყვანა მოითხოვს ისეთი გა-
მოსახლების შექმნას, რომელიც საგნთა ბუნებრივ-მართლად
გარკვევით შემოქმედებით გადამქმნას წარმოადგენს. ტრადიციულ
გარსევანიშვილი დიდ პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად კვლავ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამაშულო ნავსადგურმშენებლობის მთელი რიგი პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში. 1885 წლიდან 1893 წლამდე იყო კომერციული ნავსადგურების მშენებლობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. კომისიაში რვა წლის მუშაობის მანძილზე, რუსეთის ნავსადგურებში ჩატარდა გრანდიოზული სამუშაოები. აგებულ იქნა ძირითადი ნაგებობანი: ლიბავკისი, ნოვოროსიის, იალტის, ფეოდასიის, მარიუპოლის ნავსადგურებში; დიდი მასშტაბის სამუშაოები იქნა ჩატარებული აგრეთვე ოდესის, ტავანოვის და სხვა ნავსადგურებში.

პეტერბურგის გზათა მიმოსვლის საინჟინრო ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობისაგან განთავისუფლების შემდეგ 1901 წელს, მიხეილ გარსევანიშვილს ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭა ინსტიტუტის საპატიო მწრუნელობის წოდება. ინსტიტუტის საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით არჩეული იქნა აგრეთვე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საპატიო წევრად. ამავე დროს იყო რუსეთის გზათა მიმოსვლის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს წევრი და რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულების — ძიდროლოგიური კომიტეტის, რუს მოღვაწეთა ყრილობის, წყალთა

მიმოსვლის მუდმივი კომიტეტის, საგზაო მიმოსვლის ინჟინერთა კრების ტექნიკური განყოფილების საბჭოსა და სხვათა ხელმძღვანელი.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, მთელი თავისი შესაძლებლობით და მონდომებით განაგრძობდა მუშაობას. ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-საინჟინრო კადრების მომზადების საქმეს. 1905 წელს დაწესებულ იქნა მიხეილ გარსევანიშვილის სახელობის პრემია. თვალსაჩინო მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის იგი მრავალჯერ იყო დაჯილდოებული ორდენებითა და მედლებით.

მიხეილ გარსევანიშვილი გარდაიცვალა 1907 წლის 16 მაისს, 78 წლის ასაკში, პეტერბურგში, მისი საფლავის ქვაზე წარწერილია: «Трудился всю свою жизнь и честно умер».

გარსევანიშვილის მოღვაწეობამ დიდი როლი შეასრულა თავისი დროის რუსული სამშენებლო ხელოვნების განვითარების მრავალფეროვან დარგებში. ამიტომ მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიაში იგი დარჩა, როგორც გამოჩენილი სპეციალისტი საზღვაო ნავსადგურების ჰიდროტექნიკის დარგში, უდიდესი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი-აღმწრდელი ახალი სამეცნიერო და საინჟინრო კადრებისა.

გარსევანიშვილი დიდ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევდა რუს ინჟინრებსა და მეცნიერებს ჰიდროტექნიკაში და ხელოვნების, სამეცნიერო შრომებისა და სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის საქმეში. მისი უშუალო დახმა-

რებით და ხელმძღვანელობით დაიწერა და გამოიცა კაპიტალური შრომები საზღვაო ჰიდროტექნიკაში: პრინციპური: ა. გ. ნიუბერგის, ნ. ი. ვოზნესენსკის, დ. ი. ტარინციოს და და სხვების. მისი მოწოდებებიდან ვ. ე. ტიმონოვი რუსეთის ჰიდროტექნიკის უდიდესი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი გახდა, ა. რ. მულიაჩენკო — გამოჩენილი სპეციალისტი და მკვლევარი ჭიმიისა და სამშენებლო მასალების ტექნოლოგიის დარგში.

მიხეილ ნიკოლოზის ძე გარსევანიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით ინიერები მ. ა. შისტოვსკი, დ. დ. გნუსინი, ნ. ი. ვოზნესენსკი და სხვები შემდგომში, როგორც სპეციალისტები, სათავეში ჩაუდგნენ რუსეთის ნავსადგურების მშენებლობას და გამოჩენილი მეცნიერები-პედაგოგები გახდნენ.

მ. გარსევანიშვილის მოწოდებებია აკადემიკოსი ბ. ე. ვედენევი, უდიდეს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის ხელმძღვანელი საბჭოთა კავშირში, და გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, რუსეთში ზიდების მშენებლობის დიდი სპეციალისტი პროფ. ვ. ბ. ხელთუფლიშვილი. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ცნობილი წარმომადგენლები — პროფ. ე. კ. ბლიზნაიკა და სოციალისტური შრომის გმირი აკადემიკოსი ე. თ. პატკონი.

მიხეილ ნიკოლოზის ძე გარსევანიშვილის, როგორც დიდი მშენებლის, თეორეტიკოსისა და პედაგოგის ცხოვრებამ და მოღვაწეობამ წარუშლელი კვალი დასტოვა ჩვენს მეცნიერებაში.

2. გარსევანიშვილის შრომები



უ

კვე სამი ათეული წელია, რაც მოსკოვში ცხოვრობს და ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას უწევა პირველი ქართველი არფისტი, დოცენტი მიხეილ მჭედლიშვილი. ამ ნიჭიერი მუსიკოსისა და შესანიშნავი პედაგოგის სახელი დიდი ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. ამჟამად საბჭოთა კავშირი — წერდა შარშან გამორჩეული ამერიკელი არფისტი არისტიდ ვურტსლერი — ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ არფისტად ითვლება მიხეილ მჭედლიშვილი. იგი ამავე დროს თვალსაჩინო პედაგოგია და ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც განუწყვეტელი ზრუნავს არფისტების მუსიკალური ლიტერატურის გამდიდრებაზე". (Aristid von Wurtzler. Music Journal. vol. XXI, No. 2/feb. 1963).

მიხეილ პავლეს ძე მჭედლიშვილი დაიბადა 1903 წელს ბათუმში. მამამისი პავლე ლუკას ძე თავისი დროისათვის მეტად განათლებული და ცნობილი პიროვნება იყო. საინტერესო მასალას გვაძლევს ამ მხრივ ზ. ტიხონაძე, რომელიც პავლე მჭედლიშვილის დახასიათებას თავის წიგნში, „ქართველი კათოლიკენი ყველა აპარტხენედ და ზოგი რამ წერილები დასავლეთ საქართველოზე“, მთელ ოთხ გვერდს უთმობს. მჭედლიშვილი — გვითხვითობს წიგნი — ყველა საქმეში, ყველა დაწესებულებაში არის სამაგალითო ადამიანი, დიდი მამულიშვილი, მართლმსაჯული და დაუღალავი მუშაი. იგი ისეთი ქართველია, რომლის მსგავსი პირნი ჩვენს დროში იშვიათად მოიპოვება. ამავე დროს, მ. მჭედლიშვილი დიდი მოტირფილად ყოფილა ქართული მწერლობისა და ეურნალისტიკისა და აქტიურადაც თანამშრომლობდა თურმე იმდროინდელ პერიოდულ პრესაში. საკუთარი ნაწარმოებებისა თუ კორექტირების გარდა, იგი თარგმანებაც ასთავებდა „ივერიაში“, „დროებაში“ და სხვ. ბრწყინვალედ სცოდნია მას ფრანგული ენა. „ფრანგულის ცოდნაში ძნელად რომ მას ვინმე შეედაროს ჩვენში“ — შენიშნავს ზ. ტიხონაძე.

პატარა მიხეილი თავიდანვე გაიტაცა მუსიკამ. ჯერ ფორტეპიანოს უკრავდა, მაგრამ შემდეგ გიტარას მოჰკიდა ხელი და შესწავლა კიდევ სრულყოფილად. 1923 წელს იგი თბილისში ჩამოვიდა კომპოზიციის შესწავლად, მაგრამ მამინ ჩვენი კონსერვატორია ახლად დაარსებული იყო და კომპოზიციის დარგი, როგორც ასეთი, არ გააჩნდა. ამიტომაც, გადაწყვიტა ისევ სიმებიანი საკრავი — არფა აერია. დიდი გატაცებით შეუდგა ოცი წლის მიხეილი ამ პოეტური მუსიკალური საკრავის შესწავლას და ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ დაეუფლა მას. აღსანიშნავია, რომ მუსიკალურ თეორიას ზ. ფალიაშვილი და ია კარგარეთელი უკითხავდნენ.

ნიჭიერმა მოწაფემ მალე მიიპყრო პედაგოგთა ყურადღება. 1925 წელს გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის მ. იპოლიტოვიანოვის ინიციატივით, რომელიც ამ დროს თბილისში მოღვაწეობდა, მიხეილ მჭედლიშვილი მოსკოვში გაგზავნეს.

აქ იგი ჯერ მუსიკალურ მუშაეკში მოეწყო, შემდეგ კი კონსერვატორიაში გადაიყვანეს და გამოჩენილი არფისტის, პრფესორ პარფონოვის კლასში ჩაირიცხეს. 1934 წელს მიხეილ მჭედლიშვილმა ბრწყინვალედ დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია და მყისვე ჩადგა მოწინავე საბჭოთა არფისტთა პირველ რიგებში. თუმცა უნდა ითქვას, რომ საშემსრულებლო მუშაობას იგი სტუდენტობის პერიოდშიც უწყოდა. ასე გაგრძელდა 1949 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში მან საშემსრულებლო არფისტის სახელოვანი გზა გაიარა მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტთა ორკესტრიდან საბჭოთა აკადემიის დიდ სიმფონიურ ორკესტრამდე.

50-იანი წლებიდან მიხეილ მჭედლიშვილი მთლიანად გადადის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე მოსკოვის სახელმწიფო

პირველი ქართველი არფისტი

გიორგი დოლიძე

კონსერვატორიისთან არსებულ სამუსიკო სასწავლებელში, სადაც დღემდე განაგებს არფის კლასსა და სიმებიან განყოფილებას. თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგად მან შექმნა არფაზე სწავლების საკუთარი სკოლა, რომელსაც წარმატებით იყენებენ საბჭოთა და უცხოეთის პედა-

მიხეილ მჭედლიშვილი





არფისტ ქალთა ანსამბლი მიხეილ მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით

გოგები. უნგრეთის კონსერვატორიის პროფესორი რ. გენრიკი 1958 წელს დასწრო მიხეილ მჭედლიშვილის კლასის მცავადნიუბას და შემდეგ აღფრთოვანებით სწურდა მას: „ბევრი საზღვარგარეთელი არფისტი მომისმენია, გავენობივარ მათ პედაგოგიურ სისტემას, მაგრამ არც ერთი მათგანის სკოლა ისე არ მომწონებია, როგორც თქვენი“.

მიხეილ მჭედლიშვილის მიერ აღზრდილი მუსიკოსებიდან დღეს ბევრი ფართო სამემსრულებლო ასპარეზზეა გამოსული არა მარტო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში, არამედ საზღვარგარეთაც. მათ შორის აღსანიშნავია პირველი მონღოლი არფისტი ქალი ტუმენ აიუმი, რომელიც ამჟამად უფანბატორის საოპერო თეატრის სოლისტია, ინგა კოსტრინსკაია (ვიოლონტი) და ა. შ. გამოცდილების გაზიარების მიზნით მ. მჭედლიშვილისა და მის კლასს მრავალი ქალაქიდან მოდის მოწვევა. წელს შემდგომზე მათ თბილისელი მასურებელიც იხილავს.

ალბათ ძნელია მოიძებნოს ისეთი არფისტი, რომელსაც ამ საკრავისათვის იმდენი ლიტერატურა შეექმნას, როგორც ეს ჩვენი სახელოვანი თანამემამულის მიმართ შეიძლება ითქვას. მისი, როგორც კომპოზიტორის შემოქმედებაში მთავარი ადგილი უჭირავს ისეთ ენარებს, როგორცაა სუიტა, პრელუდია, ეტიუდი, პოემა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მიხეილ მჭედლიშვილის სუიტა „საქართველოში“, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შედგება: „ალანის ველი“, „სალაშირი“, „სახალე მოეშა“ და „სადღესასწაულო“. ამ ნაწარმოებმა მკვერნებელთა და სპეციალისტთა საერთო აღიარება დაიმსახურა. იგი მრავალ ქვეყანაში სრულდება წარმატებით. დანიის სა-მუსიკო აკადემიის წევრმა, პროფესორმა ინგა გრომ ამასწინათ მოსკოვში, საბჭოთა არფისტებთან შეხვედრისას, ილაპარაკა იმ პოპულარობაზე, რომლითაც ეს ნაწარმოები სარგებლობს დანიასა და გერმანიას. საგულისხმა ბუდაპეშტის საოპერო თეატრის სოლისტის ლუსიკ ხედის წყრილი მ. მჭედლიშვილისადმი. „მე ისე ძლიერ მომეწონა თქვენი მშვენიერი სუიტა „საქართველოში“, რომ უკვე შევისწავლე იგი და ახლო მომავალში დაიწვევებ მის შესრულებას კონცერტებზე“.

ორიგინალურ ნაწარმოებებს გარდა, მიხეილ მჭედლი-



შეიღმა არფაზე შესასრულებლად გადაიტანა ბაბის, მოცარტის, ბეთოვენის, მენდელსონის, სენ-სანსის, რაქელინის, რახ-მანიოვის, გლიერის, ხაჩატურიანისა და სხვათა ნაწარმოებები. ქართული კომპოზიტორებიდან — „დინარას სიმღერა“ და არაიშვილის კომიკური ოპერა „დინარადან“ და „იანგანა“ ლ. ფალიაშვილის ამავე სახელწოდების საბავშვო ოპერიდან. მ. მჭედლიშვილი ხშირად მიმართავს ხალხურ მუსიკასაც. დამუშავებული აქვს რუსული, ქართული, სომხური, აზერბაიჯანული, ჩინური ხალხური მელოდიები. ქართული ფოლკლორიდან კი — მეგრული სიმღერები „ჩელა“ და „სისატურა“. ამჟამად, მიხეილ მჭედლიშვილი მთელი გატაცებით მუშაობს ახალ ნაწარმოებზე. ეს არის ფანტაზია „სამშობლო“, რომელსაც იგი უძღვებს შშობლიურ საქართველოს. მასში უხვად იქნება გამოყენებული ქართული ხალხური ინტონაციები.

გასული წლის დასასრულს, სხვა საორკესტრო ინსტრუმენტალისტებთან ერთად ლენინგრადში ჩატარდა არფაზე დამკვერელ მუსიკოს-შემსრულებელთა საკავშირო კონკურსი. მასში, რა თქმა უნდა, მიხილიც მონაწილეობდა არა მარტო როგორც თურის წევრი კომპოზიტორი (კონკურსზე სრულდებოდა მისი საკონცერტო სუიტა და ვარიაციები ბაგანის თემაზე), არამედ როგორც აღმზრდელი-პედაგოგი. ლაურეატის საპატიო წოდება მოიპოვა სულ ხუთმა ქალმა, აქედან სამი-მიხეილის ყოფილი მისწავლეა. ესენია: გილია მოსკიტინა (პირველი ადგილი), ელენონრა კუხშიჩინა და ნატალია ციხარაფკაია (მესამე ადგილები). სწორედ ამ კონკურსის შედეგებთან დაკავშირებით ჩვენ მოსკოვში შეხვებით და ვესაუბრეთ მ. მჭედლიშვილს.

— „ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი მუსიკალურ ცხოვრებაში — თქვა მ. მჭედლიშვილმა — თუნდც იმიტომ, რომ ასეთი კონკურსი პირველად მხოლოდ 18 წლის წინათ ჩატარდა. ამათ გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსი შესანიშნავად იყო ორგანიზებული. გამოვლინდა არა მარტო მრავალი ნიჭიერი მუსიკოს-შემსრულებელი, არამედ თითქმის ყველა ჩრდილოვანი მხარე, რაც ჯერ კიდევ გაგვაჩინა ჩვენს მუშაობაში. სწორედ ამიტომაც გადაწყდა, რომ მსგავსი კონკურსები ჩატარდეს ყოველ 4-5 წელში.“

განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრის სოლისტის შაქრო ფურცხვანიძის წარმატება. რესპუბლიკებიდან მხოლოდ მან მოიპოვა დიპლომანტის საპატიო წოდება. ეს უდაოდ წარმატებაა ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსისა. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის მის აღმზრდელ პედაგოგს ნატალია ავალიანს, რომელიც, როგორც თვალსაჩინო სპეციალისტი, მოწვეული იყო კონკურსის თურის წევრად.“

რამდენიმე ხნის წინათ შშობლიურმა სასწავლებელმა ფართოდ აღნიშნა მიხეილ მჭედლიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წელი. 60 წელს გადაცილებული ამაგდარი ხელოვანი კვლავ ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება საბჭოთა მუსიკალური ხელოვნებისათვის ნიჭიერი კადრების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.



ლომას მინის სახლი ნიღაში (ჩანახატები სტატის ავტორის მხატვარ ნ. მეტონიძისა)

ქართული სახვითი ხელოვნება ლიტვაში

ნიკოლოზ მეტონიძე

ბასული წლის სექტემბრის დამლევს ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში გაიხსნა ქართული სახვითი ხელოვნების გამოფენა. არც თუ დიდი ხანია, რაც თბილისში მოეწყო ლიტვეური გრაფიკის გამოფენა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ჩვენ წარვსდექით ლიტვის დიდად მომთხოვნი მხატვრების წინაშე.

ლიტვის კულტურის მინისტრმა ი. ბანაიტისმა გამოფენის სადღესასწაულო გახსნაზე თქვა: „ეს სასიხარულო მოვლენა საბჭოთა ლიტვის მშრომელებს საშუალებას მისცემს არა მარტო გაეცნოს ქართული ხელოვნების მიღწევებს, არამედ უფრო მეტად გააფართოვებს და გააძლიერებს ჩვენი რესპუბლიკების კულტურულ თანამშრომლობას...“

გამოფენა გაიხსნა სიმპათიის, სტუმართმოყვარეობის, ქართული ხელოვნებისადმი დიდი ინტერესის ვითარებაში. საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ: ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ფიჩინსკაიტე, კულტურის მინისტრი ი. ბანაიტისი, კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. იაკელიტისი, მ. პოჟარსკისი და ლიტვის ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი. სტუმრებიდან იყვნენ: საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი თ. ბუაჩიძე, სამხატვრო გალერეის დირექტორი მ. ყიფიანი, ექსპოზიციის მთავარი მხატვარი კ. ჩანკვეტაძე და გალერეის მეცნიერ-თანამშრომელი ნ. ალექსანინა-შახაიზი.

ლიტვის ხელოვნების მუზეუმის ხუთ ნათელ დარბაზში გამოფენილი იყო ქართული ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკისა და გამოყენებითი ხელოვნების ექვსასზე მეტი ნაწარმოები. გამოფენის გახსნის დღიდან დახურვამდე დარბაზები სავსე იყო ხალხით. შობებუილებათა წიგნი პირველსავე დღეს აიგსო ჩანაწერებით:

„გაუმარჯოს ჩვენს მომე მზიურ საქართველოს! ჩრდილოეთის ლიტვა მიესალმება ქართველ ხალხს და მის შესანიშნავ მხატვრებს. ძნელია რომელიმე მთავანს მიანიჭო უპირატესობა, რადგანაც თავის ნაწარმოებში ყველა საინტერესოა, მრავალფეროვანი, განუყოფელი“ (მოქანდაკე ჩ. იოკურონისი).

დიდი ინტერესი გამოიწვია ისეთი ოსტატების შემოქმედებამ, როგორც არიან: უ. ჯაფარიძე, ნ. კანდელაკი, დ. კაცაბაძე, ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, ე. მაღალაშვილი, აპ. ქუთათულაძე და სხვები. მხატვრები დიდხანს იდგნენ ხოლმე ლ. გუდიაშვილის ნამუშევრების წინ. ახრთა გაყვლა-გამოყვლის დროს აღნიშნავდნენ, რომ ლ. გუდიაშვილს აქვს სინამდვილის ორიგინალური ხედვა, წერის საკუთარი მანერა. „აბესალომ და ეთერში“ მათ სასეხებით მართებულად იგრძნეს მუსიკალური საწყისი. ერთ-ერთმა მხატვარმა, რომელიც კარგად იცნობს ქართულ მუსიკას, აღნიშნა, რომ გუდიაშვილმა



ვილნიუსი. სახლების სახურავები.

შეძლვო ფალიაშვილის გენიალური მუსიკის თვალნათლივ ხორცშესხმა, რომ თავისი ექსპრესიით, პოეტურობით შექმნა ნაწარმოები, რომელიც ქართული მუსიკის მარგალიტის ოპერა „ახესალმი და თეორის“ ტოლფასოვანია.

ლიტვის მხატვრებმა მალალი შეფასება მისცეს ნ. კანდელაკის ნაწარმოებებსაც: საბჭოთა კავშირის გმირის, მარშალ ტოლბუხინისა და იმერელის პორტრეტებს. ლიტველმა მეგობრებმა გულწრფელად სცნეს კანდელაკი დიდ ოსტატად, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული შემოქმედებითი ნაყოფიერებით. ადამიანის სულიერ სამყაროში ღრმად წვდომა, მისი დახვეწილად გამოსახვა, ხასიათში ყველაზე უფრო არსებითის შემქნევა და გადმოცემა — ყოველივე ეს კანდელაკს დიდ თანამედრვე მოქანდაკეთა რიგებში აყენებს.

დიდი მოწონება ხვდა ე. ახვლედიანის პიესაებს. დამთავალეურებულმა სიტყვებით რომ ვთქვათ, მშობლიური ბუნება მთელი თავისი ბრწყინვალეობითა და კოლორიტული სიმდიდრით აისახა მხატვარი ქალის ტილოებში.

ახალგაზრდა მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის ქანდაკების, ცენოსან ვახტანგ გორგასლის ფრაგმენტმა მაყურებლებისა და განსაკუთრებით პროფესიონალმა გულწრფელი აღტაცება გამოიწვია. საქართველოს უძველესი დედაქალაქის გვირგვინისანი დამარსებლის გარეგნული და შინაგანი ფსიქოლოგიური დახასიათების დამაჯერებლობით მოქანდაკემ წარმოსახა ბრძენი სახეობრივო მოღვაწის სახე, როგორც შემოინახა იგი ჩვენამდე ხალხურმა მატანემ.

ასვე მოწონება ხვდა ახალგაზრდა მოქანდაკის გურამ კორძაძის ნამუშევარს „ქალიშვილი ყვავილით“. ფაქიზი და კდემამოსილი ქალიშვილი ნიჭიერმა შემოქმედმა განსაკუთრებული ლირიზმით გამოხატა.

გუჯა მიქაძის ქვაში გამოთლილმა კომპოზიციებმა მაყურებელს განაცვიფრა თავისი უზუალობით, თანამედროვეობის ცოცხალი სურათებით, რომლებიც ქართულ კერამიკულ ხელოვნებასთან ორგანულადაა დაკავშირებული.

მაყურებელი მიიზიდა თეიმურაზ ყუბანიშვილის ილუსტრაციებმა ვაჟა-ფშაველას პოემებისათვის. ლიტვის ბევრი შესანიშნავი გრაფიკოსი მკაყს და ამიტომაც გასაგებია, რომ ისინი განსაკუთრებული ყურადღებით მივიციდნენ თ. ყუბანიშვილის ნამუშევრებს. მხატვრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ

მისმა ილუსტრაციებმა სპეციალისტებს აგრძობენ და აყვას პოეზიის სიღაღე, ამაღლებული დრამატუზმული მსახურისა ალექსანდრე ბანძელაძეც გამარჯვებული გამოვიდა პროფესიონალმა სამსჯავროდან. მისმა ილუსტრაციებმა ჯავახიშვილის რომანისათვის — „არნენა მარბდელი“, რომლებშიც გააცოცლებულია ხალხური გმირის სახე მთელი თავისი ადამიანურობით და ვაჟაკობით, მეტად მალალი შეფასება დაიმსახურა.

ლ. შარლემანის ორი ლინოგრაფიურა „საბრძემდე საამქრო“ და „ასასული“ (პიესაზე), რომლებიც ავლენენ მხატვარი ქალის შემოქმედებით ინდივიდუალობას, მხსავლებს იზიდავდა თავისი ფორმით, ვაბდელი გრაფიკული სტილით. ახალგაზრდა პიანისტის ელისო ვირსალაძის პორტრეტში თ. ლენიაშვილმა მხატვრული ძალით და შთაგონებით გადმოგვცა ხელოვანის შინაგანი მუსიკალური სამყარო. ამ პორტრეტს ლიტველი მეგობრების ერთობრივი მოწონება ხვდა.

მ. ხეიტაის, ჯ. ხუნდაძის, უ. ძაბაძის, რ. ჯავრიშვილის პეიზაჟებში მალალი ოსტატობით და დიდი გემოვნებით არის გადმოცემული საქართველოს ბუნების სილამაზე და მდიდარი ფერები.

ჯ. შემდარიაშვილის „აფიშების გამკვერელი“ და სხვა კომპოზიციები, გ. ტროტაძის „ცხენოსანი ხევესური ქალი“, ზ. ნიჟარაძის „იტალიური შთაბეჭდილებანი“, ზ. ლევაძის „დრეზდენი“, დ. ნოდის, ვ. თოთბაძის და სხვების ნამუშევრები ასვე მოწონებით სარგებლობდნენ.

ნ. ინაშვილის პორტრეტებმა ყურადღება მიიპყრო თამამი, ორიგინალური კოლორისტული გაახრებით.

არ არის გასაკვირი, რომ გამაყენებითი ხელოვნების განყოფილებამ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენთან საუბრისას ლიტველებმა მართებულიად შენიშნეს, რომ ამგვარი ხელოვნება შეიძლება აღმოჩნდეს უმთავრესი მხროლვე უძველესი კულტურის ქვეყანაში. ეროვნული კულტურის თავისებურებანი, რასაც შორეულ საუკუნეებში აქვს ფესვები გადგმული, შემოქმედებითად ეთარდება, ღებულობს ახალ მხატვრულ ინტერპრეტაციას, ბუნებრივად ებმარება თანამედრვე ცხოვრების მოთხოვნებს.

მაყურებლებს და მხატვრებს მოსწონდათ კერამიკულ ნაკეთობათა, განსაკუთრებით თასების, ლეინის ფაღებების სილამაზე და ხაზების მოყვანილობა. ჩვენი ვიცი, ამბობდნენ ისინი, რომ ლეინის წარმოების უძველეს ქვეყანაში სახმისი მოითხოვდა და ლამაზ ფორმებს და ხალხმა კიდევაც შექმნა ისინი.

ისინიმა ექსპონატებმა, როგორიყაა და. ყიფშიძის მოჭედლილი სპილენძი „ჩემი სამშობლოს დილა“ და „ჩანგია“, თ. სენიაშვილის „დეკორაციული ლარნაკი“, კ. გურულის საყურები და კულინი, „ქალი თითისტარიტი“ — დიდი აღტაცება გამოიწვია.

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე ხალხური შემოქმედების ექსპონატებმა, რომლებიც შესრულებულია თვითმოქმედთა მიერ: ჩინგურმა, ვერცხლის მოჭედლია და მოსევაღებულმა სამკაულებმა.

— თქვენი ხელოვნება, — ამბობენ ლიტველები — სამხრეთული ტემპერამენტითა და ემოციური გუნებით ასახავს ხალხის სულისკვეთებას, მის ცხოვრებას, შრომას, ბუნებას, ეს



ფერების თაობაზე — თვით თქვენი ცხოვრება! ქართულმა ხელოვნებამ მამონივე მოგვგაადოვა ორიგინალობით. იგი ყველასათვის მისაწვდომია, ამაღლებული, გამაგვიფრთხილებელი ესთეტიკური ზემოქმედებით. თქვენმა ხელოვნებამ ჩვენ დაგვაახლოვა! მან საუბარება მოგვცა უფრო ღრმად შეგვეცნო თქვენი ცხოვრება, თქვენი ხალხი!

გამოფენის პირველი დღე დამთავრდა კონცერტით, რომელიც მუსუმი მოწყო. კონცერტში მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო ფილარმონიის კვარტეტმა, რომელმაც კლასიკურ სურათთან ერთად ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები შესრულა.

ხალხურ მუსიკოსთა ანსამბლმა დაგვატკო ინსტრუმენტების ლამაზი, თავისებური ხმოვანებით. მან შეასრულა ლიტურჯის სიმღერები და სტუმრების საპატივცემოდ ქართული ხალხური მელოდები.

ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, მხატვარი პრინს გუდინას არა მარტო სტუმართმოყვარე მასპინძელი იყო, არამედ დაულაღვი ორგანიზატორიც. მან დიდი დახმარება გააკეთა გამოფენის მოწყობაში. გუდინას ფერწერის ოსტატია, ხელოვნების სფეროში დიდად ერუდირებული მუსუმი თანამშრომლის ადგირდას ლაუციუსის სახით ახლოს გაგიყვანით მხატვარი-კერამიკოსი, რომელიც ასევე სულით და გულით გვებნობოდა ექსპოზიციის მოწყობაში.

ლიტვლი მხატვრების სტუმართმოყვარეობის შედეგად ბერის ნახვა მოვასწარით, მიუხედავად იმისა, რომ დრო ცოტა გვეჩნდა. ტრაგიკული ექსპერიმენტი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლენინური პრემიის ლაურეატის, მოქანდაკე გედიმიან იაზუნოვისის ქვისგან გამოთლილმა ქალის მონუმენტურმა ფიგურამ. მისი მკაცრი და ამაყი იერი ტანჯავსა და მრისხანეობას გამოხატავს, — იგი დალადებს ლიტველი ხალხის მიმართ ფაშტახთა უსასწავლო ბოროტებაზე.

მიკაელს ჩიურლენისის სახელობის კავნასის სახელმწიფო სამხატვრო მუსუმი დაეკუთვნა მისი 600-ზე მეტი ნამუშევარი, რომლებიც ცხადყოფს, რომ იგი სახეებით დამსახურებულია აღიარებული ლიტვის კლასიკოსად. ვერ გაეცვივით ჩიურლენისის (1875-1911) ხელოვნების ჯადოქარ ქალას, მხატვარი გვიპირებს ფანტაზიის აღმადგინელი, აზრისა და გრძობის სიღრმით, პოეზიით, სიკეთისა და სილამაზისაქნად დაუსრუმელი მისწრაფებით. პერსაგებში მხატვარი უღერებს თავისი ქვეყნის მყუდრო სილამაზესა და ხალხისადმი სიყვარულს. ჩიურლენისი ცნობილია აგრეთვე როგორც მუსიკოსი-კომპოზიტორი, რომელმაც შექმნა შესანიშნავი სიმფონიები, სონატები, მრავალი საფორტეპიანო პიესა და სხვა ძარის ნაწარმოებები.

ლიტვლი მალად დონეზე დგას ხის ქანდაკება, რომელსაც დიდ ტრადიცია გააჩნია. ხალხური თვითმომქმედება აღბეჭდილია მაღალი ოსტატობით. სამშობლოს ფარგლებს გარეთაც კარგად იცნობენ მხატვარ ქალს ელგებტა დუველიუენს (1886-1959), რომელიც ყოველგვარი სპეციალური პროფესიული განათლების გარეშე დაეუფლა ოსტატობას. იგი მასალად იყენებდა არყის ხის ქერქს. თავდაპირველად ასეველებდა, შემდეგ ფერების სიმკვეთრის მიხედვით ახარისხებდა; წვეტიანი ნეშით აკეთებდა ტილოზე ქერქის ნაჭრებს, ღუნავდა

და აწყობდა. წინასწარ არასოდეს არ აკეთებდა ტილოებს მუშაობის პროცესში ყალიბდებოდა შემოქმედებითი უღელამგვარად ქმნდა იგი ადამიანის სახეებს, ფიგურებს, სიუვეტურ კომპოზიციებს. დაუველიუნეს ნამუშევრები გვაიყვებს უჩვეულ ფაქტურით, გამოსახვის ძალითა და თავისებური ექსპრესიით საინტერესოა მისი კომპოზიციები „ყმის მკობა“, „მეამბოხე“, „სიყვანიძე“, რომლებიც ფორმითა და ჩანაფიქრით ძალზე ორიგინალურია.

თავიანთ სახელოსნოებში მიგვიწვიეს თანამედროვე ცნობილმა მხატვრებმა: მოქანდაკე კონსტანტინოს ბოგდანასმა, მხატვარმა-ფიტარაქისტმა კაზის მორკუნასამ, ფერწერის ოსტატმა აუგუსტინურ სავიციასომ და სხვებმა. სასიამოვნო იყო იმის შეგრძნება, რომ ჩვენ ერთი სთვტიკური პოზიციები და შემოქმედებითი მისწრაფებანი ვვაჭვს, რომელიც ჩვენს შესანიშნავი თანამედროვეობის ასახვისკენა მიმართული.

ვილნიუსში დავათვალიერეთ სურათების გალერეა, რომელიც მოწყობილია ბაროკოს სტილის ლამაზ ნაგებობაში, ყოფილ წმ. კაზიმირის ტაძარში. გალერეაში ექსპონირებულია მხოლოდ XVI-XIX საუკუნეების მსოფლიო სახვითი ხელოვნების კლასიკური ნაწარმოებები. მათ შორის გვხვდება ალბრეხტინების ეპოქის ოსტატთა და სხვა ცნობილი მხატვრების ნაწარმოებებიც (მერილონი, ელ-გარეკო, სალვატორ როსა და სხვ.).

დავესწარით მეტად საინტერესო ღონისძიებას, რომელიც ხორციელდება ზოლოდ გალერეის დირექტორის იუოსა ლაურინიუკისის ინიციატივით. თვითმომქმედ და პროფესიონალი მხატვრები მუშაობენ შენობაში აწყობენ ზოლოდ საორნაო, ინსტრუმენტული და ვოკალური მუსიკის კონცერტებს. ნაგებობის თავლებს ქვეშ დიდებულად ქუდრდა ბაჰის, ჰენდელის, ჰაიდენის, მოცარტის, ბეთოვენის დიდებულ მუსიკა.

სტუმართმოყვარე მასპინძლებმა რამდენიმე ქალაქი და ღირსშესანიშნავი ადგილები დაგვათვალიერებინეს.

ლიტვა შესანიშნავად მოვლოდ მინდვრებთან ერთად, ტყეების, წყნარ მდინარეებისა და ტბების ქვეყანაა. ოლანდ-მაფტი ოლანდ მთავარიანია, დაფარულია ნაძვანარით, ფიჭვნარით, არყისა და სხვა ფოთლოვანი ხეებით, ჩაუჭირებულნი დანანდ ტროფები, მდინარეებსა და წყაროებში ჩაუძირავთ ტოტები. ჩრდილოეთის ბუნების ფერები რბილი და ნაჩხა თავისი პასტილური ტონლობით. ხშირად ტყეებსა და მინდვრებს შორის გამოჩნდება ზოლოდ შუასაუკუნეთა ციხე-სიმაგრეები — პოლონური და ლიტველი ფეოდალების თარეშის სიტყვით მოწმეები. გზაჯვარედინებზე და გზის პირად, როგორც ლიტვური პეიზაჟის განუყოფელი ნაწილი, გვხვდება უძველესი სამკუთხედი სამრკველიანი, რომელთა თოლოდ ხის ბოძებზე გამოსახულია ჰერისტეს ჯვარცხმა და ღვთისმშობელი.

ომის დროს დანგრეული ლიტვის დედაქალაქი ვილნიუსი შენდება და სულ უფრო მშვენიერდება. ქალაქის არქიტექტურული იერი თავისებურია; აქ შეხვდებით შუასაუკუნეების გოთური სტილი, აღორძინების ეპოქის შენობები, ბაროკული ტაძრები და შენობები, რომლებშიც ამ სტილებთან შეხამებულია ნაციონალური ხუროთმოძღვრების ელემენტები. ამჟამად ქალაქი იზრდება თანამედროვე ნაგებობებით, სადაც მეტად



საინტერესოდაა გადაწყვეტილი ინტერირები. ეს განსაკუთრებით შეინიშნება მრავალრიცხოვან კაფეებსა და რესტორნებში.

კაუნაშშია სახელგანთქმული ჩიურლენისის სახლ-მუზეუმი. აქ თავმოყრილია ნაწარმოებები დაწვებული უძველესი დროიდან დღემდე. განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი ხის ქანდაკებები. საინტერესოა ქსოვილებისა და ეროვნულ ნაქარგობათა კოლექცია. აქ გავიყნით ხანდახმული, მაგრამ სიცოცხლითა და ძალღონით სავსე მხატვარი ანტანას ეშუიდ-ზინავიჩუს, ნიჭიერი პეიზაჟისტი, თავისი სამშოლოს მომღერალი.

კლაიპედა (ყოფ. მემელი) საპორტი ქალაქია, სადაც სახლებს წაწვეტებული სახურავები აქვს. გაშენებულია კონცხზე, რომელსაც ერთის მხრივ ბალტიის ზღვა, მეორეს მხრივ კი ყურე აქვს. აქ გადის კალინიგრადის (ყოფ. კენიგსბერგის) გზა. შოსე გარს უვლის ფიჭვნარს. ბუნება არაჩვეულებრივად ლამაზია. პირიწონტზე მკრთალად ასხივებს ზღვა, ხოლო ახლოს გამაღილია ქვიზიანი ნაპირი და დიუნები. ამ მხარეს ლიტველებმა ჩრდილოეთ საპარა უწოდეს. ღამე გავატარეთ მეთევ-

ზეთა სოფელ ნიდაში, სახლში, სადაც თომას ტინი უბრუნებდა. დაგათალიერეთ XIV საუკ. ციხე-სიმაგრეს ლიტვის მთავრის ვიტაუსასის რეზიდენცია. ვნახეთ ზღვისპირა კურორტი პალანგა, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ქარვის მუზეუმმა. მასში თავმოყრილია თვით ბუნების მიერ შექმნილი სხვადასხვაგვარი ფორმის, განუმეორებელი მოყვანილობის გამჭვირვალე, გაჭევივებული ფისის ნატეხები.

ზღვის პირას გაშენებულ შესანიშნავ პარკში, რომელში პატარა ტბები და ღამაზი პლიაია (მაგნატის ყოფილი საკუთრება), მხატვრებისათვის სპეციალურად აგებულია სახლი. მართლაც თვით ბუნება ქმნის აქ შემოქმედებით განწყობილებას.

ლიტველები მშრომელი ხალხია, გულიხსიერი, კეთილი, სიცოცხლით სავსე. მათთან ურთიერთობა ჩვენ გულწრფელად გვახარებდა და გვახალისებდა.

სინანულით დავმორადით სტუმართმოყვარე მასპინძლებს ვეშვიდობებოდით იმ იმედით, რომ ახლო მომავალში გვეწვევიან.

ერთი ქართული ნაქარგობა ინგლისში

მერი გაჩეჩილაძე



იდი მოვლენა იყო ჩვენთვის, საბჭოთა ახალგაზრდული დელეგაციის წევრებისათვის, დიდი ბრიტანეთის ჩრდილო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ქალაქში, კერძოდ ჰალში, ქართული ნაქარგობის ხილვა.

ნაქარგობის სადაურბობას — ქართულობას ადასტურებს ქარვის ხასიათი და წარწერა. იგი შინდისფერ ნაქარგობაა შესრულებული ოქრომქედით, რომლითაც მთელი ფონი მყენა-

რეული ორნამენტიითა დაფარული, ზომით დაახლოებით 60x60 სმ. შუაში მრავალფეროვანი კომპოზიცია: მამაკაცი, ქალი და ორი ყრმა. მარცხენა ზედა კუთხიდან, კურთხევის მარჯვენით გადმოსცქერის მაცხოვარი, რომლის ქვევით, მარცხენა ქვედა კუთხეში ამოქარგულია ირემი დატოტევილი რტებით, რტებს შორის ქართული ჯვარია ამოქარგული.

კომპოზიციის ფონი ასევე ოქრომქედითაა მოქარგული, ფიგურების

სამოსი კი სხვადასხვა ფერის ძაფით. საერთოდ, ფერების შეხამება ქართული ნაქარგობისათვის ჩვეულ დახვეწილ გემოვნებას მოწმობს. კომპოზიციას ოვალურად გარს უვლის ორ-აწყარიანი ქართული მხედრული წარწერა, რომლის ამოკითხვა ბევრ სანატერესოს არკვევს. აი ტექსტიც:

1. ქ. ეპა, მოწამეთა შორის ბრწყინვალედ მნათობო რომელი სასწაულით და მხნეობით იდიდებით მარადის მოწყალეო ჩვენი გულმოდგინ (ეპა)

ია) შევიწყვე კინი ესე თითთა მიერ შრომით შე ფრდ სასოებელ- მან შენმან სრულიად საქართვე- ლოს მეფის ირაკლის პირშოსა ძი- სა გიორგის ასულმან და თანამეც- ხედრემან თარხნიშვილის ლუარსა- ბისმან სოფიო ფრდი ესე ნაწილოე- ბი (?) და ნაცულად გუაგე ფარვა ში მრჩობელსა შინა ცხოვრებას მე- უღლით და შვილით ჩემით უკე: აგვისტოს კბ ქკა უპბ:

წარწერაში მოხსენებულია სოფიო, მფე ერკლე მეორის შვილიშვილი, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეორემეტის ასული, მფულე ლუარსაბ თარხნიშვილისა.

ლუარსაბსა და სოფიოს ჰყოლიათ ოთხი შვილი: იოანე, ანასტასია, ანა, ევსტატე. ისინი მოხსენებული ჰყავს აკად მარი ბროსეს „საქართველოს ისტორიის“ მეორე ტომში მოცემულ ქრონოლოგიურ ცხრილებში.

ნაქარგობაზე გამოსახულია: სოფიო, მისი ორი ძე: იოანე და ევსტატე, მხედრის ტანსაცმელშია წმიდა ევსტატე, რომელსაც ერთი ხელი ჩაუვ- ლა ევსტატესათვის, ხოლო მეორე ხელში კი პალმის ტოტი უკავია შუბთან ერთად. „ევსტატე-ბავშვს“ მარცხენა ხელში ჯვარი უჭირავს, როგორც მის ძმას იოანეს. ორივენი წმიდა ევსტატეს მფარველობის ქვეშ იწყოფებიან, კომპოზიციის წინა პლან- ზე არიან. იოანეს უკან დგას მლოცვე- ლი სოფიო, რომელიც ღმერთს შეწ- ყალებას სთხოვს ხელებაპყრობი- ლი.

მარცხენა კუთხეში, შემადღებაზე გამოსახული ირემი დატოტევილი რქე- ვიანა და შუაში ჯვრით, წმიდა ესტა- ტეს სახელთანაა დაკავშირებული. საყვებით ბუნებრივია, რომ წმიდანის გამოსახულებასთან ერთად მისთვის დამახასიათებელი არტიუტეც იყოს გამოხატული.

წარწერიდან ირკვევა, რომ გიორგი XII-ის ასულს სოფიოს „მოწამე- თა შორის ბრწყინვალედ მნათობისათ- ვის“, — წმიდა ევსტატესათვის შეუ- წირია „კინი ესე თითთა მიერ შრო- მით“ შესრულებული ნაქარგობა და „ნაცულად გუაგო“ მის პატივსაცემად. წმიდა ევსტატე ხომ ბაგრატიონთა



გვარის მფარველ წმიდანად ითვლე- ბოდა.

ეს ნაქარგობა საგვარეულო შეწი- რულებათა იმ მრავალგვარი ნივთე- ბის ნაწილი იყო, რომელსაც ასე უხ- ვად სწირავდნენ ამა სოფლის გვირ- გვინოსანი ეკლესიას, მაცხოვარს და მფარველ წმიდანებს.

წარწერის ბოლოს ამოქარგულია თარიღიც: „აგვისტოს კბ ქკა უპბ“ — რაც ნიშნავს აგვისტოს 22, 1794 წელს.

როგორც საქართველოს ისტორია გვაუწყებს, ერკლე მეორე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ერთი წლის შემდეგ კი, 1795 წ. საქართველოს აღა-მაჰმად-

ხანი შემოესია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ დარბევისას სამეფო სახლის ნიუ- ტომიც დაზარალდებოდა. ეს ნივთი ერთი იმ მრავალთავანია, რომელიც აღმოსავლეთის მრავალფეროვან ბა- ზარზე გაიყიდა. აქ ხომ ძვირად ფა- სობდა ყველაფერი გურჯის ქვეყნიდან. ეს ნაქარგობა ადგილობრივი ანტი- ევარის მიერ მუზეუმისადმი მიყიდუ- ლი ნივთია აღეს. მადლობა გვაქვს სათქმელი მუზეუმის თანამშრომლე- ბისადმი, რომლებმაც თხოვნა შეგვის- რულებს და ფოტობირი გვისახსოვრეს. ეს დიდი საჩუქარი იყო. დღეს ეს ფო- ტობირი ჩვენთანაა, ორიგინალი კი შორეულ ინგლისში.



კონსტანტინე მინიარია

კონსტანტინე
მინიარი—
სავიოლონჩელო

სკოლის უმეცნეელი

ალექსანდრე ლორია

ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის უხუცეს მასწავლებელთა შორის საბჭოთა მუსიკალური კულტურის წინაშე თავის უანგარო, თავდადებული სამსახურით, ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს საორკესტრო განყოფილების პროფესორს-კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მინიარს. მის სახელთანაა დაკავშირებული კონსერვატორიაში ჩელოს კლასის დაფუძნება, სრული ფორმირება და მაღალ აკადემიურ დონემდე განვითარება. მინიარი იყო მრავალმხრივ განათლებული, ფართო შემოქმედებითი დიაპაზონისა და უაღრესად დახვეწილი გემოვნების მუსიკოსი-შმატვიარი. მისი მძლავრი ინტელექტი და მკაცრი პროფესიონალიზმი ტონს აძლევდა კონსერვატორიის საორკესტრო კლასების ცხოვრებას. პირადად მისი კლასი — შესანიშნავ ინსტრუმენტალისტთა თაობა მათი აღმზრდელის პედაგოგიური ტალანტის ცოცხალი დადასტურებაა.

კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მინიარი (ბელორუშვი) დაიბადა 1874 წ. მდიდარი ტრადიციების მქონე მუსიკალურ ოჯახში (პოლონეთში). 15 წლის ასაკში დაიწყო ჩელოზე დაკვრა, დამთავრა ექვსწლიანი გიმნაზია და შევიდა ვარშავის მუსიკალურ ინსტიტუტში, ორი წლის შემდეგ კ. ა. მინიარი გადმოდის მოსკოვის კონსერვატორიაში, რომელსაც ამთავრებს 1901 წელს ვერცხლის მედლით და „თავისუფალი შმატვირის“ წოდებით ათი წლის განმავლობაში იგი მუშაობს საუკეთესო სიმფონიურ ორკესტრებში სოლისტ-კონცერტმასიტერად და დირიჟორად. 1909 წლის ყოველკვირეულ „რუსული მუსიკალური გაზეთის“ ერთ-ერთ ნომერში, (ქ. კურსკში გამართულ კ. ა. მინიარის კონცერტთან დაკავშირებით) მუსიკალური კრიტიკოსი ვლ. დონეკვი წერდა მინიარზე, როგორც ჩინებულ მუსიკოსზე, რომელმაც საუცხებო დამაკმაყოფილებლად იდირიჟორა რიმსკი-კორსაკოვის სიმფონიური სუიტა — „შეპერეზა-



და და ახასიათებდა მას როგორც სოლისტს: „ბილი, მღერა-
ნი ტანი, შვენიერი ტექნიკა (ამასთან არტიკული გამოხატო-
ნა მარცხნა ხელის არამეკლერბივი განვითარება, რის გამოც
სწრაფი პასაჟები ორმაგ ბეგრებში ჩელის დაბალ სიმეზზედაც
კი გამოირჩევა საკვირველი სიხანძით და სისუფთავით). ფა-
ჯისი ფრაზირება — ეს ღირსებები უფლებას გვაძლევს დავა-
ჭიროთ მინიარი დასრულებული ვიოლონლისტის რეპერტოი“.

1912 წლიდან გარდაცვალებამდე (1944 წ. 8 იანვარს)
კ. ა. მინიარი მუშაობდა ჩელის კლასის პროფესორად თბილ-
ის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

საფუძვლიანად შეისწავლა რა სავიოლონო ხელოვნების
კლასიკური მემკვიდრეობა — XVIII და XIX საუკუნეების
გამორჩეული მუსიკოსთა, განსაკუთრებით დიდი რუსი ვიოლონ-
ისტების — კარლ დავიდოვის შრომები, კ. ა. მინიარმა შე-
მოქმედებითად განავითარა თავის წინამორბედთა მიერ შე-
მუშავებული მეოთხდური პრინციპები და მდიდარი გამოცდი-
ლებიდან მიღებული მასალების განზოგადებით შექმნა საკუ-
თარი სავიოლონო სკოლა. მინიარის სკოლის ნიშანდობ-
ლივი მხარეებია: ინსტრუმენტის ბევრით შესაძლებლობათა
მაქსიმალური გამოყენება, მარჯვენა და მარცხენა ხელის ურ-
თიერთ შეთანხმებული მოძრაობის, კოორდინაციის გზით.
ბევრი და ლამაზი ბგერის მისაღწევი ვარიანტი „გრძელი,
შეკავებული ბგერით“, სპეციალური საეარჯიშო მარჯვენა ხე-
ლისათვის სხვადასხვა რთული შტრიხების დაუფლების მიზ-
ნით, ფართოდ ცნობილი საეარჯიშოთა ციკლი მარცხენა ხე-
ლისათვის ერთხმად და ორმაგ ბეგრებში, სადაც თანმიმდევრობა
დაცვლითა კვირის დღეების მიხედვით — ე. ი. მიითითებოდა,
ესა თუ ის საეარჯიშო კვირის რომელ დღეს შესრულდეს და
ამით განპირობებულია მრავალფეროვანი ხერხებით გრიფის
დაუფლება ყველა პოზიციაში. საეარჯიშოთა შემდეგ მინი-
არის ხისტეში ფრიად შინაშეწვლვთან ეტაპს შეადგენს
მაკტრული ნაწარმოების დადამუშავების პროცესი. უამრავლეს
პოეტთან მინიარი სვამდა სწორი, აკადემიურად განპირობე-
ბული შტრიხების დადგენას ნაწარმოების სტილის, ცალკეული
ფრაზების აგებულების და ხასიათის, ამა თუ იმ რიტმული ფა-
გორაციის თავისებურების, ტემპის და ნიუანსების გათვალის-
წინებით. ამ მუშაობის პარალელურად ხდებოდა უაღრესად
მზეტრული ალიკატურის შერჩევა ე. წ. „რიტმული“
„პოზიციური“ ალიკატურის პერიციპის მიხედვით. პროფესორ
მინიარი არა იშვიათად მიმართავდა მისთვის საყვარელ
„შემოქმედებით ალიკატურას“ როგორც ამას მიიხიზოვდა რო-
ბლემე ფრანკის სრულყოფილი მუსიკალური დადგენება. ე. ი.
რამდენაღებ ირღვევდა „რიტმული“ და „პოზიციური“ კანონ-
ები და შემოქმედებით ინტეგრაციას ეძლეოდა თავისუფლებს.
დინჯი, მეოთხდური მუშაობის შედეგად, ტექნიკური სინძლეუ-
ბის დაძლევის შემდეგ ყურადღების ცენტრი გადადიოდა
„კანტილენის“ — ნაწარმოების მერადად ნაწილის მსატრულ
შესრულებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უაღრესად ფაქიზი
გემოვნების მუსიკოსი, ტერმინ „კანტილენა“, გარდა მისი
ვიწრო გაგებასა, იზილავდა ფართო მნიშვნელობით. ის კან-
ტილენად მიითიზება მოწვევებისაგან ნაწარმოების ტექნი-
კური ადგილების შესრულების ისეთივე სითბოთი და ტემპირა-
ლური ხილამაზით, როგორც „კანტილენა“ ვიწრო გაგებით. რო-

დესაც ნაწარმოები ტექნიკურად საკმაოდ მტკიცედ იყო დამუ-
შავებული და მიღწეული იყო სწორი ფრაზირებისათვის, საქმე
რო ეღერადობა, და თითქოს საქმე დამთავრებულად ჰგომოქმედ-
რებოდა, დიდი პედაგოგი ახალ, მკაცრ მოთხოვნებებს უყე-
ნებდა მოწაფეს და მუშაობა ნაწარმოების სრულყოფილი დაწ-
ვეწის ფაზაში გადაჰყავდა; სახელდობრ, ის მოწაფეებს მო-
თხოვდა ნაწარმოების შესრულებისას არა მარტო ტექნიკურ
გამართულობას და სტეტიურ ემიციურობას, არამედ ნაწარმო-
ების მზატრული შინაარსის მთელი სიღრმით შეგრძნებასა და
შეცნობას.

ფორმისა და შინაარსის შეცნობა მთლიანობაში და აკონ-
პანენტურად სრული ანსამბლის დამყარება. — ასეთი იყო მი-
ნიარის მოთხოვნა, რომელზეც იგი უყენებდა თავის ყველა მო-
წაფეს; განურჩევლად მისი უნარისა და ნიჭისა. ასეთად სიმ-
კაცითი მოეთხოვებოდა მოწაფეს სტილის გრძნობა. ნაწარმო-
ების სწორი წარმოსახვა — ეპოქის, მზატრული მიმართულე-
ბის, კომპოზიტორის შემოქმედებითი ბუნების შესაბამისად.

ამ უკანასკნელი ზღუდის შემდეგ, მოწაფე მზად იყო კონ-
ცერტზე გამოსასვლელად. ამ დიდი საცლასო მუშაობის ჩატა-
რების შედეგად იგი მძლავრად იყო ფსიქოლოგიურად მომზა-
დებული, ასეთი მკაცრი მსჯულისაგან კონცერტზე გამოსვლის
უფლების მიღება მას უათყვეებდა არტიკულ გზნებას და
აუდტორიის წინაშე მინიმუმადე დაჰყავდა მელეღარება:
პროფესორ მინიარზე უფრო მკაცრი და ტუნწი შემდგესტელი
ძნელად თუ მოიძებნებოდა დაბარბაში. რა თქმა უნდა ეს შე-
სანიშნავი სკოლა მაშინ იძლეოდა დიდ ნაყოფს, თუ მოწაფე
განსაკუთრებულ მუსიკალურ ნიჭთან ერთად დიდ ნებისყოფას
იჩენდა, დაუღალავად მუშაობდა თავის თავზე. ყველა ამ აუ-
ცილებელი ფაქტორის თანამოქმედებით შეიქმნა „ხელოვნების
სამქედლო“, სადაც გამოიწოთ ინსტრუმენტლისტ-სპეცია-
ლისტების მთელი თაობა, თავისი დიდი მასწავლებლის ღირ-
სეული შემქმნელი ძალა.

საკმარისია მოვიხსენიოთ რამდენიმე მოწაფე და ცხადი
ხდება, თუ რა შორს გაითქვა სახელი პროფესორ კ. ა. მინი-
არის სკოლამ; რასაა გარბუზოვამ თავისი ვირტუოზული ხე-
ლოვნებით მყოფელი მუსიკალური აზრის სრული აღიარება
მოიპოვა, ხოლო გერც ცომივი, გიორგი ბარნაბიშვილი, ალექ-
სანდრე ჩიკაძე, ანროლ ფერკელმანი და ზურაბ ლაჭვი-
საბჭოთა მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენ-
ლები არიან. ეს გამოჩენილი სოლისტ-ანსამბლისტთა ხუთე-
ული ამავე დროს ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას უწევა და
მზრუნველობით ზრდის მინიარის სკოლის ბაზაზე „შვილი-
შვილთა“ თაობას. პროფესორ მინიარის მოწაფეთა შორის
არიან აგრეთვე პროფ. გ. თაქთაქიშვილი, პროფ. ე. კოზმინ-
სკაია-ჩიკოტიძე, გ. გურვენი, გ. კირილოვი, მ. და ლ. ნეიმანე-
ნი, თ. მელქი-ნუბაროვა, თ. საფარიშვილი, გ. გონაროვი, გ.
ქაცარავა, ე. კილაძე (ამჟამად საქ. რადიოს სიმფონიური ორ-
კესტრის მთავარი დირიჟორი), თ. დავაგნიშვილი, ა. შიკანი-
ანი, ლ. ტურაზიანი და სხვა. მათი ყოფილი ახალი შემოქმედ-
ებით წარმატება პროფესორ მინიარის სკოლის გამარჯვებაცაა.

ამიტომაც, ამ „მუსიკალური ოჯახის“ „შვილები“ და
„შვილიშვილები“, სათუთად ინახავენ გულში თავიანთი საყვა-
რელი აღმზრდელის ნათელ ხსოვნას.



სამხატვრო გამოფენაზე



არგ ტრადიციად დამკვიდრდა ჩვენში საქართველოს მხატვართა ნამუშევრების პერიოდული ვრცელი გამოფენები, ე. წ. „სამუშაოდგომი“ და „საგაზაფხულო“ გამოფენები, რომლებიც შედარებით მოკლე დროის მონაკვეთში მხატვართა ერთგვარ მორიგ შემოქმედებითს ანგარიშს წარმოადგენს ფართო საზოგადოების წინაშე. როგორც ამას თვით გამოფენების მიზანდასახულება და სახიათი განაპირობებს, ექსპოზიციაში ძირითადად თავს იყრის კამერული, ინტიმური სახიათის ნაწარმოებები, — პორტრეტები, პეიზაჟები,

მცირე ზომის ეანრული სურათები, ჩანახატები, დაზგური გრაფიკული ფურცლები, სკულპტურული ფიგურები და გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების მრავალფეროვანი ნიმუშები. არ შეიძლება, უპირველეს ყოვლისა, არ აღინიშნოს, რომ მართო მრავალფეროვნება და ინტიმურობა როდია ამ გამოფენის მთავარი ღირსება. მთავარია ის, რომ აქ ხშირად ვხვდებით ზოლზე ძალზე საინტერესო, მაღალმხატვრულ კმნილებებს, რომლებიც თვალნათლივ მოწმობენ ამა თუ იმ შემოქმედის წინსვლას, ახალ მიღწევას. ერთი სიტყვით, ბევრი რამ



გაგვასარებს ხოლმე ჩვენი მხატვრების ამ მორიდ გამოსვლაში. ასე მოხდა ამჟერადაც. გამოფენაზე ცოტა როდი იყო ნამუშე- ვარი, რომლებმაც ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნება განაც- დევინა მწახვლს. განაცდევინა იმიტომ, რომ ისინი შექმნილია ჭეშმარიტი შთაგონებით, დიდი სიყვარულით და, რაც მთავა- რია, მაღალინიჭიერად. ეს მაღალი პროფესიონალიზმი, შერწყ- მული შემოქმედის ნათელ იდეურ მიზანდასახულებასთან, სი- ნამდვილის ამაღლებულ განცდასთან და ღრმა გრძნობასთან— ზედამ განაპირობებდა და განაპირობებს მხატვრული ნაწარ- მების ძალასა და ზემოქმედებას. ასეთი ძალის ნამუშევრებს კი, ჩვენ „საგაზაფხულო“ თუ „საშემოდგომო“ გამოფენებზე ერთეულებს როდი ვხვდებით ხოლმე.

პირველ შთაბეჭდილებას ამ გამოფენის დამთავლიერებელი

იღებდა კერამიკით, ქედური და დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებით, რომლებიც გამოფენის ცენტრალურ დარბაზში იყო ექსპონირებული. აქ თავმოყრილი იყო ქმნილებები, რომლებიც თითქოს ერთმანეთს ეცილებოდნენ ფორმათა თუ ფერთა სიმ- შვენიერით, განუმეორებელი ეროვნული კოლორიტით. რასაკ- ვირველია, მათ შთამბეჭდავ აღქმას დიდად უწყობდა ხელს შესანიშნავი, დიდი გემოვნებით მოწყობილი ექსპოზიცია. კე- რამიკისა და ქედურობის ნიმუშთა ავტორების სახელები ჩვენ- თვის უკვე დიდხანია კარგადაა ცნობილი. და არა მარტო ჩვენთვის, მათ ხელოვნებას ფართო აღიარება ხვდა მოსკოვში, სხვა რესპუბლიკებში და საზღვარგარეთაც. გიორგი ქართველი- შვილი, სულხან სულხანიშვილი, ვაკატერინე ბაბლიძე, რევაზ იაშვილი, ირინე გაჩეჩილაძე, შოთა ნარიშანაშვილი, მედეა

გამოფენის ერთ-ერთი კუთხე





ჩისლაძე, ნანა კიკნაძე, სოსო მელაშვილი და ბევრი სხვა — ამ სახელებთან დაკავშირებულია ქართული კერამიკული ხელოვნების ახალი და ახალი მიღწევები.

ის, რაც აქ წარმოდგენილ კერამიკულ ხელოვნებას ერთიან სტილისტიკურ ელფერს აძლევდა, არის მხატვართა ერთი საერთო მიზანსწრაფვა, საერთო ტენდენცია — შექმნან ქართული ეროვნული კოლორიტით აღბეჭდილი ნაწარმოებები. ნამუშევრები მზაბეჭდებს იზიდავენ არა მყვირალა დეკორატიული შეხამებებით, ორნამენტაციის სიუხვით, ფორმათა უცხოობით, არამედ მუქი, დაბინდული და ნაზი ფერების საოცარი კეთილშობილებით, ფერთა უნაზუსი პარმონიით, ფორმებისა და ხაზების ეროვნული სახასიათო ნიშნებით. არ შეიძლება არ მოგახიბლოთ ჩვენი კერამიკოსების ფაქიზმა, დახვეწილმა გემოვნებამ, მდიდარმა ფანტაზიამ და გონებამახვილურმა მიგნებებმა.

ამის მაგალითი იყო ბევრი აქ წარმოდგენილი ნიმუში, რომლებიც ცალკეულ დეტალურ ანალიზს და შეფასებას იმსახურებს.

მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი ნაკეთობა წარმოადგინა ქართველი მხატვრების მეორე ნაწილმა: საყოფაცხოვრებო ნივთები — დეკორატიული ნაქსოვები, ხისაგან გამოთლილი ჭურჭელი, ძვლის დამუშავება, შუშისა და ბროლის ნაწარმი — ყოველივე ეს მაღალი ხელოვნების ნიმუშებია. თენგიზ გიგაურის შუშის ნაკეთობანი ხასიათდება ფორმათა სილამაზით და ურვეულობით, მხატვრის მიერ თვით მასალის სპეციფიკის გათვალისწინებით და მისთვის შესატყვისი პლასტიკური გადაწყვეტით. აღსანიშნავია აგრეთვე მზია ლომიშვილის ბზისაგან გაკეთებული სასმისი და ჭიქები, ნინო ურუშაძის მიერ ნაქსოვებისაგან გემოვნებით შესრულებული, იუმო-



გუბა მიქაძე
 დეკორატიული ბარელიეფი

რით გამოთბარი მინიატურები, მანაბა მაგომედოვას ჭედურობანი — სამაჯურები, თასი და სხვ., ლეილა ჩიხელის ნაქსოვები, ა. ლევაგას ძვლის ნაკეთობანი, რ. წერეთლის ხის ნივთები...

ჭედურობის მაღალმხატვრული, პოეტურად გაზარებული ნიშნები წარმოადგინეს კობა გურულმა, დიმიტრი ყიფშიძემ, ვერამ გაბაშვილმა. ასეთია გურულის „ბალადა სიყვარულზე“, „ქუროთამიძე ყვავილი“, ყიფშიძის „ვეფხვი და მოყმე“, გაბაშვილის „მოლოდინი“, „მეურმე“. ინტიმურობა და ლირიზმი, მიღწერების პაეროვნება და სიბრძნე ახასიათებს დახვეწილ ოსტატობით შესრულებულ ამ ნამუშევრებს.

ჭედურობის და კერამიკის ნაწარმოებთა შორის ექსპონირებამორგანულად იყო ჩართული გემოვნებით შესრულებული

ები — სვიატოსლავ რიხტერის პორტრეტი და სვანეთის პეიზაჟები. თავისებური შემოქმედებითი ხელწერა, მაგაფი დეკორატიული დეკორატიული კვლავ გამოირჩევა მის ტილოებს, რომლებშიც ასევე ასევე დამახასიათებელია შუქ-ჩრდილის ფართო კონტრასტები, ერთგვარი დეკორატიულობა ფერთა შერჩევასა და შეხამებაში, კომპოზიციის მონუმენტურობა. სვანეთის ბუნების სიდიადის გადმოცემას მხატვარი სწორედ ამ ხერხებით აღწევს.

ორიგინალურად გაიაზრა მხატვარმა ცნობილი საბჭოთა პიანისტის რიხტერის პორტრეტი. სურათზე შემოქმედის მხოლოდ სახეს ვხვდებით მსხვილი პლანით მოცემულს. მაგრამ თვით სახის მდგომარეობა, მოძრაობა, მასზე აღბეჭდილი ღრმა შთაბეჭდილება, განცდა — დიდი შემოქმედის ძალასა და ტემპერამენტს გვაგონობინებს. რიხტერის პორტრეტი ერთ-ერთ საინ-

გაბაშვილი
კვანძები



დეკორატიული ფერადოვანი ნატურმოტივები ნ. მანიულოვისა და ლ. ქურდიანის, გუგა მიქაძის დეკორატიული ბარელიეფები, მხახილოვის მიერ ხეზე ინკრუნტაციით შესრულებული პორტრეტები ვ. ი. ლენინისა და ვ. ნიკოლაევა — ტერეშკოვასი.


დიდი ნაწილი გამოფენის ექსპონატებისა, როგორც ყოველთვის, ფერწერული ნაწარმოებები იყო. აქაც უფრო ნამუშევარი კარგულ მხატვართა შორის წარმატება. შესაძლოა ეს წარმატება ხშირად არ იყოს განსაკუთრებით თვალსაჩინო, გამოსაყოფი, საუბრაჟო, მაგრამ თვით მხატვრის შემოქმედებით ბიოგრაფიაში მათ მიანიჭ თავისი ადგილი განკუთვნიებათ.

აღსანიშნავია საქართველოს ხელოვნების დამასხურებელი მიღავლის მხცოვანი მხატვრის ვასილ შუბაევის ახალი ტილო-

ტერესო და მაღალმხატვრულ კმნილებად შვეა შუბაევის ვრცელ და მრავალფეროვან შემოქმედებით მემკვიდრეობაში.

საქართველოს სახალხო მხატვარმა ქეთევან მაღალაშვილმა კვლავ წარმოგვიდგინა ახალი ტილოები, სადაც იგი ჩვეული ოსტატობით, ღრმა სიზარბთლით და სითბოთი ხსნის ადამიანთა სულიერ სამყაროს.

როგორც ყოველთვის, მის პორტრეტებზე გამოხატული პიროვნების პოზა საოცრად უბრალო და ბუნებრივია, თითქოს ეს ადამიანები მხატვრის წინაშე ვი არ დგანან, არამედ საკუთარ თავთან განმარტებით, თავის ფიქრებში წასული. ასეთია „მანანა სამადაშვილის“ პორტრეტიც. ლირიკული ჯანყობილებით გამოირჩევა მისივე პატარა პეიზაჟური ტილოც.



ვასილ შუხაივი

სვიატოსლავ რობტერის პორტრეტი

სვანეთი



საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის რობერტ სტურუას პორტრეტული შემოქმედება „ეროვნულ-მეტყველი ფურცელია არა მარტო თვით ამ ოსტატის „ქრისტე“ და მრავალფეროვანი მხატვრულ მეგვიდროებაში, არამედ ქართულ სახვით ხელოვნებაში საერთოდ. მის მიერ შესრულებული ქალთა პორტრეტები მუდამ გვიხილავენ ამაღლებულ პოეტურა სულისკეთებით. თავის მოძღვრებაში მხატვარი უპირველასად ხაზს უსვამს ქალურობას, კდემამოსილებას, სინაზეს, სულიერ სიწმინდეს, თვით სახის ნაკეთების სიბრძნისა და სახეების მიხედნილობას. სტურუას პორტრეტებისათვის მუდამ ნიშანდობლივია ფერებისა და ტონების განსაკუთრებული სილამაზე, გამჭვირვალობა, ჰაეროვნება. ამჟერად გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა ქალის პორტრეტი. ზურმუხტისფერ ფონზე ქალის მოხდენილი პროფილი გამოიკვეთება. მისი სახის ნაზი ფერი და მუქი წაბლისფერი თმა მდიდრულ და ეფექტურ შეხამებას იძლევა.

პორტრეტულ განრში მეტყველი ნამუშევრები იყო გრაფიკასა და ქანდაკებაშიც. ამ დარგში, გამოფენის ერთ-ერთი მაღალმხატვრული ექსპონატია დიმიტრი ერისთავის „მანანა აბაზაძის პორტრეტი“. დიმიტრი ერისთავის შემოქმედება და მისი შესაძლებლობები კარგად არის ცნობილი ჩვენთვის. ნახატის ჩინებული ოსტატი, მახვილი თვალისა და ფაქიზი გემოვნების შემოქმედი — ასეთად გვევლინება იგი უმრავლეს მის ნაწარმოებებში. ერისთავისათვის თვითიული ადამიანი — ეს ცალკე მოვლენაა, დამოუკიდებელი სამყაროა საკუთარი სულითა და განუმეორებელი პლასტიკით. ამიტომაც, მხატვრის მიერ გაკლებულ თვითიულ შტრიხს, თვითიულ სახასიათო ფორმას ღრმა მხატვრული გააზრების კვალი აწის, იგრძნობა დიდი სიყვარული და მხატვრის ნამდვილი შთაგონება. მანანა აბაზაძის პორტრეტი“ ერისთავის ახალი ნაბიჯია მისი მხატვრული დაოსტატების გზაზე.

პორტრეტის განრში ავტორის დიდ დახელოვნებაზე მეტყველებს თენგიზ სოსელიას „ლიკა ჭავჭავაძის პორტრეტიც“. ვისაც სოსელიას ნამუშევრები გამოფენებზე უნაზავს, არ შეიძლება არ დახსომებოდა ისინი აკადემიური დახვეწილობით და ღრმა რომანტიკულ-პოეტური ელფერით. აკადემიურ დახვეწილობაში ვგულისხმობთ არა აკადემიურ სიმშრალეს და დამთავრებულობას ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, არამედ ფორმათა და ხაზთა მოხდენილ სიხადეს, სახასიათოს შეგრძნებისა და გამოყოფის თავისებურ სტილს. ეს საკუთარი, ინდივიდუალური ხედვა, ოსტატობის განსაკუთრებული მხარეები, სოსელიას ნათელი პროფილის შემოქმედად წარმოგვიდგენს. მისი ქალთა პორტრეტები ყოველთვის აღბეჭდილნი არიან სინატიფით, პლასტიკური გამოთმახველობით, ადამიანის შინაგანი სულიერი მობრალის ჩვენებით. „ლიკა ჭავჭავაძის პორტრეტი“ კვლავ მეტყველებს მხატვრის ნათელ შემოქმედებით პრინციპებსა და მკაფიო ხელწერაზე.

თავისებური მხატვრული ხედვა აქვს ქართველი პორტრეტისტების კიდევ ერთ ნიჭიერ წარმომადგენელს ზურაბ ნიფარაძეს, რომლის შემოქმედებისათვისაც ნიშანდობლივია კომპოზიციური გადაწყვეტის ორიგინალობა, მტკიცე ნახატი, გა-

ხელუად მოდელირებული პლასტიკური ფორმები და სახის ინდივიდუალური ნიშნების გამოკვეთა. ასეთი იყო მისი აქ წარმოდგენილი გრაფიკული პორტრეტები. რაც შეეხება ცი-
კონო ციციშვილის ფერწერულ პორტრეტს, კოლორისტული გააზრების მხრივ იგი რამდენადმე იმეორებს ადრინდელ პორტრეტებს.

პორტრეტული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია აგრეთვე გ. თოთბაძის „ნინო ზედგენიძე“, ვ. ონიანის „ვაჟა-ფშაველა“, ა. გიგოლაშვილის „სტუდენტი გოგონა“, ი. მჭეპაბიშვილის „ქალიშვილის პორტრეტი“ და სხვ.

ქანდაკებაში ამ დარგში ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა თენგიზ ლვინიაშვილის „აკადემიკოს ზავრიევისა“ და ელისო ვირსალაძის პორტრეტებმა. ორივე ნამუშევარში მარ-
თალი და ღრმა პორტრეტული დახასიათება მოცემული. ნა-
წარმოებები კომპოზიციურად გადაწყვეტილია სადად, მთელი ურალდება გადატანილია ამ ადამიანების შემოქმედებითი ძა-
ლისა და ინტელექტის გამოვლენაზე.

მოქანდაკის მორიგ გამოშახველ ნამუშევრად უნდა ჩა-
ითვალოს ვ. შიზანდარის „ანდრო სინაურის პორტრე-
ტი“.

თუმცა კომპოზიციურად საინტერესოდა გააზრებული ბო-
რის ცაბაძის „ნიკო ფიროსმანის პორტრეტი“, მაგრამ, ჩვენის აზრით, ნაკლებად დამაჯერებელია ტიპი და თვით სახის დახასიათება.

გოგონას მტკიცე სკულპტურული ფიგურა გამოძეგნა გ. ბილიანიშვილმა. მოზარდის უმუალობა და გულუბრყვილო-
ბა, დაკისრებული საჭმის სიყვარული მოქანდაკემ დიდი ში-
ნაყან სითბოთი გამოხატა გოგონას ფიგურასა და სახის ამომეტყველებასში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქანდაკება გამოფენაზე ამჯე-
რად სუსტად იყო წარმოდგენილი. პორტრეტებს და ფიგურებს შორისაც ცოტა იყო მეტყველი, დასამახსოვრებელი ნამუშე-
რები. ეს მდგომარეობა მით უფრო მოულოდნელი იყო, რომ ზენი მყურებლები გამოფენაზე უმრავლეს შემთხვევაში მოქმედი არიან ხოლმე პართეული მოქანდაკეების თვალსაჩინო ზრდისა და სასიხარულო წარმატებების. აქ შეგვგვდა ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებშიც ავტორები რატომღაც იმეორებენ ერთხელ მიგნებულ პლასტიკურ გადაწყვეტას და მცირეოდენი არაიციებით გვიავსოზებენ მას. ვერ ვიტყვილით, რომ ეს მიგ-
ნებები, ვერ კიდევ პირველადვე, საყურადღებო და საინტერე-
სო ყოფილიყოს. პირიქითაც, პლასტიკური ფორმების ხელოვ-
ნური გაუზრებობა და გაუბრალოება, არა თუ რაიმე სიახლეს და არაიციანობას შეიცავს, არამედ მოქანდაკეებს ავლენს რვა-
ლზმის დიდ გზას, ავლენს ეროვნულს, სახის შინაგანი არსის ბიების ამოცანას. მიუხედავად დამახაზრებელი კრიტიკისა, ზოგი ახალგაზრად მოქანდაკე, ჩანს, ისწარაფვის, ქანდაკების ბეჭეფიკურის მოცულობითი პლასტიკის გადმოცემისათვის მასალაში, მაგრამ ხელოვნებაში მთავარია არა თვით ქანდა-
კების პრინციპები თავისთავად, არამედ ის, თუ რას წარმოად-
გენს ეს ნაწარმოები მხატვრულად, რაზე მეტყველებს, რას გა-
მოხატავს. მაგალითად, ი. მჭეპლიშვილის „ქალის ტორ-
სი“, ან ა. დედუარიანის „გოგონა“ არა გვერინა რამეს ამ-




თენგიზ ლვინიაშვილი ელისო ვირსალაძის პორტრეტი

ბობდეს ან ჩვენს თანამედროვეობაზე, ან ეროვნულობაზე, ან ადამიანის გარეგნულ თუ სულიერ სიღამაზე.

ფერწერულ ძანრულ სურათებსა და მოტივებს შორის გა-
მოირჩეოდა ლადო გუდიაშვილის პატარა ტილო, მიძღვნილი ჩაის მკერფავი გოგონის შრომითი საქმიანობისადმი. სავერ-
ღეანი ფერების ღამაზე შეხამებები, რომელიც ყალბის ამ დიდისტატს ახასიათებს, განსაზღვრავს ნამუშევრის ზემოქმე-
დების ძალას.

ისევე თუშეთია თენგიზ მირზაშვილის ტილოებზე. სითბო და ინტიმურობა, ერთი შეხედვით საოცარი უბრალოება და სიმარტივე სახასიათოს გამოყოფისას, მირზაშვილის ნამუშე-
რების არსებითი ნიშნებია. სხარტად და მახვილად მიანიშ-
ნებს მხატვარი ასე დამახასიათებელს ამ კუთხისათვის, ფერ-
წერულ ლაქებში ცოცხლად გადმოსცემს ხასიათის, ტიპურს ბუნებისა თუ ხალხისათვის. მოზრდილ ტილოზე „მწყემსების



ჩამოსვლა სოფელში“ მხატვარი გვიხატავს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, კარის მუშობლებს, რომელთა შორის გულთბილი საუბარია გამართული. ზოგადისაკენ, ტიპიზაციისაკენ სწრაფვას მხატვარი თითქოს ტიპაჟის ერთფეროვნებისაკენ მიყავს, ასე მაგალითად, ჭაბუკებიც და ქალიშვილებიც გარეგნულად ძალზე გვანან ერთმანეთს, მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს განაპირობებს ეროვნულის, ტიპიურის მკაფიო გამოვლენას. ჭაბუკების რიდი და თავდაჭერა, ქალების მოკრძალება მხატვარს კომპოზიციური ხერხებით და ზოგადი შტრიხებით აქვს გადმოცემული, ხსნის ამ ადამიანების შინაგან ადამიანურ სამყაროს, თავისებურ ხასიათებს.

სოფლის პეიზაჟები, სოფლის ადამიანები თენგიზ მირზაშვილმა შეულამაზებლად, სიმართლით გააცოცხლა თავის პატარა ჯანრულ მოტივებში, ამ კუთხის ბუნების ამსახველ ტილოებში. ღრმა გამომსახველობის მიაღწია მხატვარმა მკირვე ზომის პეიზაჟში „ქართლი“, რომელშიც სათუთი პოეტური

განცდითაა ამოწერილი თვითეული ფორმა — მოვერცხლისფრო ბინდში ჩაძირული ხეები და სახლები, მინდვრები და ველები.

მხატვრები მოგვითბრობენ უცხოეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზეც. ნოდარ მაღაზონიას ორ ფერწერულ ტილოში, რომელიც სტამბოლის ქუჩებს გვიხატავს, ჩანს, რომ მხატვარს სურს რაც შეიძლება ძუნწად და ლაკონურად გადმოსცეს მის მიერ დანახული უცხო სამყარო. საამისოდ იგი მიმართავს ფერადოვან ლაქებსა და საერთო სილუეტებს, და ამ საერთოში ხსნის ტიპიურს, დამახასიათებელს ამ ქვეყნის გარემო-ბუნების, არქიტექტურისა და ხალხისათვის.

ვასტანგ ადგაძის სურათებში კი ეგვიპტე და ეგვიპტელებია. ჩანს, მხატვარი მშრომელთა ცხოვრებით და საქმიანობით დაინტერესებულა. ადამიანებს აქ ვხვდებით შრომის პროცესში, ვხვდებით მათი სულიერი განწყობილებით, დამახასიათებელი იერით.

მხატვარი სურათების კომპოზიციასა და კოლორიტს აგებს გვიბტური ფრესკებისათვის ნიშნდობლივ დეკორატიულ და საზობრივ რიტმიკაზე. ასეა გადაწყვეტილი კომპოზიციის „ეგვიპტელი ქალები“.

ციცხალი, ვლვარ ფერებით იზიდავს მაყურებლის თვალს ღიბტური ხახუტაშვილის ფერწერული ტილო „პლიაჟი“. ბოლო ხანებში მხატვარი ხშირად მუშაობს ამ თემაზე. სურათებში იგრძნობა მისი სწრაფვა — მიადღის დიდ ფერწერულ გამომსახველობას შიტი განათებული საგნებისა და მადამოს კადმოციებისას. ზღვის ლურჯი ნაპირი, ოქროსფრად მოვლვარე ქვიშა, ფერადოვანი სარკდილობები და ადამიანების მზემოდებული სხეულები მხატვარს ინტენსიური საღებავებით აქვს დაწერილი და ზაფხულის მცუნვარე დღის ციცხალ შობებქვილებას გვიქმნის.

ფერადი ლინოგრაფიურების მთელი ციკლი წარმოადგინა ღიბტურას ყუბანეშივილიმ. მათში ძალზე ლაკონური გრაფიკული ხერხებით ხატოვანდაა გადმოცემული საქართველოს წარსულის ძველები. ნამუშევრები მეტყველებენ მხატვრის ისტატიობის დახვეწასა და სრულყოფაზე.

საქართველოს ბუნების მრავალფეროვანი სილამაზე ასევე მრავალფეროვანი მხატვრული მიდგომით აისახა წვენი ფერწერებისა და გრაფიკოსების ნაწარმოებებში. ვრცლად შეიძლება ჩამოთვალათ ტილოები და გრაფიკული ფურცლები, რომლებშიც ავტორები აღწევენ პეიზაჟური მოტივის ემოციურ აღვრდობას. მათ შორისაა რესპუბლიკის თამასხურბული მხატვრის მ. ხეიტიას, ზ. წერეთლის, პ. დათებაშვილის, ბ. მანგაძის, თ. ღიბრადის, რ. ჯავრიშვილის, ნ. მეტონიძის, ა. ღვინტიის, ი. ხაიციყის და სხვათა პეიზაჟები.

კარგად გამოიყენებენ ამ ეანრის ნამუშევრებით ახალგაზრდობე. ირინე ბეჟანიშვილს ფერწერის ენაზე ცხოვლიბატულად აგრეტყველებია იმერეთის ბუნების მეტად თავისებური სილამაზე თავის სურათებში „სხეიტორი“ და „სამხურე“. მსუყე და ზღერი ფერებითაა დაწერილი რევაზ კაკაბაძის იმერეთის პეიზაჟი. შთამბეჭდავია თამაზ ჯაფარიძის „ზამთარი“ და „მატილი“. სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდა მხატვრებს აქვთ ბუნების ღრმა გრძნობა და კარგი გემოვნება.

ბოლო გამოყენებზე ორიგინალურად გააზრებული პეიზაჟები ყურადღება მიიქცია მამია აზობაძემაც, რომელსაც ეიცნობთ დიდი თემატიკური კომპოზიციებით. მისი ახალი ნამუშევრები მიუთითებს მხატვრის დიდ შესაძლებლობებზე პეიზაჟი როლისა და ფაქიზ ეანრში.

განსაკებულად, მგვრამ თავისებურად საინტერესოდ და შთამბეჭდავად აისახა სვანეთის პეიზაჟები გ. ცვრადისა და ლ. ხოჯაბაძის ტილოებში.

საინტერესო ყოფითი ფერწერული ჩანახატები წარმოადგინა ზ. ლევაშამ. მისი „რაჭველი გლეხი“ და სურათი სოფ-



ღიბტური ეთიასაჟი


მანამა აბაშაის აოლოციტი

ლის ცხოვრებიდან გამსჭვალულია დიდი ადამიანური სიბოთით და ღრმა რეალიზმით.

ყურადღებას იქცევა მცირე ზომის ეანრული ჩანახატები გ. გულისაშვილისა და ბ. მშველიძის, გრაფიკულ მასალაში შესრულებული ნამუშევრები გ. ყანდარელის, გ. ქურდიანის, გ. ნადარეიშვილის, გ. ფურცელაძის, მ. დაუშვილის, ი. თუშანიშვილის, ლ. დანელიას და სხვების. ექსპოზიციას ახალისებდა ფერადოვანი ნატურმოტეტები, რომელთა ავტორები არიან ი. დივინოგორციკვა, გ. კალანაძე, ი. გიგოლაშვილი და სხვ.

მიუზენდავად ცალკეული ხარვეზებისა „სამემოდგომო გამოფენაში“ ერთხელ კიდევ ნათლყო ქართველი მხატვრების შემოქმედებითი ზრდა.

ლ. თაბაკაშვილი



მ ა ნ ლ ი ლ ი

მიხილ კედელაძე



ანდლი — ქალის თვამოსახვევი საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ბოლო დროს უცვლელად იგი მხოლოდ ხევსურეთში შემოინახა. ხევსური ქალები მანდილის დღესაც ხმარობენ, თუმც არა ყველა, არამედ ძველი თაობის წარმომადგენლები.

ხევსური ქალები მანდილს მატყლის ძაფისაგან იმავე საქსოვი იარაღებით ქსოვდნენ, რითაც ჩვეულებრივ ტანსაცმლისთვის საჭირო შალს. სამანდილედ მოქსოვილი შალის სიგრძე დაახლოებით 2,5 ან 5-მეტრი იყო, სიგანე კი საშუალოდ 25 სმ. მოქსოვილს ლურჯად ან შავად ღებავდნენ და შემდეგ დაახლოებით 1,2 სმ სიგრძისას სჭრიდნენ; მის ერთ-ერთ ბოლოს შალის ან აბრეშუმის ძაფით ქარგავდნენ. სხვადასხვა ორნამენტების გამოყვანასთან ერთად იმავე ბოლოზე 10-12 სმ. სიგრძის ფოჩებმს უკეთებდნენ. მანდილის დახურვამდე თავზე „სათურას“ (ჩიხტის პროტოტიპია) ჩამოიყვამდნენ, შემდეგ მანდილის ნაპირს, რომელიც მოუქარავი იყო, მარცხენა ყურის თავზე დაიდებდნენ და მარცხენა ხელით ეჭირათ. მარჯვენა ხელით თავზე ისე შემოიხვევდნენ, რომ მანდილს ყურების უკან „სათურაი“ დაეფარა. წინ კი „სათურას“ ძირს შუბლზე მოათავსებდნენ და მარცხენა ყურთან მიდებულ მანდილის ზედა ნაპირს მის ქვეშ მოაქცევდნენ. მანდილისა და მისი დახურვის წესების შესახებ ვრცელადაა ლაპარაკი ს. მაკალათიას ნაშრომში „ხევსურეთი“. 1935 წ.

მანდილის დახურვა დიაცისათვის, განსაკუთრებით ქმრის ნათესავებთან, სავალდებულო იყო, გაუთხოვრისათვის კი არა.

მანდილი თუშეთის მცხოვრებთ შორისაც შემოინახა, მაგრამ უფრო ნაკლებად და ისიც შეცვლილი სახით. თუშურ მანდილს ფაბრიკაში მოქსოვილი მატერიისგან ამზადებდნენ. იგი თავის ფორმით დიდად განსხვავდებოდა ხევსურული მანდილისაგან. თუშური მანდილის სურათები და თავზე მოხვევის წესი მოყვებულია ს. მაკალათიას ნაშრომში „თუშეთი“. 1933 წ.

რაც შეეხება საქართველოს დანარჩენ კუთხეებს, იქ მანდილის მხოლოდ სახელწოდებაა არსებობს. მაკალითაღ, ქალს, (განსაკუთრებით მოხეცს) „მანდილოსანს“ უწოდებდნენ, ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებიდან მანდილი და მისი უღრესად საპატიო მნიშვნელობა ფაბრიკაში დამ-

ზადებულმა ახალი მოდის თავსაბურავებმა გამოიყვანა. მწუწკრიდან მაგრამ მანდილი იმდენად პატივსაცემი იყო, რომ ხალხმა მისი მნიშვნელობა ახალი მოდის თავსაბურავებსაც მიანიჭა და ხშირად ლჩინას, ჩიქლას თუშალს და სხვ. დამატებით მანდილსაც უწოდებდნენ.

მანდილს ქართველი ხალხი დიდ პატივს სცემდა, მოსისხლე მტრებს სამკედრო-სასიკოცხლო ბრძოლა რომ ქმონდათ, საცმარისი იყო მათ შუდედაცა (განსაკუთრებით ხნიერს) თავსაბურავი, კერძოდ მანდილი ჩაეკლო, რომ მათ მამივე შეეწყვიტა ბრძოლა და ერთიმეორეს განმორბოვდნენ.

ქალის თავსაბურავს სხვა მნიშვნელობაზე ქმონდა. ქალს რომ მანდილი ნაპირზე შეევეცით — შეკრული ჰხურებოდა, მხიარულების მარჯვენებელი იყო, ნაპირზე გაშლილი, შეეკილი, ან ყბებზე ძირიდან ამოხვეული და შეკრული კი — მწუხარებისა, ან გლოვის მაუწყებელი. მხანველიც მისი მიხედვით ვებულობდა მის მფიქმარებებს.

ქართველი ერის ცხოვრებაში მანდილის და საერთოდ ქალის თავსაბურავის მნიშვნელობის ისე ვაგება, თითქოს მხოლოდ ქალის თავსაბურავს სცემდნენ პატივს და არა ქალს, შეცდომა იქნება. იყო ისეთი ხანა (მატრიარქატი), როდესაც ქალს წამყვანი ადგილი ეჭირა საზოგადოებაში. ის იყო საზოგადოებრივი ცხოვრების მომწივრივებული და მასზე იყო საზოგადოების განვითარება დამოკიდებული. ვფიქრობთ, ამის შეცნობა და შეგნება ქმონდათ ჩვენს წინაპრებს, როცა ქალის მანდილს-სათურას უღრესად დიდ პატივს სცემდნენ, როგორც ქალის ჭკუა-გონების (თავის) საფარ-სამოსელს. მის წინაშე უსიტყვოდ იხრიდნენ ქელს და ემორჩილებოდნენ. ქალს რომ არა თავსაბურავი, არამედ სხვა რამ საშოსი — კაპოტი, ქათობი, კაბა, ჩიხოლი და სხვა, მოხებურების შუა ჩაეკლო, განა მამნიაც დაზავდებოდნენ? რასაკვირველია არა.

მანდილის ესოდენ დიდი მნიშვნელობა მივიითებს ამ საკითხის შესწავლის საჭიროებაზე.

კორტრეტი ვასო ჯორჯაძე

თეიმურაზ ბერიძე



ლი

ოგორ მინდოდა უკანასკნელი წლები გამეტარებინა სამშობლოში, სადაც ყველაფერი განვლილ ახალგაზრდობას მაგონებს. ახლა თქვენთან ახალგაზრდა თაობაა, სავსე ენერჯით, ცოდნის შექმნის სურვილით, როგორ მინდოდა გადაშეცა მათთვის ჩემი გამოცდილება. მიწენებინა, შეამბნა...”

ასე წერდა წერილს სამშობლოს მომრიგებელი, საქართველოდან გადახვეწილი, თვითნასწავლი მხატვარი ვასო ჯორჯაძე.

ვასო (ბაზილი) ჯორჯაძე დაიბადა ქ. თბილისში 1884 წ. 29 მაისს. სამხედრო პირის ოჯახში. მშობლებს განუზრახავთ ბავშვისთვის სამხედრო განათლება მიეცათ, ათი წლისა შეუყვანიათ თბილისის კადეტთა კორპუსში (ამ დროს აქ ხატვას ასწავლიდა ცნობილი მხატვარი შმერლინგი) ვასოს ხატვის ნიჭი გამოუჩენია, ხატავდა ნატურიდან, აკეთებდა ასლებს სხვადასხვა ჟურნალების ილუსტრაციებიდან.

1900 წ. დიდუბეში გახსნილ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ფერწერის პატარა პავილიონში გამოფენილი იყო 16 წლის კადეტის ნამუშევრები — მუსისა და ამხანაგების პორტრეტები. ეს იყო

თვითნასწავლი, ნიჭიერი ქაბუკის სამხატვრო ნათლობა.

ვასო, როგორც პორტრეტისტი ყურადღებას იპყრობს ჯერ კიდევ სამხედრო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ პეტერბურგის იუნკერთა სასწავლებელში შედის. აქ იგი აღიარებული მხატვარია, ნება ეძლევა უქმე დღეები ერმიტაჟში გაატაროს და ასლები გადაიღოს.

იუნკერთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვასო გამოამწესეს თბილისში მდგარ გრენადერთა პოლკში. მას დიდ დროს ართმევდა სამხედრო სამსახური (რაც ატყვია ბევრ მის ნამუშევარს), მაგრამ თავის საყვარელ საქმიანობას, ხატვას მთელ თავისუფალ დროს ახმარდა. გატაცებული იყო ძველი თბილისით, ხშირად შეხე-



ავტობორტატი

1918 წ. ერთმა შედეგმა, სახელო მოღვაწემ, რომელიც ვეფხველიძე უწოდებოდა იყო მოსული ბანაკში, ყურადღება მიამჩვია ვასოს ნამუშევრებს. შედეგმა შესთავაზა ნამუშევრები გაეგზავნა სტოკჰოლმში, სამხატვრო გამოფენაზე. ვასო ჯორჯაძემ წინადადება მიიღო. აქედან დაიწყო მისი დიდი მგაბობობა შეედ მეცნიატეთან რაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გაგრძელდა.

1918 წ. ტყვეობიდან გათავისუფლებული ვ. ჯორჯაძე ჩამოდის თბილისში, თავს ანებებს სამხედრო სამსახურს და მთელ თავის დროს ვერწერას ახმარს. მეგობრობს ცნობილ ქართველ მხატვარ გიგო გაბაშვილთან ამ პერიოდში შექმნილი ტილოებიდან აღსანიშნავია: „მედლეუკები“, „ლეონის სარდაფში“, „გლეხის პორტრეტი“, „სირაჯი“, „ვაკხანალია“ და სხვ. ბევრი ნამუშევარი დაუმთავრებელია. ანდა ესკიზის სახით არის დარჩენილი.

1921 წელს ვასო ჯორჯაძე მიემგზავრება საფრანგეთში. უცხო მხარეში ციონიზირად ძალზე უჭირს. პირველ ხანებში იგი პარიზის მინის ქარხანაში მუშაობს ბოთლების მრეცხავად, რამდენიმე შეკვეთის მიღების შემდეგ ქარხანას თავს ანებებს, მაგრამ ამაოდ. წელში მაინც ვერ იმართება.

იმ დროს საფრანგეთში იმყოფებოდნენ ქართველი მხატვრები: დ. კაკაბაძე, დ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, ქ. მაღალაშვილი, ლ. გუდიაშვილი ივანეს, რომ ვასო (ზაზილი) მატკორიალურ გაჭირვებას განიცდიდა, მაგრამ მაინც ბევრს მუშაობდა, ძირითადად პორტრეტებს ქმნიდა“. ერთხელ წერილში ვასო თავის დას წერდა: „...ზაფხულში, სისხვა, ყველა შემღებული ვადის ქალაქიდან. სამუშაო არაა. ვცხოვრობ ნისიით, ყელამდე ვალეტში ვარ. შევიცილდან ველოდები სურათების ფულს...“

ვ. ჯორჯაძე კავშირს არ სწყვეტდა სტოკჰოლმთან და თითქმის ყოველ წელს მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებზე. იგი პარიზში ვაკენო ფრანგ იმპრესიონისტებს, სეზანს, რენუარს, მანეს და სხვ. რომელთა გავლენის ქვეშ მოექცა კიდევ ეს გავლუ-

დებოდი თბილისის ზველ უბნებში, აქ ეძებდა იგი ტიპაჲს თავისი ნაწარმოებებისათვის.

1914 წ. ქართული თეატრის ფოიეში ვასო ჯორჯაძემ მოაწყო პირველი ინდივიდუალური სამხატვრო გამოფენა. ამ გამოფენის შესახებ 1914 წლის „სახალხო გაზეთი“ (№ 1105, 1/11) წერდა: „ქართული თეატრის ფოიეში გაიხსნა ახალგაზრდა მხატვ. ვ. ჯორჯაძის სურათების გამოფენა. ჩვენი მხატვრული ცხოვრება იმდენად ღარიბია, რომ ყოველი გამოფენა სურათებისა თუ რაიმე ხანსელავისა, რომელიც ქართველ ხალხს ეკუთვნის, თვალსაჩინო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.“

გამოფენა მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოკებს და მხატვრის დიდს ნიჭს, ამჟღავნებს.

ზ-ნ ჯორჯაძის სურათები ორი ჯერისაა: პორტრეტები და კომპოზიცია — ფანტაზიები. პირველი ხასიათის სურათები ვაკილებით მაღალადგას მხატვრულის მხრით... ფერები ისეთი ხილოვნებით არის შეზავეული,

რომ სურათიდან სიცოცხლით სასველ თვალში გაცქერით.

მეორე ხასიათის სურათები საუცხოოა ფერების ტონით, მათში მხატვრის სული გამოსჭვივის. მშვენიერადაა, მაგალითად, ლურჯი და იისფერები „სამსონ ან დალილაში“. სურათების უმეტესობა ერთგვარ განცდას გავრძენობინებთ: ასეთია „ვაკხანალია“, „ზალადა“, „იდილია“, „სერუნადა“, რეალურად არის „ჯვარცმული ქრისტე“...

ეს წერილი ცხადყოფს, რომ ვასო ჯორჯაძის ნამუშევრების უმეტესი ნაწილი ან დაკარგულია, ანდა კერძო პირთა საკუთრებას შეადგენს. საჭიროა მათი მიკვლევა.

პირველ მსოფლიო ომში, თურქეთის ფრონტზე, ვასო მეთაურობს ასეულს. უფრო გვიან, კალიციაში იგი დაიჭრა და ტყვედ იქნა წაყვანილი, ჯერ რეინბერგში, ხოლო შემდეგ კი ბრუიკში. ტყვეობაში იგი ქმნის რამდენიმე ტილოს. ბრუიკის ტყვეთა ბანაკში ხშირად მოდიოდნენ ნეიტრალური სახელმწიფოების წარმომადგენლები,

ნა, როგორც თვით მხატვარი აღნიშნავდა, მკვეთრად ეტყობა მის ნატურპორტებს და პეიზაჟებს.

ვასო ჯორჯაძე ჩამოყალიბებული პორტრეტისტი იყო. მის ნამუშევრებში ჩანს მხატვრის დამოუკიდებელი მანერა, ამის შესახებ ლაპარაკობს კიველი, 1946 წ. აგვისტო — ჩემი მრავალი წლის პარიზში ყოფნის მანძილზე, რასაკვირველია. ჩემი ფერწერა არ დარჩენილა ფრანგული სკოლის გავლენის გარეშე. მე ძალიან მიყვარს ფრანგი იმპრესიონისტები — კლოდ მონე, სეზანი, რენუარი, სისლევი. ეს იქმნის მხოლოდ პეიზაჟებსა და ნატურმორტებს. პორტრეტებს კი მე ვწერ ძირითადად ძველ კლასიკურ მანერაში... რასაკვირველია, როგორც პორტრეტების, ასევე პეიზაჟების წერისას ყველგან ვინარჩუნებ ჩემს საკუთარ სტილს..."

საფრანგეთში ვასო ჯორჯაძემ ბევრი ტილო შექმნა. ხატავდა პარიზის ბუდებს, სენის თვალწარმატებულ სანაპიროებს, პარიზის ლათინურ კვარტალებს, პორტრეტებს, ნატურმორტებსა და სხვ. სამწუხაროდ საფრანგეთში შექმნილი სურათებიდან საქართველოში არც ერთი არ არის, თუ არ ჩავთვლით იმ ერთ ავტოპორტრეტს, რომელიც დაცულია თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.


1929 წ. ივნისში პარიზის რუს მხატვართა საზოგადოებამ მოაწყო ფერწერისა და ქანდაკების გამოფენა. გამოფენის კატალოგში ვ. ჯორჯაძის ნამუშევრებიც არის შესული: პორტრეტები „ჭალიშვილი“, „სერანსკი“, „სოლომკო“, „ავტოპორტრეტი“, „პიკელის მოედანი“, „ტერტის მოედანი“.

1933 წლიდან ვასო ჯორჯაძე ფრანგ მხატვართა სინდიკატის წევრია, რომელიც დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართველ მხატვარს. მხატვარს ენატრებოდა სამშობლო, ახლობლები. აქ შექმნა მან პირველი ტილოები, რომლებიც დაცულია თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, ნაწილი კი ინახება მხატვრის დასთან თამარ ჯორჯაძესთან.

ვ. ჯორჯაძე გარდაიცვალა 1952 წ. 6 დეკემბერს, პარიზში. მისი პირადი სურვილის თანახმად, დაკრძალულია პარიზის გარეთ მდებარე სენ-ჟენევიე დე ბუას სასაფლაოზე.

ვასო ჯორჯაძის სახელგარკეთილი მემკვიდრეობა, როგორც ლალო გუდიაშვილმა გადმოგვცა, ძირითადად პორტრეტებს წარმოადგენს, გაფანტულია ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში. დიდ კეთილშობილურ საქმეს გააკეთებენ სათანადო ორგანიზაციები, თუ ითავებენ და შეკრებენ ვასო ჯორჯაძის მიერ დატოვებულ ტილოებს და დაუბრუნებენ სამშობლოს, რათა ვ. ჯორჯაძემ კუთვნილი ადგილი დაიკავოს ქართველ მხატვართა შორის.

მიკიტანი



ლენის სარდაფში



მეღელუკაბი



ჩვეის შემდეგ მოიპოვეს ქვეყნში დათვალიერებაზე მონაწილეობის ტფ-ლება, 17 ჩვენი რესპუბლიკიდან იყო.

ქუთის გადაწყვეტილებით დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტის ხუთი მთავარი ჯილდოდან — ორი ქართველ კინომოყვარულთა ნამუშევარს მიეკუთვნა. პირველი მიიღო ფერადმა სურათმა „სტუდენტურ თამაშობათა კვლავაკვალ“, რომლის ავტორები არიან თბილისის ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები — ე. აბულაძე, ი. კაპაჩნიკოვი და ე. კრანცი. ამავე ფილმმა სსრ კავშირის საორტულ საზოგადოების პირველი პრემია დაიმსახურა. დათვალიერების მეორე მთავარი ჯილდო მიეკუთვნა ახალგაზრდა ქართველი კინომოყვარულის ქ. ციციშვილის ნოველას — „განმორება“. საბჭოთა კავშირის საზოგადოება „ცოდნის“ პრემიით აღინიშნა სამეცნიერო-პოპულარული ფერადი ფილმი „წყალმცურავი ფრინველის ხელოვნური ბუღობა“, რომელიც შექმნილია ამირეჯავასის სახმადრო ოლქის მონადირეთა კავშირის კინომოყვარულთა მიერ. პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს II პრემია მიეკუთვნა ფერად ფილმს „მთების ძახილი“ (ავტორები — ი. ვაისმანი, კ. ბელსკი, ი. ჯაფარიძე და ე. კრანცი); გარდა ამისა, პირველი ხარისხის დიპლომებით აღინიშნა ფილმები: „წვიმა“ (გადაღებული ბათუმის კინომოყვარულთა მიერ), „ტალღა და კლდე“ (კინონოველა, შექმნილი თბილისის და ბათუმის კინომოყვარულთა მიერ), „შემოდგომა საგარეჯოში“ (ფილმის ავტორი — თ. კობიძე), „დიდი ფეხბურთი“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინომოყვარულთა სექცია) და „ჩამტვრეული არსა“ (პოინერთა სასახლესთან არსებული კინომოყვარულთა ჯგუფის კინოკომედიია); ამ წარმატებებით ჩვენი მოყვარულები შემოქმედების ფართო გზაზე გამოვიდნენ. უკან დაარჩა შემოქმედებითი ძებით, მივინებთა სიხარულით აღსავსე გზა, პატარა, მაგრამ ლამაზი ისტორია.

საქართველოში პირველად კინო-

კინომოყვარულებს

— ფართო გზა

ირაკლი თულაშვილი



კანასკნელ წლებში სულ უფრო ფართოვდება კინომოყვარულთა შემოქმედება. მან საკმაო პოპულარობა მოიპოვა. უკვე არის შესაძლებლობა კინომოყვარულთა მიერ გადაღებული სურათებიდან შევარჩიოთ საუკეთესონი, და ანალიზი გავუცეთოთ მათ დადებითს და უარყოფით მხარეებს, შევჯამოთ განვლილი გზა.

ამის საშუალებას იძლევა არა მარტო ის 23 ფილმი, რომლებიც ნაჩვენებია იყო რესპუბლიკურ დათვალიერებაზე, არამედ ის წარმატებებიც, რასაც მიაღწიეს საქართველოს წარმომადგენლებმა მოსკოვში კინომოყვარულთა ფილმების მეორე საკავშირო დათვალიერებაზე.

კინომოყვარულთა 365 ფილმიდან, რომლებმაც წინასწარი მკაცრი შერ-



ასარტებით შვიარადნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და შექმნეს კინონარკვევი — „24 საათი თბილისში“ (ხელმძღვანელი გ. პებელიშვილი). თითქმის ერთდროულად დაიწყო მუშაობა მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის კულტურის სახლის კინომოყვარულეებმა და მალე მასურებლის წინაშე წარსდგნენ ფილმი „ჩვენი რაიონი“. მან მოყვარულთა კინოფილმების პირველ საკავშირო დათვლიერებაზე 1959 წელს საუკეთესო შეფასება — პირველი პრემია დაიმსახურა და შერთული იქნა სრულიად საკავშირო ტრანზუდ გასაშვებდა, ხოლო მის შემქმნელ კინომოყვარულთა ჯგუფს, რომელსაც ნ. სურგულაძე ხელმძღვანელობდა სტუდია „ლიხაურფილმის“ სახელწოდება მიენიჭა. ამ წარმატებით აღდერთვანებულმა ლიხაურულეებმა გამოუშვეს კიდევ ორი ფილმი — „შვიდწლიანი გარიერაზე“ და „შრომისა და სიმღერის ადამიანები“. ამ ფილმების გამოშვებით „ლიხაურფილმმა“ დამოუკიდებელი ცხოვრების საგურეო მიიღო.

ამ შესანიშნავ თაონისობას მალე ბევრი მომდევარი გამოუჩნდა. ზედნაზედ გამოვიდა საინტერესო მიგნებითა და ნიჭით აღბეჭდილი კინომოყვარულთა ფილმები, რომლებიც შექმნეს სხვადასხვა ასაკის, პროფესიის, გემოვნებისა და განათლების ადამიანებმა.

საკარეჯოს რაიონული კულტურის სახლის კინომოყვარულთა კომკავშირულმა ჯგუფებმა შექმნეს საინტერესო, კოლორიტული კინონარკვევი „შეშოდგომა საკარეჯოში“ (ხელმძღვანელი თ. კობიძე). ფოთის რკინაგზელმა მოყვარულებმა ფილმი „ფოთი“ სიყვარულით გვიამბეს თავიანთ ქალაქზე. მათვე შექმნეს ფილმი „ლია“. რამდენიმე საინტერესო ფილმი გადაიღეს ბ. ძნელაძის სახელმწიფო თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კინომოყვარულეებმა, სადაც ნმ-მდე ნორჩი ენთუზიასტთა გაერთიანებულნი. ჩვენს მგებობები ვართ — ასე უწოდეს მათ თავიანთ პირველ ნაწარმეებს.

კინომოყვარულთა კლდებმა, რომელიც შექმნილია კომკავშირის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომთან, უკვე გადაიღო სამი ფილმი: „ჩვენი რაიონი“, „მახვილი თვლით“ და „ლაპიტი“ (ქართული ეროვნული თამაშის შესახებ), რომლებმაც საერთო აღიარება მოიპოვეს. კინომოყვარულთა ჯგუფები ჩამოყალიბებულია, აგრეთვე, თბილისის პლებნანოვის, 25 კომისრის, ი. ჭავჭავაძის სახელობის მუვლის კომბინატის, კიროვის სახელობის ქარხნის, ტრიკოტაჟის კომბინატის, ტრამვაო-ტროლიბუსის სამმართველის კლუბებთან. ხოლო თბილისის ფესსაქელის პირველ ფაბრიკასთან მუშაობს კინოსტუდია, რომელშიც გაერთიანებულია 100 მუშა-მოსამსახურე. მუშაობას იწყებენ გავრის კინომოყვარულეები, ხოლო ქუთაისის კინოთიანებულია 100 მუშა-მოსამსახურე. უკვე ჩამოყალიბებულია კინომოყვარულთა საზოგადოება წარმატებით მუშაობენ თბილისისა და ბათუმის პედინსტიტუტების კინომოყვარულეები. ამ კოლექტივების მიერ შექმნილი ფილმები IX რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საბატიო სიკვლევით აღინიშნა. ახლა ჩვენი რესპუბლიკის საქარმოო-დაწესებულებებთან, კულტურის სახელებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან ჩამოყალიბებულია 57 სექცია, რომლებშიც გაერთიანებულია ორი ათასამდე კინომოყვარული. ყოველწლიურად კიდევ უფრო იზრდება მოყვარულ კინოშემოქმედთა რკივა. ისინი, პორტატიული კინოყაწერებით შეიარაღებულნი ფირზე აღბეჭდავენ ჩვენი რესპუბლიკის შრომელთა მრავალგვარულ, საინტერესო ცხოვრებას, მინწვლეოვან მოვლენებს. შეიძლება ითქვას, რომ არ არის ჩვენი ცხოვრების ისეთი მხარე, რომელიც „მცირე კინომატორაჟის“ ყურადღების გარეშე რჩებოდეს.

ვერავითარი სახის მეშურეები, ჩანაწერები, მოგონებები ვერ მოსვენალი იმ შთაბეჭდილებებს, რომელიც შეიძლება შეიქმნას კინომოყვარულთა მიერ გადაღებული ფირებით. დღეს კინომოყვარულთა მოღვაწეობა

გართობა როდია. მათ მიერ ცხოვრების შუაგულში გადაღებული ფილმების არის ფართო მისამართის კლდეები. კინომოყვარულეები მართო თვითმომქმედი ენთუზიასტები კი არ არიან, არამედ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის აქტიური პროპაგანდისტები. შემთხვევითი არ არის, რომ კინომოყვარულთა ფილმების ხშირად უჩველებენ ტელევიზიით, ხოლო ჩვენი რესპუბლიკის კინომოყვარულთა ფილმების საზოგადოებისთვის გაანხილეს, რომელიც მოსკოვში კინოს ცენტრალურ სახლში მოეწყო, ასობით მასურებელი მიიზიდა.

ჩვენს კინომოყვარულებს მრავალი წინააღმდეგობისა და სინდელის დაძლევა უხდებდათ კინოფილმების შექმნისას. დღემდე ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება რაიმე მეთოდური სახელმძღვანელო, რომელიც კინომოყვარულებს გააცნობდა კინოხელოვნების თუნდაც ძირითად ტექნიკურ საკითხებს. სინდელეები იქმნება კინოფირის, ქიმიკატების და ყოველგვარი სახის წიწყობილობისა და ხელსაწყოს შექმნას. არაფერს ვამბობთ სამონტაჟო მავიდეზე, ტრანზებზე და ფირის გასარშობ და ასლების მოსაკადვებელ სექციულურ ხელსაწყოებზე, რომლებიც საერთოდ არ იშოვება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კინომოყვარულთა ფილმების უმრავლესობა არ გამოდის რესპუბლიკურ ტრანზებ; მას არ ეცნობა მოსახლეობის უმრავლესობა. კინომოყვარულთა ნაწარმეების რკენება, უმეტეს შემთხვევაში, ცალკეული დასახლებული პუნქტის, სოფლის დაწესებულებების, წარმოების მასურებლით იფარგლება. ვფიქრობთ ასეთი მდგომარეობა უნდა გამოწორდეს. საკუთარ შეიქმნას რესპუბლიკური კომისია, რომელიც შეამოწმებს და შეარჩევს კინომოყვარულთა ფილმებს რესპუბლიკურ ტრანზე საჩვენებლად.

ჩვენ კინორეჟისორებს და კინო-ოპერატორებს მართებთ მეტი ყურადღება დაუთმონ კინომოყვარულთა საქმიანობას, მათი პროფესიული დონის ამაღლებას. მათ შეუძლიათ ნაწილობრივ მანაც გაუწიონ პრაქტი-

კული და მეთოდური დახმარება, განსაკუთრებით, დაწესებულება კინომოყვარულებს.

თუ სახალხო თეატრები სდგამენ საექტაკელებს მიღებული და დამუშავებული პიესებით, კინომოყვარულები თვითონ წერენ (ვისაც როგორ შეუძლია) სცენარებს; თუ სახალხო თეატრებს ხელმძღვანელები გამოცდილი ხელოვანი რეჟისორები, კინომოყვარულთა ჯგუფებს უმრავლეს შემთხვევაში სათავეში უდგანან არასპეციალისტები, რომლებსაც ხშირად პრაქტიკული გამოცდილებაც კი არა აქვთ. ამიტომაც ძლიერ კეთილშობილური იქნება, თუ ჩვენს კინომოყვარულებს სათავეში ჩაუდგებიან ქართული კინოს გამოცდილი ოსტატები, მეთოდურად და პრაქტიკულად დაეხმარებიან, წარმართავენ მათ მუშაობას. ეს აამაღლებს კინომოყვარულთა პროფესიულ დონას.

საჭიროა კინომოყვარულთა საუკეთესო ჯგუფი თავიანთი დანიშნულებით და უფლებებით გაუთანაბრდნენ სახალხო თეატრებსა და კულტურის უნივერსიტეტებს.

ცნობილია, რომ მისახლეობაში კინომოყვარულობისადმი ინტერესი სწრაფად ფართოვდება, მაგრამ მთელრიცხაობის რაიონული და საქალაქო კულტურის სახლებთან და მსხვილ საწარმოებთან (ზეესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა) ტყუილის მაღაროს სამამართველო და სხვა), რატომღაც ღლებდ არ არის შექმნილი კინომოყვარულთა ჯგუფები, არც ზრუნავენ მათთვის საჭირო ბაზის შექმნაზე. ზოგიერთ საწარმოსა თუ დაწესებულებაში არ იმეტიბენ არც სახსრებს, არც ყურადღებას, რაც განსაკუთრებით ესაჭიროებათ ჩვენს კინომოყვარულებს. პროფკავშირულ-მა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საქმეს, უნდა გამოიყონ სახსრები კინომოყვარულთა განვითარებისათვის, მათთვის მუშა-

ობის პირობების შექმნისათვის, ისევე როგორც მხატვრული თვითმომკმედების, სპორტულ-ფიზკულტურული და სხვა მასობრივი მოქმედებისათვის. საწარმო-დაწესებულებებში, კლუბებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში უნდა შეიქმნას კინომოყვარულთა წრეები. პრესაში ფართოდ უნდა გაშუქდეს კინომოყვარულთა მუშაობა, დაიწეროს რეცენზიები, მათ მიერ შექმნილ ფილმებზე, რასაც, სამაგიეროდ, იშვიათად ვხვდებით

ჩვენს კინომოყვარულებს დღემდე არ გააჩნიათ ე. წ. „პოპულარული ლაბორატორიები“, სადაც თვით-ული კინომოყვარული ხელმისაწვდომ ფესებში შესძლებდა ფირის გამკლავებას და დაბეჭდვას. უკვე რამდენიმე წელია ლაბარაკია იმაზე, რომ საქართველოს კინომუშაკთა კავშირი ჰქმნის თბილისში კინომოყვარულთა ლაბორატორიას საუკეთესო ტექნიკური მოწყობილობით, მაგრამ ეს დღემდე მხოლოდ დაპირებად დარჩა. ამ მხრივ მისაბძია კინომოყვარულთა საზოგადოება, რომელმაც საქართველოს პროფკავშირს დახმარებით შეიძინა საჭირო მოწყობილობა და მთავრება მის დამონტაჟება საზოგადოებრივ საწყისებზე, რითაც საშუალება მიეცათ კინომოყვარულებს დაამუშავონ და გაახმოვანონ თავიანთი მასალები. მაგრამ არ შეიძლება მარტო ამით დაკმაყოფილება კინომუშაკთა პროფკავშირმა არ უნდა მოხსნას დღის წესრიგიდან „პოპულარული ლაბორატორიის“ შექმნის საკითხი, მის დროულ გადაჭრაში უნდა ჩაებას კინოპროპაგანდის სახლი, სადაც ლაბორატორიის შექმნის ყველა პირობა. კინომოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოების კეთილნაცხოფიერი მუშაობა იმითაც გამოიხატა, რომ კინომოყვარულთათვის მოაწყო სექციური სწავლა-სარეჟისორო, საოპერატორო და სასცენარო კურსებზე.

ამჟამად ფილმის შექმნაზე მუშაობენ რკინიგზელთა კინოსექცია, პლენიონის სახელობის კლუბის კლუბის სახელობის პროფკავშირის ინსტიტუტის, კიორერთა სასახლის, ფხასკაძის ფაბრიკის, ფოთის და სხვა კინომოყვარულთა სტუდიები. ქუთაისელი კინომოყვარულები გატაცებით მუშაობენ ფილმზე — „რას გვიამბობს რაინის ტალღები“. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მონადირეთა კავშირის კინომოყვარულებმა უკვე გადაიღეს სამანწილიანი ფილმი „დაღესტნის მთების ბილიკებზე“.

წარმატება ხვდა ფილმს „შრომა“, რომელიც მიეძღვნა საქართველოს პროფკავშირის XII ყრილობას. სურათი გვიამბობს კომუნისტური შრომის მოძრაობაზე, მოწინავეთა, რაციონალისტობისა და გამოხვეწილთა სახელოვან საქმეებზე, ცალკეული პროფკავშირის განხორციელების მიერ ჩატარებულ კულტმასობრივ ღონისძიებებზე. ამ ფილმის გადაღებაში მონაწილეობა მიიღო თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისისა და საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონების 23 კინომოყვარულმა. სიახლოვეთი უნდა აღინიშნოს, რომ ფილმმა — „აღმანი კინოპარატი“, რომელსაც ჰქმნის მოსკოვის კინოსტუდია ჩვენი დიადი საზოგადოების კინომოყვარულთა საქმიანობაზე, საკმაოდ ადგილი უკავია საქართველოს კინომოყვარულთა შემოქმედებას. ამ სურათისათვის უკვე შეჩვენულია 10 ფილმი, მათ შორის: „სტუდენტურ თამაშობათა კვალდაკვალ“, — დაღესტნის მთების ბილიკებზე“, — ტალღა და კლდე“, „წვიმა“, „დიდი ფეხბურთი“ და სხვა. ბოლო საკავშირო კინემატოგრაფიის მუშაკთა პროფკავშირის წინადადებით საქართველოს კინომოყვარულთა საზოგადოება საზღვარგარეთ სარეწვენლად ამზადებს ქართველ კინომოყვარულთა ფილმებს.



საფარა

მრავალ კირვანცადილი ტაძრის მთავარი კორპუსი ხელოვნურად, ბუნებრივ თიანებული ორი ეკლესიისგან — შედგება — ერთი, ღვთისმშობლის მიძინების სახელობისა, უფრო ძველია და მცირე ზომისა (X საუკუნე), მეორე — წმიდა საბას სახეზეა აშენებული XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე და დიდ, ცენტრალურ ნაგებობას წარმოადგენს. იგი გადამდგარია ურავლის ხეობისაკენ ციცაბოდ დაშვებული და უფსკრულივით ღრმა ხრამის თავზე, კონცხზე, რომლის ვიწრო კლდოვანი ქიმი მშენებლებს შენობის ფუძედ რომ არ პყოფნიათ, მისი ღია პირი გიგანტური კედლებით ამოშენებულია და საუკუნოებრივად გამძლე ბრტყული ბაქანი შეუქმნიათ.

ხელოვნურად განმტკიცებულ ამ ქარაფოვან ფუძეზე საოცარი სიმტკიცით, სიზუსტითა და ხელოვნებით ამომართული ახოვანი კედლები დღემდე გაუზზარავად მოღწეულა. ეს მშენებელთა მაღალ ოსტატობაზე ლაღადებს და დღესაც განცვიფრებას იწვევს.

მთათა სიღრმეში მოქცეული ტაძრის მდებარეობა ამართლებს თავის სახელწოდებას — საფარას. იგი, მარჯვლად, საიმედო თავშესაფარი და საცავი უნდა ყოფილიყო მტერთა მოხლეჩავეების დროს, ხოლო პოლიტიკური ძლიერების ხანაში, როგორც ცნობილია, იგი საზაფხულო რეზიდენცია იყო მესხეთის ათაბაგთა და მათი სახელეულობისა. საფარის ციხეს დღესაც „ათაბაგთა ზღუდეს“ უწოდებენ.

საფარის მუდრო გარემოში თავმოყრილი ბერ-მონაზონი მღვდელთმსახურებასთან ერთად, უდაოა, აქტიურ სამწერლო საქმიანობასაც ეწეოდნენ, აგრძელებდნენ ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცენტრებში დაწერვად ტრადიციებს და ქართულ მწერლობას ამდიდრებდნენ სასულიერო და ფილოსოფიური ხასიათის თხზულებებით. ჩვენი ისტორია ჯერჯერობით საფარიდან გამოსულ რამდენიმე მწერალსა და მაღალი სასულიერო თანამდებობის პირს იცნობს. პირველ რიგში აღსანიშნავია არსკენ დიდი საფარელი, რომლის კალამსაც ეკუთვნის ისტორიულ-პოლემიკური

ს ა შ ა რ ა

ილია მასისურაძე

მესხეთის სიძველეთა შორის ყურადღებას იპყრობს დიდებული საფარა. ეს არის წარმტაცი ბუნების წიაღში ჩამდგარი დიდი ტაძარი, მაღალი ხელოვნებით ნაგები, მდიდარი ჩუქურთმებით, კედლის მხატვრობითა და წარწერებით შემკული. მას ირგვლივ მრავალი ნაგებობა შემორტყმია. ეკლესია სამხრეთ-დასავლეთით ამოზიდული ციხე-სიმაგრე, ძველი გალავანი, სამრეკლო, რამდენიმე ეკლესია-სამლოცველო, ბერთა სენაკები, სასახლისა და საჯინობთა ნანგრევები და სხვ. საფარის შენობათა მთელ ამ კომპლექსს ჩინებული მდებარეობა აქვს: მას სამი მხრიდან რკალივით ერთკმის ერთუშეთის ქედიდან გამოშავალი მთა-

თა გრებილი — ერთი მხრივ რუხ ქარაფოვან კლდეთა მკაცრი მასივი, მეორე მხრივ კი წიწვოვანი ტყით შემოსილი რბილი, ზავრდოვანი ფერდობები.

მხოლოდ აღმოსავლეთისაკენ იშლება საფარის ბუნებრივი ზღუდეები, საიდანაც იგი ამჟამად გადასცქერის მდ. ურავლისა და ღრულის ხევთა გასაყარს, უფრო შორს კი თვალს უსწორებს ფოცხოვისა და მტკვრის შესართავში გადაშლილ ვაკე-ჭალეებს, სოფ. წნისისა და კლდის სანახებს, რომელთაც ჩრდილოეთიდან ფერსათის, ანუ ძველი სახელით ლადოს ქედი აჭვთ აზღუდული. ამ მხრიდან საფარა საესებით მიუვალია:



ნაწარმოები „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“. ავტორის შესახებ თხზულების სათაურშივე ნათქვამია, რომ ეს ნაწარმოები არის „თქმული წმინდისა მამისა ჩუენისა არსენისა, რომელი იყო სანახევითვან სამცხისთა საფარით“. ძველ ქართულ წყაროებში არსენის გარდა მოხსენებული არიან კიდევ წიგნების გადაწერენი ივანე საფარელი, საფარის დეკანოზი იოვანე და ქართლის კათალიკოსი გაბრიელ საფარელი.

XVI საუკუნის 80-იან წლებამდე, ე. ი. მუსხიშის თორქთავე დაპყრობამდე, საფარა მძლავრ სასულიერო ცენტრად ჩანს მიველ კუთხეში. მისი გავლენა პოლიტიკური ცხოვრების სფეროებზეც სწეფებოდა. ამის დასადასტურებლად საკმაო ერთი ფაქტი დავასახელოთ.

შესაბუთებების საქართველოს ისტორიაში ცნობილია სამცხის ათაბაგთა გამომწველი პოლიტიკა, მიმართული ქართლის სამეფოსა და ერთიანი ეკლესიისაგან სამცხის გამოყოფა-ჩამოშორებისაკენ. ამ მიზნით აქური პოლიტიკური მესვეურები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ადაგილობრივი სამხედროლებმა არა დამორჩილებოდა მცხეთის კათალიკოსის უზენაეს უფლებას. ყვარყვარე დიდის დროს (XV საუკ.) განცალკევების ეს ტენდენცია ისე გაძლიერებულა, რომ აწყურის კათალიკოსი (მაწყვერელი) და საათაბაგოს ეპისკოპოსნი მცხეთის ნებართვის გარეშე დაუმტკიცებიათ. როგორც ისტორიკოს ქრისტინე შარაშინის მიერ გამოქვეყნებული ერთი ისტორიული საბუთიდან, სახელდობრ, ივანე ლასურთი-ყუმურდოელის პირობის წიგნიდან ჩანს, ამ ფაქტს ქართლის კათალიკოსი ისე გაურისხებოა, რომ იგი სათანადო საეკლესიო ცერემონიებით სამცხეში ამოსულა და საფარის თავზე საგანგებოდ შერეზბილი ერის წინაშე უკანონოდ გამოცხადებოდა და გადაუწყვეტა ადაგილობრივი ეკლესიის თვითნებურად დანიშნული ხელმძღვანელები. ამ ამბისათვის საფარის გამოყენება ტაძრის უღაოდ დივი პრესტიჟის მატენებელია. ხსენებულ დოკუმენტში ნათქვამია, ეს პი-

რობის წიგნი მაშინ დაიწერაო, „ოდეს მანუწერელი და სამცხისა ეპისკოპოსნი უჯუაროდ და შეუნდობილნი იყუნეს საფარისა თავზედა“ (იხ. ქრისტ. შარაშინი, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები).

ძველ წერილობით ძეგლებში საფარის შესახებ ამაზე მეტი არაფერია თქმული. პირველ მშრალ ცნობას ვაზუშტი იძლევა, რომელიც თავის გვირაფიულ ნაშრომში აღნიშნავს, რომ ღრელის თავზე „ხეზედ არს საფარის მონასტერი შეენიერად ღიღშენი, გუნდათაინი, ყოველად წმინდა. ეს იყო შემკული ყოვლითა საეკლესიოსა და წმინდათა ნაწილებითა და დაეფლოდნენ ათაბაგნი და აწ არს ხუცის მამარ“.

XIX საუკუნის საფარამ მკვლევარ-მოგზაურთა დიდი ყურადღება მიქცია. ფრანგმა მეცნიერებმა დოუბოა დე მონპერემ და მარი ბროსემ ტაძრის საერთო აღწერილობის დაგვიტოვეს. ჯ. ბაქრაძემ, ე. თაყაიშვილმა, დ. გორდეევმა და სხვებმა სხვადასხვა დროს შეისწავლეს საფარა და შრომებიც გამოაქვეყნეს, მაგრამ ამ შესაწავლის ძეგლის აწერა-მიმოხილვა და სპეციალური მეცნიერულ-მხატვრული ანალიზი პირველად პროფ. ვ. ბერიძემ მოგვცა თავის კაპიტულურ ნაშრომში — „სამცხის ხუროთმოძღვრება“, რომელიც 1955 წელს გამოქვეყნდა.

ბუნებრივია, რომ მკვლევარის ყურადღება ძირითადად საბას სახელობის მთავარი ეკლესიისაკენ არის მიპრობილი, რომლის კედლები შიგნიდანაც და გარედანაც უხვადაა მოჩუქრთმებულ-შემკული. ამ მხრე განსაკუთრებით საყურადღებოა დასავლეთის დიდი კარიბჭე, რომლის სარკმლის წარწერაში მოხსენებულია ტაძრის ამშენებელი ხუროთმოძღვარი ფარეზასძე. ტაძრის შიგნით სამხრეთის კედელი მოხატულია ისტორიულ პირთა დიდი ფერადი პორტრეტებით. წმ. საბას გამოსახულების შემდეგ აქ წარმოდგენილი არიან სარგის ჯაყელი, მისი დე ბეკა მანდატურთუხუცესი და ბექას შვილები სარგის

მეორე და ყვარყვარე, აქვე, საკმაოდ დაზიანებული წარწერა, რომელიც გვაშეხებებს ბექას მიერ ტაძრის აგების ამბავს.

მთავარი კორპუსის ირგვლივ თავმოყრილ ნაგებობათა კედლებზეც არა ერთგან ვხვდებით ძველ ქართველ ოსტატთა შემოქმედების ნაკვეთებს, ფრესკებს, ჩუქურთმითან სამკაულებს, წარწერებს. ბევრი მათგანი დაზიანების გამო იმდენადაა შეზღუდული, რომ გულსაკვებ შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს იქმნის განსაკუთრებით სამრეკლოს პირველ სართულზე, სადაც ბეკა ათაბაგთან დაახლოებულ დიდებულთა ოჯახის — ლასურთიძეთა საგვარეულო აკლდათ ყოფილი მთავრების გამო. მისი კედლების მავალი ფერადი მხატვრობა, რომელიც 30-იოდ წლის წინათ კარგად შეინახებოდა, დღეს ძლივს იხილება. იგი აქრულულია შიგნით მნახველთა ნაკაწრებითა და ნაუღანებით, იატაკი აყრილია, ხოლო ბათქაში ბევრგან ჩამონგრეული.

ასევე მოუვლელ-დაუცველი და იაფი უცქდავების მაძიებელთა დაუნდობელი ხელითაა შეითხინილი წმ. სტეფანეს, იოანე ნათლისმცემლის, გიორგის, დიმიტრის, იოანე ოჭროპირის სახელობის სამლოცველო ნაგებობანი და თვით საბას ტაძარიც.

სამწუხაროდ, საფარის ანსამბლიდან ბევრი რამ ჩვენს თვალწინ განადგურდა. როდისღა მოვლენ აქ საშველად კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოსა და საზოგადოების წარმომადგენელნი?

მაღალი შიგნის კალთებში უფრტენველად შეზინული საფარა ბუნების ბრწყინვალე ჩარჩოში ჩასმულ ძვირფასი თვალთა წარსულისა, წინაპართა ნიჭის მამულები, მათი შრომისა და შემოქმედების ნაყოფი. ის „საუკუნეთა მოდარაჯე“ და მრავალ ათაბაგთა ცვლის ურყევი მოქმედა თანამართ ჩვენი მეგობარიც, ჩვენი „ჩუქურთმიანი თანამგზავრიცა“.

თვალისჩინებით გავფურთხილდეთ მას და ღრსეულად შევისწავლოთ მისი „უხმო“ ღაღადისი.

ელისაბედ ორბელიანი

ნინო ჩიხლაძე



ელისაბედ ორბელიანი

საქმიანობაში და ღრმა მოხუცებულობამდე კალამი არ გაუგდია ხელიდან. კ. გამსახურდიას, ი. გრიშაშვილს, შ. ნუცუბიძეს, ნ. ნაკაშიძეს, ა.კ. გაწერელიას, პ.ოფ. შ. ასლანიშვილს კარგად ახსოვთ უკვე წელში მოხრილი, ხანდახმული, მაგრამ საოცრად ცოცხალი, დაუზარელი მოხუცი, რომელიც დამეხება ათენებდა ქართული ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებების თარგმანებზე.

ამ მხრივ იგი მართლაც საოცარი მოვლენა იყო.

ელისაბედმა მთარგმნელობითი მოღვაწეობა სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო, ჯერ კიდევ ევროპაში ცხოვრების დროს. ამ წლებს ეკუთვნის ლერმონტოვის პოემის — „დემონის“ თარგმანი ფრანგულ ენაზე, რომელიც 1907 წ. გამოიცა ფრანგი მწერლის ფრანსუა კოპეს წინასიტყვაობით.

ელისაბედ ირაკლის ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა და იბადა 1870 წლის 25 ოქტომბერს; პოეტის ქალის მამა ირაკლი ბაგრატიონი-გრუზინსკი ერეკლე 11 შვილიშვილის ალექსანდრე ბატონიშვილის შვილი იყო. დედა კი, თამარ ბაგრატიონი-გრუზინსკი, ალ. ჭავჭავაძის ვაჟის დავითის ასული, ცნობილი ქველმოქმედი ქალი, ილისა დიდი მეგობარი გახლდათ. მეუღლის სიკვდილმა ახალგაზრდა ქვრივს დროებით დაატოვებინა სამშობლო მხარე. თავისი ორი ქალიშვილი — ელისაბედი-თა და ეკატერინეთი საზღვარგარეთ გაემგზავრა. ელისაბედი პარიზში კეთილმოხილ ქალთა სასწავლებელში მიიბარა, რო-

ელისაბედ ორბელიანი ქართულ მწერლობაში „სახანდარის“ ფსევდონიმით არის ცნობილი, უფრო კი მას იცნობენ, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე მთარგმნელს. მაგრამ მართლ ამით არ ამოიწურება ელისაბედის დამსახურება. მის სახელთან დაკავშირებულია მრავალმხრივი ლიტერატურული საქმიანობა.

ელისაბედ ორბელიანმა ბავშვობა და ახალგაზრდობა საზღვარგარეთ გაატარა: ცხოვრობდა შვეიცარიაში, იტალიაში, საფრანგეთში...

მწერალ ქალს გული წყდებოდა, რომ საუკეთესო წლები უცხოეთში დაჰყო, სამშობლოსათვის ვერაფერს აკეთებდა. მას მუქდებ, რაც მან მშობლიურ მიწაზე ფეხი დადგა, თავისი ენის სიტკბო იგრძნო, უმალ ჩაება კულტურულ-საზოგადოებრივ

მელიც ცნობილი იყო პასიონ „სკორის“ სახელწოდებით, რის შემდეგ ბრწყინვალედ დაამოწავა პარტიზის უცხო ენების უმაღლესი სასწავლებელი. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა სწორედ ამ სასწავლებელში დაიწყო. იგი ლექსებს ფრანგულ ენაზე წერდა, გულის სიღრმეში კი დიდად განიცდიდა მშობლიური ენის უკუღმევანრობას.

ოცდაოთხი წლისა იყო ელისაბედ ორბელიანი, როცა სამშობლოში დაბრუნდა. მალე ცოლად გაჰყვა მამუკა ორბელიანს, ბორჯომის მიწების მემკვიდრის, „ქართული დრუჟინის“ დარსების ორგანიზატორს.

მამუკა ორბელიანი იშვიათი ადამიანი, ოჯახისა და შეილების დიდი მოყვარული იყო. მისი ვაჟი — ირაკლი, ცნობილი პიანისტი, იტალიელ მომღერალ ჯილისთან ერთად გამოიღოდა ევროპის დიდ ქალაქებში.

ელისაბედი საქართველოში ჩამოვიდა თუ არა, თავისი ოჯახი ქართული კულტურის მოღვაწეთა დასახლებულ ქერად აქცია. აქ თავს იყრიდნენ: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გიგო გაბაშვილი, უფრო გვიან ნინო ნაკაშიძე, იოსებ გრიშაშვილი, მალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე აბაშელი, თედო სახხოია, მალვა ნუცუბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ნინო ორბელიანი, ნუცა ჩხვიძე და სხვ.

ელისაბედის სახით ვაჟა თავის სამშობლოს გულშემატკივანს ხედავდა და ამიტომ თავის სულეირ მღელვარებას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ახლებელ ადამიანს, მას უსიარებდა. ეს ჩანს ვაჟას ლექსშიც, რომელიც მიძღვნილია ელისაბედ ორბელიანისადმი:

„რა მოვიგონო, ან რა დავწერო
დღე და ღამ ესტორი, გულს მწეპავს სველა,
ერთი დარდი მაქვს, ერთი ნალექი,
საგანი ნალექს — ქართველი დედა,
იმასთან ერთად ივერის ბედა,
დღეს უპატრონო, — მას უნდა შევლა
და აღმოვაპნო ლექსების წერით
ვახდება რაჟის ვაჟა-ფშაველას“

ეს ლექსი ელისაბედ ორბელიანის სალონში დაიწერა. აღ. ჭავჭავაძის შთამომავლისათვის უცხო არ იყო სალონების ტრადიცია.

იოსებ გრიშაშვილი ივთნებს: „მე ხშირი სტუმარი ვიყავი ელისაბედის სალონისა. იქ ყველას ერთნაირად მიგვექაროდა. ელისაბედი გვიბოლავდა თავის მაღალი კულტურით, მინარსიანი საუბრით, თავაზიანი სიტყვა-პასუხით. აქ ვმსჯელობდით, ვაკვერობდით. აქ ბევრ კარგ საზოგადოებრივ წამოწყებას შეეხას დრუთები. ელისაბედი ფართო ინტერნაციონალური ბუნებისა იყო. მისი ოჯახის კარები მუდამ ღია იყო რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრებისათვის, ისინიც სასიხლოდ უტოვებდნენ პოეტ-მთარგმნელ ქალს თავის ჩანაწერებს.“

ხელოვნებისა და ლიტერატურის დიდი მოყვარულის, ელისაბედის აღზომშია მარსელ პრევის, ფრანსუა კოპეს, ს. რაბანანინოს, თ. შალიაპინის, აკ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალ. აბაშელის, ვასო აბაშიძის, ნინო ჩხვიძის, კოტე ყიფიანის, ჯ. გამსახურდიას და სხვათა ჩანაწერები.

„ბატონო რაბანანინო! — წერდა პოეტი ქალი რუსეთის გა-

მოწინის კომპოზიტორ სერგეი რაბანანინოს. — ყველაზე ადრე-ტოვანებული თქვენს თავყანისცემელთაგან ვებედებ, გუბდლო თქვენ ეს წიგნი. ის არ არის ლერმონტოვისა და, ლექსები, ლექსები, სი, მაგრამ იგი არის პირველი ნაყოფი ჩვენი მუშაობისა და აი, დღეს მე ვთავაზობთ თქვენ, დამიდებული, რომ მიმავალში გააკეთებ უკუელს.

წაიკითხეთ მშვენიერი წინასიტყვაობა კოპესი.

ეუროპა ორ ლექსს, ერთი ზაფხულს დავწერე, მეორე მოგვიანებით... ორივე ლექსი თქვენ მოგაგონებთ ჩვენს საუბარს გუშინ საღამოს თქვენი მშვენიერი კონცერტის შემდეგ, რომლის გავლენის ქვეშ მე დღემდე ვიმყოფები“¹.

ეს წერილი თარიღდება 1913 წლით, როცა საქართველოში ყოფნისას რაბანანინოვი ეწვია ელისაბედ ორბელიანს და აქ მშვენიერი დიასახლისის ოჯახში გაეცნო ზაქარია ფალიაშვილს, დიმიტრი არაკიშვილს, კონსტანტინე მელიქიეთსუცესს და სხვ.

მისი კონცერტი, გლინკას სახელობის მუსეუმში დაცულია ელისაბედ ორბელიანის მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილი ლერმონტოვის „დემონი“, რომელიც მან ს. რაბანანინოს უძღვნა.

ელისაბედ ორბელიანი ღრმად იცნობდა რუსულ ლიტერატურას, წერდა, რომ საფრანგეთში იცნობდნენ პუშკინს, მაგრამ ლ. ტოლსტოის და ლერმონტოვის არა, შესაძლოა ამან გადაწყვიტინა ეთარგმნა ლერმონტოვის „დემონი“, რომლის სიუჟეტი საქართველოს ბუნების ფონზეა გაშლილი.

მაგრამ, აკაკიმ მაინც გაქნაწლა მშობლიური ენის უკუღმევანრობისათვის პოეტი-მთარგმნელი:

„ფრანკულულად ვიყარს წერა,
რუსულს თარგმნი, ქართულს ვერა,
მაგრამ მაინც ქართველობა,
გვიყვები, შენი მეჯარა“.

ელისაბედ ორბელიანის მაღალი ინტელექტითა და მისი მშვენიერი გარეგნობით მოზიბებული აკაკი ბერის მოლოდა ელისაბედისაგან:

„თულად, ტანად, მიზარ-მოზრით
პოეტურად შემკობლო,
მომღმობო, ფეხბო,
მოსაუბრე ენა ტუბოლო,
ვით ცის მნათობს, გულის გამბობს,
ვერ ვაშორებ შორით თვალსა,
სიმამ შენან გამოველო
სანუევე მომავალსა,
გასოლდეს, რომ ქართველი ხარ,
იმის ნიადაგზე მდგარი
და შოროდ ის აგამალდებს,
ვით ვარდლიდ მეგობარი“.

მართლაც, საოყრად შეგზამებია ბუნებას ამ მშვენიერ ქალში ჭკუა-კონება და სულიერი სიმდიდრე. ფიქრებით, საკმით იგი მუდამ სამშობლოს ინტერესებს დასტრიალებდა.

ცნობილია, თუ რა სიხარული შეგდა ელისაბედ ორბელიანი ქართული უნივერსიტეტის გახსნას. 1918 წელს იგი სიტყვით გამოვიდა ქართული საზოგადოების წინაშე.

ურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ამ წლის ფურცლებზე ქართული უნივერსიტეტის პროფესორების აკ. შანიძის, გ. აბეღლიანი, დ. უსნაძის, ვ. ღამბაშიძის, ი. ყიფშიძის გვერდით,

¹ რიადონა — „რაბანანინოვი“ 1961 წ. გვ. 118.



ქედით ელისაბედ ორბელიანსაც და ვეცნობით მის მიერ წარმოქმულ სიტყვას.

ელისაბედ ორბელიანი პირველი ქართველი უცხო ენის მასწავლებელი იყო ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში. 1925 წელს იგი სოლომონ იორდანიშვილთან ერთად ადგენს ფრანგული ენის სახელმძღვანელოს სტუდენტების დასამზარებლად. იგი კმაყოფილი იყო თავისი პედაგოგიური საქმიანობით, უყვარდა ახალგაზრდებთან მუშაობა, მაგრამ მოულოდნელმა ხიზანამ (ფუხის დამავეებამ) იგი მოსწყვიტა საყვარელ საქმეს. თუმცა ამის შემდეგაც მისი კარები მუდამ ღია იყო ახალგაზრდობისათვის, ყველასათვის, ვინც დაინტერესებული იყო უცხო ენის შესწავლით.

ელისაბედ ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობა თავისუფალი და საინტერესოა. მას რომ არამშობლიურ ენაზე უხდებოდა ლექსების წერა. ამიტომ ქართველ მეიბეგულამდე ვერ მიიტანა თავისი პოეტური ხმა. ნაზ, ფაქიზ ლირიკულ ლექსებში იგი სამშობლოს უმღერის, გვიხატავს თავის მიწა-წყალს მონატრებული ადამიანის სულიერ მდგომარეობას.

ელისაბედის ბევრი ლექსი საფრანგეთშია დაწერილი, ბევრი საქართველოში.

ჩვენ ვნახეთ 1938 წლით დათარიღებული მისი ლექსების მთელი ალბომი. ჩანს დიდხანს არ დაუნებებია თავი ლექსების წერისათვის, უყვარდა ექსპროზიტი. ეს ლექსები, რომლებიც ფრანგული სალონური პოეზიის ნიმუშებს ჰგავს, როდია მოკლებული პოეტური სახეებს. პატრონიტიზმი, სამშობლოს სიყვარული მისი შემოქმედების მთავარი თემაა. ლექსების კრებული ფრანგულ ენაზე გამოვიდა თბილისში, 1916 წელს „სახანძარიან“ ფსევდონიმით.

ელისაბედ ორბელიანი დიდი სიყვარულითა და მონდობით მუშაობდა ფრანგულ ენაზე ქართული ანთოლოგიის შედგენაზე. თარგმნა: ნ. ბარათაშვილის — „მერანი“, „სულთ ბოროტი“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „საყურე“, ალ. ჭავჭავაძის — „სიყვარულთ ძალსა შენსა“, „მუხამბაზი“ გრ. ორბელიანის — „გინდ მეძინოს“, „იარალის“, „სადღერძელო“. კავა-ფშაველას — „ჯარისკაცის წერილი“, „ჩივილი ხმლისა“ და სხვ. აგრეთვე გ. ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კ. მანუშვილის, ტ. ტაბიძის, ალ. აბაშელის, ს. შანინაშვილის და სხვათა ლექსები.

მაგრამ ელისაბედის ფრანგული თარგმანებიდან ფუნდამენტალურ ნაშრომად რჩება „ვეფხისტყაოსანი“. მან დაუმკვიდრა ნიჭიერი მთარგმნელის სახელი. ელისაბედმა „ვეფხისტყაოსანი“ თეთრ ლექსად თარგმნა, მანამდე კი მუნერაძის პროზაული თარგმანი არსებობდა.

ელისაბედ ორბელიანის ახლო მეგობარი, აკადემიკოსი ე. ნუცუბიძე მაღალ შეფასებას აძლევს მის შრომას. აღნიშნავს, რომ მთარგმნელმა ფრანგული ენა იცოდა სრულყოფილად, ბრწყინვალედ. გრძნობდა ფრანგული ენის რიტმს, მუსიკას, ამიტომ მისი თარგმანი „ვეფხისტყაოსანი“ საოცრად ღრმადი და თავისუფალია.

ელისაბედ ორბელიანი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე ჯიბით მუშაობდა, მუშაობდა დიდი პასუხისმგებლობის ცნობით. ყოველი ფრაზა ლაკონური, მკაფიო იყო. მისი პი-

რადი მდივანი, უცხო ენების მცოდნე თამარ ყანჩელის კალიგრაფიული შვილი მაკა ამრაჯიბი გვიამბობს: „ჩვენ ყველას გვეჩვენებოდა ელისაბედის ნიჭი და საოცარი ინტუიცია, რომელიც რეზი და ელისაბედი მუშაობდნენ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე. ელისაბედი ოთახში წინ და უკან სიარულისას იხე სწრაფად აწვდიდა ტექსტიდან თარგმნილ ტაყებს, რომ დედა ძლიერ ასწრებდა მის ფურცელზე გადატანას, მაგრამ თუ ზოგჯერ ოჯახის საქმეებით გადადილიყო ჩასაფრებდა, ვაი მისი ბრალი. მთორედ დღეს ელისაბედი მას შესაფერისი ლექსით შეამოხდა — მინიარეს ეძახდა.

ელისაბედ ორბელიანი „ვეფხისტყაოსანზე“ სოლომონ იორდანიშვილთან ერთად მუშაობდა, მისი სისტემატური კონსულტანტი იყო აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე.

დიდი დავალი მიუძღვის მწერალ ქალს „აბესალომ და ეთერის“ ქართული ტექსტის ფრანგულ ენაზე თარგმანშიც, რომელიც პროფესორ შალვა ასლანიშვილის რედაქტორობითა და შესავალი წერილით 1937 წ. გამოვიდა.

ეს იყო პირველი კლავირი საქართველოში. ელისაბედის

ელისაბედ ორბელიანის უცნობი ფოტო (შეუწავლბა პირველად)



თარგმანის ღირსება სწორედ იმაშია, რომ ქართული ტექსტის მარცვალთა რაოდენობა თარგმანს შეუნარჩუნა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქონდა მუსიკისათვის. ამგვამა კლავირი ბიბლიოგრაფიულ იმეათობას წარმოადგენს. ელისაბედ ორბელიანმა დიდი მონდომებით თარგმნა აგრეთვე ფრანგულ და ინგლისურ ენებზე ქართველი ხალხის სიმღერების სიტყვიერი ტექსტებიც, მაგრამ ამ შრომას რატომღაც ისეთივე ბედი ეწია, როგორც მის გამოუქვეყნებელ შრომებს.

ელისაბედ ორბელიანის მოღვაწეობა მარტო მთარგმნელობითი მუშაობით არ ამოიწურება. ეს კოლოსალური ენერგიის ქველმოქმედი ქალი დამაინსებელი და რედაქტორი იყო ინგლისურ და ფრანგული გაზეთებისა.

1919 წელს იგი რედაქტორობს ფრანგულ გაზეთს — „საქართველოს რესპუბლიკა“, და ამ გაზეთთან პარალელურად სცემს ინგლისურ გაზეთს „საქართველოს მატჩანე“ („საქართველოს მაცნე“). ამ საქმეში მას გვერდში ედგა კულტურის დაუღალავი მუშაკი და ფრანგული ენის შესანიშნავი მცოდნე თედო სახოკია.

გაზეთის რედაქცია მოთავსებული იყო ჯერ სოლოლაკში, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე, ხოლო შემდეგ თვით ელისაბედის ბინაზე — წყნეთის ქუჩაზე № 11-ში.

ფრანგულ გაზეთში ჩვენ გავეცანით ელისაბედის ლექსებს: „ჩემო სამშობლო“, „ჩემი საღამო საქართველოს“, „მისი“, „მშინარე მზეთუჩანავი“, „ნუ ეთამაშები ქერათმიან ცეცხლოვან ქალიშვილს“ და ერთ ხალხურ, მის მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილ ლექსდას — „რატომ არიან ქართველი ქალები ლამაზები“.

ელისაბედ ორბელიანის მრავალ საინტერესო წერილს შო-

რის საყურადღებოა სტატია ქართული ოპერების შესახებ ფლიანშვილის „აბესალომ და ეთერს“ იგი საყურადღებოდ არ ჩვენს, უცხოელებს აცნობს ოპერის სიუჟეტს — ხალხურებზე ქართული მუსიკის თავისებურებას.


ინგლისურ გაზეთში ელისაბედი აქვეყნებს აკაკი წერეთლის „მეჩინვურებს“, ვაჟა-ფშაველას „შელის ნუკრის ნამშობის“, „როგორ გაჩნდნენ ქვეყანაზე ბუები“, შოი არავისპირული „იუდას ამბოხის“, (რომელიც გაზეთის რამდენიმე ნომერში იბეჭდებოდა გაგრძელებით). აბაშელის „ჩემი სული“, პოეტ ქალის დომინია ერისთავის (განდვეილის) — „შეწვევტილ ამბავი“, გიორგი ეურელის — „ქალიშვილი ელზასიდან“ და სხვ. აქვეა დაბეჭდილი.

ამვე გაზეთშია ქართველების დიდი მეგობრის მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი — ი. ჭავჭავაძის „ქართლის დედა“ და ოლივერ უორდროპის მიერ თარგმნილი სულხან-საბა ორბელიანის ზოგიერთი არაკი.

ელისაბედი თარგმანებთან ერთად ხშირად ბეჭდვდა კრიტიკულ მიმოხილვებს. ასე მაგალითად, ვასილ ბარნოვის შესახებ — „გავიყნით ამოს“, საქართველოს წარსულიდან უცხოეთის გასაცნობად და სხვ.

ელისაბედ ორბელიანის საზოგადოებრივ-პატრიოტულ საქმიანობა ცხადყოფს, რომ მისი სახით გვყავდა ერისათვის თავდადებული მოღვაწე, რომელიც იბრძოდა ქართველი ხალხის სულიერი საუფრის სხვა ხალხთა შორის ფართო პოპულარიზაციისათვის.

ელისაბედი გარდაიცვალა 1942 წ. სამოცდათორმეტი წლის ასაკში. მას ბევრი რამ გამოუქვეყნებელი დარჩა. სასურველია, რომ ეს ნაშრომებიც გავყნოს ქართველმა საზოგადოებამ.



წ. კანდელაკი
 ვაჟა-ფშაველას პარსპექტი. სასტუმრო
 „აფხაზეთი“

სახლი ჭადრების ხეივანში

ლეო გაბუნია



ანა ბატონიშვილი — ლ. გავანავა („მეფე ვერელა“)

უცვართ თბილისელ რკინი-
გზელებს ეს დიდი, სვეტე-
ბიანი სახლი. და განა მარ-
ტო მათ, ყველას, ვინც თუნდაც ერთ-
ხელ დასწრებია სახალხო თეატრის
სპექტაკლებს, მხატვრული თვითმოქ-
მელების კონცერტებს, ოლიმპიადებს,
დასვენების საღამოებს.

დღისით აქ ჭარბობენ ნაირფერ ბაბ-
თებიანი გოგონები და ბიჭუნები. მათ
მოჰყვებიან მოჭირნახულე მშობლები,
ეფრო ხშირად თმადათოვლილი დიდე-

დები, პაპები. მოსაცდელ დარბაზებში
თუ ტალანებში სკამებზე ჩამოსხდე-
ბიან ისინი, ტკბილი მასლაათით, ხელ-
მარჯვეთა ნაკეთობის დათვალეირებით
თავს იქცევენ, ვიდრე საყვარელი ნორ-
ჩი მუსიკოსები, ანსამბლების, მხატ-
ვრული კითხვის თუ ტექნიკური წრეე-
ების წევრები მეცადინეობას მორჩები-
ან. პატარების წარმატებით წახალი-
სებულნი ზოგჯერ ურთიერთს შეე-
სიტყვებიან.

— დავიწყოთ! — ისმის ქორეთგ-

რად გიგი ლაცაბიძის ძახილი. ახალ-
გაზრდა მედოლე სეტყვასავით აყრის
თითებს გახურებულ დოღს, გარმონი
ლაზათიანად იწველება, როილიც სა-
სიამოვნოდ ქლერს. სახელაღწილი
ყმაწვილები ცერებზე დგებიან, მუხ-
ლებზე ეცემიან, ბრუნავენ.

— დააკირდით, მუხლებში თითქოს
ზამზარები აქვთ. „მთიულური“ ცეცხ-
ლოვან ტემპერამენტს, შეუპოვრობას
მოითხოვს. თვრამეტ ასეთ ქორეთგრა-
ფიულ ჯგუფში 450 მოსწავლე მეცა-
დინეობს. — გვიამბობს რკინიგზელის
სახლის დირექტორი ხელოვნების დაშ-
სახურებელი მოღვაწე მიხეილ ზახტა-
ძე, მართლაც. საოცრად უხდებათ
ყმაწვილებს ცეკვა, უადვილდებათ მი-
სი რთული ილეთების ათვისება. ბავ-
შეთა ცეკვის ანსამბლი კონცერტებს
აწყობს სკოლებშიც. ახალგაზრდული
და ხალხური ცეკვის ანსამბლები ხოშ
(ხელმძღვანელები გ. ლაცაბიძე და
რ. ხონელიძე) რკინიგზელთა საყო-
ველთაო მოწონებით სარგებლობენ.



...ჩვენი ყურადღება ახალმა მელოდიაში მიიპყრო. მეზობელ ოთახში ფორტეპიანოს კლავიშებზე ლაღად დასრიალებდნენ თვითბაოთიან მანანას მოქნილი თითები. პედაგოგმა ა. ვოლმანმა მოუწონა დავალების შესრულება და ამჯერად მხოლოდ ორი შენიშვნით დაეკმაყოფილა.

— კიდევ ერთი თვე ბუკეთი მეყადნილობა და შეიძლება ლადიძის „მუსიკალური მომენტა“ კონცერტზე შეასრულო. — პედაგოგის სიტყვებით გამხნივებულმა მანანა ხოშტარიაში აღფრთოვანებული შვრია თანაკლასელ ბორის აივაზიშვილზე გადაიტანა, რომელსაც ბეთოვენის „გოსოვი“ იღლიაში ამოიღო. ფორტეპიანოს კლასში 280 მოსწავლე შეყადნივინ.

ამ სახლში ხშირად აწურობდნენ შეხვედრებს ხელოვნების მოღვაწეებთან, მწიგნობრებს, წარმოების მოწინავეებთან, ექსპურსებს.

შეიხედეთ ოთახში, სადაც საბალეტო ჯგუფი შეყადნივინდა. თხოთმეტი ქალ-ვაჟი სარკეებთან კი არ ვარჯიშობდა, როგორც ადრე გვიანახავს, ფრთახატულა ბუბლეტივით დაფარვებდნენ კოსტუმებიც უხედებოდათ. აი ისეთი კოსტუმები, როგორც ამას წინათ პალტო „ოტლის“ დილის სპექტაკლზე ვნახეთ, უფრო სწორად — „გედების ტბაში“ რომ აყვიათ.

სახალხო თეატრის სცენაზე საბალეტო ჯგუფის სამოცმა ქალ-ვაჟმა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ლილი გვარამაძისა და მისი ასისტენტის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის თენგიზ სანაძის ხელმძღვანელობით დადგა კომპოზიტორ კურტილის „ახალგაზრდული სივთა“, სენსანის „ვაკხანალია“, ლისტის „დავიწყებული ვალსი“, რახმანიოვის პოლკაზე — ცეკვა მარათი“ და სხვ.

იშვიათად ეწყობა სპექტაკლი თუ კონცერტი. საზოგადოებრივ მხატვრული თვითშემოქმედების მნიშვნელოვანი ღონისძიება სიმფონიური ორკესტრის ვარეშე. დირიჟორის პულტთან მუდამ ქალი დგას. მშვენილს ხიზლავს ოპერა „დაისის“, „თბილისის“,

„საქიდაოს“ და სხვა საყვარელი მელოდები.

„ჩვენი ილია“ — ზოგჯერ გაისმის ჩურჩული მაყურებელთა შორის.

თბილისის კონსერვატორიის თეორიული კომპოზიციის კურსის დამთავრების შემდეგ სად არ იყო! მოიარა რეჟისა და ბალტიისპირეთი, რამდენიმე წელი დირიჟორობდა კუბოშვივის ოპერის თეატრში, მუშაობდა მუსიკის საეკსტრალი პირობში, მაღალი გემოვნების ხელოვანის სახელი დაამკვიდრა. გული მაინც მშობლიური თბილისისაკენ მოუწყვდა.

